## პრეზიდენტი

### საქართველო სულ უფრო განამტკიცებს თავის პოზიციებს ევროპის სტრუქტურებში

[illegible]



იხ. მე-2 გვ.

## არჩევნები

### ქიათურელები გონივრულ გადაწყვეტილებას...

[illegible]

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

მე ყოველთვის ვიცოდი, როგორი უნდა იყოს საქართველო გვ-3.

GIOC
საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №54-55 (3456) კვირა-ორშაბათი. 27-28 თებერვალი. 2000 წელი. ფასი შეთანხმებით.

## გუშინ

### დაუსრულებელი „საგა“

[illegible]

პრაიმ-ნიუსი.

## სადისკუსიო კლუბი „პრესა“

### ტერაქტები რიკოშეტით

#### ვინ ებრძვის პრეზიდენტს და მის სანათესაოს?



[illegible] ...ლდებისგან თავის დამცველების შანსს რომ იტოვებს ვერაგული ნამოქმედარის გამო. ყველაფერი უბედური შემთხვევის ბრალია, საწყალს ასხლეტილი ტყვია მო- [illegible]

[illegible] ხელით უსწორდებიან ხოლმე მოწინააღმდეგეს.

დიდი ბათქა-ბუთქია ბოლო ხანებში ატეხილი ჩვენი პრესის ფურცლებზე და ტელეეკრანებზე — კორუფციას ებრძვიან!

[illegible] ამ ბათქა-ბუთქს თუ დაკვირვებით მიაყურადებ, შეიძლება ასეთი დასკვნაც გამოიტანო: ეს ყველაფერი იმიტომ ხომ არ ხდება, რომ საზოგადოება რაც შეიძლება შორს გაიტყუონ იმ ად- [illegible] მნაშავეები ჩასაფრებულან?

მადევრისთვის კვალის არევის ეს ხერხი ხომ ძველისძველია და ათასგზის გამოყენებული.

იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

**რ. მამულაშვილის, შ. მგელაძის და შ. ფორჩხიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული თანამედროვე ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი ლიტერატურულ-შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ:

**რაფიელ მამულაშვილი** – მწერალი, დრამატურგი;
**შუშანა მგელაძე** – მწერალი;
**შალვა ფორჩხიძე** – მწერალი.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

**ზ. ბირკაიას და ჯ. კუბლაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების მსხვილი ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

**ზიგფრიდა ბირკაია** – სააქციო საზოგადოება საპროექტო ინსტიტუტ „საქპროექტის“ მთავარი სპეციალისტი;
**ჯაბა კუბლაშვილი** – სააქციო საზოგადოება ჰოლდინგური კომპანია „მონტაჟსპეცმშენის“ ვიცე-პრეზიდენტი.

ე. შევარდნაძე.

## ელექტორატი

### ასეთია მათი აზრი

**1. როგორ აფასებთ ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე?**
**2. ფიქრობთ თუ არა, რომ მისი კანდიდატურა უალტერნატივოა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, და თუ ასე გგონიათ, რატომ?**

ჩვენს ტრადიციულ შეკითხვებს უპასუხებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლია მახარაძე:

1. გასული ათწლეულის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად დღევანდელ საქართველოში არსებული რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კრიმინალური ვითარებისა, არ შეიძლება ობიექტური დამკვირვებელი ოპტიმისტურად არ განეწყოს. ჩვენს წინ არა მარტო უჩვეულო, სრულიად ახალი სოციალურ-ეკონომიკური წყობის შექმნის პროცესი მიმდინარეობს, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნის უმწვავესი პრობლემები დგას. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა გვიკარნახებს ჩვენ და უკარნახებს უცხოელებსაც, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ეკონომიკისადმი, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ყველაფერი ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესთან შეთანხმებით.

იხ. მე-2 გვ.

## გამოძიება

### 25 ტომი — ტერაქტის შესახებ

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ არშემდგარი ტერორისტული აქტის საქმე ორ კვირაში გადაეცემა სასამართლოს.

როგორც პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში აცნობეს, ტერაქტის საქმესთან დაკავშირებული გამოძიების მასალები 25 ტომისაგან შედგება, რომლებსაც ამჟამად ბრალდებულები და მათი ადვოკატები ეცნობიან.

ტერაქტის მცდელობის ბრალდებით დაკავებულთაგან ერთი პირის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო.

ამ საქმესთან დაკავშირებით ძებნაში იმყოფება კიდევ 5 პირი — ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი იგორ გიორგაძე, ყოფილი პარლამენტარი ბორის კაკუბავა, ძმები ბექა და კახა აფციაურები და მოსკოვში მცხოვრები ოლეგ კუჭავა.

პრაიმ-ნიუსი.

## დღის კარიკატურა



— გიჟია! პენსია არ მინდაო!..

ვახტანგ კუციას ნახატი.

## გიხაროდენ!

### მარტვილში ერთ სოფელს რომ დაასახლებდა...



„გიხაროდენ“ ძალიან მოსწონთ მარტვილის სამშობიარო სახლში, სადაც თითქმის მუდამდღე ახალი სიცოცხლე იბადება. იგი ერთ-ერთი ისეთი სამედიცინო დაწესებულებაა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ასე რომ, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, აქ ფეხმძიმე თუ მშობიარე ქალების მომსახურებისათვის ყველა პირობაა შექმნილი. ყველაფერი მოაგვარეს მთავარმა ექიმმა ცაცუნა გეგეჭკორმა და მისმა მოადგილემ დავით ციკოლიამ.

პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად მუდამ მზად არიან განყოფილების გამგეები ვალენტინა ლაცუზბაია, გიორგი ხორავა, ნანა რაზმიაშვილი; ბებიაქალები დინარა ბურჭულაძე, ნელი ჩქოფოია, დენიზა ბაღიშვილი, მანანა ცაავა და სხვები.

შარშან აქ 380 ბავშვი დაიბადა, იმდენი, მარტვილში ერთ სოფელს რომ დაასახლებდა, მათ შორის 188 გოგონა და 192 ბიჭია. წლეულს იანვარ-თებერვალში კი – 34, – 20 გოგო და 14 ვაჟი.

**ხათუნა გალდავა,**
**ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი.**

* * *

თბილისის №5 სამშობიაროდან დაგვირეკა ჩვენმა მახარობელმა ბებიაქალმა იამზე ერისთავმა. ორ დღეში 23 ქალმა იმშობიარა – დაიბადა 11 ვაჟი და 12 გოგონა.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ულოცავს ახალშობილთა მშობლებს, მათ პატარებს უსურვებს, გაიზარდონ ქვეყნის სასახელო მოქალაქეები.

**დაგვირეკეთ, ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

## ანონსი

საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს!

„რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ-იყოს.“

რეზო 12.2.

**რეზო ამაშუკელის პუბლიცისტურ ლექსს ამ სათაურით მკითხველებს სამშაბათის ნომერში შევთავაზებთ.**

## ინფორმაცია

საქართველოს საფონდო ბირჟის მიერ ორგანიზებული სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სახელმწიფო კანცელარიის, მთავრობის, პარლამენტის, ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სემინარზე განიხილავენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო უზრუნველყოფისა და მისი რეგულირების საკითხებს.

გუდაურის სემინარი საქართველოს საფონდო ბირჟის დიდი პროგრამის მხოლოდ ნაწილია, რომელიც ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების უპირატესობის განმარტებასა და პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

### უშედეგო ლოდინი

თურქეთის მესაზღვრეებმა მაინც არ შეუშვეს თავის ტერიტორიაზე ასამდე ლტოლვილი ჩეჩნეთიდან, რომლებიც ათ დღეზე მეტია ელოდნენ ნებართვას საზღვართან, ახალციხის რაიონში განლაგებულ ქართულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „ვალეზე“.

თავისი უარი თურქეთის მხარემ იმით ახსნა, რომ ლტოლვილებს შესაბამისი საერთაშორისო პასპორტები არ გააჩნდათ.

ამავე დროს, თურქულმა მხარემ ლტოლვილთა ამ ჯგუფს ჰუმანიტარული დახმარება — კვების პროდუქტები, ტანსაცმელი და მედიკამენტები გადასცა.

### ითვისებენ „ახალ მონაკვეთებს“

სომხეთში სამუშაო ვიზიტით მყოფი რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის კონსტანტინ ტოცკის განცხადებით, რუსეთის მესაზღვრეები ოპერაციის ახალ ეტაპზე გადადიან რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის 80-კილომეტრიან მონაკვეთზე.

როგორც ერევნიდან პრაიმ-ნიუსის საკუთარი კორესპონდენტი იტყობინება, კონსტანტინ ტოცკიმ აღნიშნა, რომ რუსეთის მესაზღვრეები არღუნის ხეობის რაიონში ახალი მონაკვეთების ათვისებას იწყებენ.

ტოცკის თქმით, არღუნის ხეობასა და საქართველოს საზღვარს შორის არსებულ მონაკვეთზე დაფიქსირებულია ტერორისტთა დანაწევრებული ჯგუფები.

### ახალგაზრდობას პოლიტიკა აინტერესებს

ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, პოლიტიკური მოვლენებისადმი ინტერესს იჩენს ახალგაზრდობის 29,7 პროცენტი. მათ შორის ვაჟების 87,0 პროცენტია. პოლიტიკით ახალგაზრდობის დაინტერესებას აუცილებლად მიჩნევს გამოკითხულთა 22,61 პროცენტი. სპეციალისტების აზრით, ასეთი შედეგები ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური მოვლენებითაა გამოწვეული. იგივე მიზეზები იწვევს ახალგაზრდების უარყოფით დამოკიდებულებას პოლიტიკის, როგორც ფენომენისადმი.

### ახალციხის კლდეში ძევსა...

ორმოცი ტონა განუბაჟებელი ბენზინი დააკავეს საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა ქარელის რაიონში.

როგორც პრაიმ-ნიუსს შს სამინისტროში აცნობეს, მძღოლებს, ახალქალაქელ თეიმურაზ ინასარიძეს, ადიგენელ გივი მღებრიშვილს და ახალციხელ არშაკ სეროფიანს ბენზინი კამაზის მარკის ავტომანქანებით გადაჰქონდათ.

ტვირთი მთლიანად ახალციხის რაიონის სოფელ კლდეში მცხოვრებ 35 წლის ნუგზარ მანჩხაშვილს ეკუთვნოდა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, მეილექსპრესმა.**

### 10-დან 4 მუშაობს

„თბილსრესში“ ოთხი ენერგობლოკი მუშაობს, რომლებიც 530 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს „თბილსრესში“ აცნობეს, მომუშავე 150 მეგავატიან მე-3, მე-4, მე-8 და 300 მეგავატიან მე-10 ენერგობლოკებს რუსეთიდან საათში 184 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი მიეწოდება.

თბილსრესში სულ 10 ენერგობლოკია.

### სემინარი თოვლიან მთებში

ორდღიანი სემინარი, სახელწოდებით „საქართველოს საფონდო ბაზარი: ამოცანები, პრობლემები და პერსპექტივა“ გაიხსნა შაბათს გუდაურში.

## გამოსათხოვარი



### მისი გული მუდამ ღია იყო, ხელი კი — სამეგობროდ გაწვდილი

რუსეთის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის, მეცნიერის ანატოლი სობჩაკის გარდაცვალების გამო სანკტ-პეტერბურგში გასვენებაზე დასასწრებად საქართველოდან გაემგზავრა ოფიციალური დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ელდარ შენგელაიას, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მალხაზ კაკაბაძის და საქართველოს მეცნიერებათა

იხ. მე-2 გვ.

## პოლიცია

### მოძალადეებმა 100 ათასი დოლარი მოითხოვეს...

გასული კვირის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულია 189 სისხლის სამართლის დანაშაული. დანაშაულის რაოდენობამ წინა კვირასთან შედარებით მოიმატა, მაგრამ მომხდარ ბოროტმოქმედებათა 86,2 პროცენტი უკვე გაიხსნა. შინაგან საქმეთა სამინისტრო საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებს იმ რეგიონებში, სადაც გასულ კვირაში აღინიშნა მკვლელობის, ყაჩაღობის და სხვა მძიმე დანაშაულის მატება.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა გამოავლინეს 77 დანაშაული, მათ შორის ნარკოტიკების რეალიზაციის 7 შემთხვევა.

ეკონომიკის სფეროში გამოვლენილია 16 დანაშაული, მათ შორის ერთი — ქრთამის აღებისა.

გაიხსნა წინა წლებში ჩადენილი 17 დანაშაული, დაკავებულია 57 ძებნილი, პოლიციამ გამოავლინა 40 ჯგუფური დანაშაული.

იხ. მე-8 გვ.

## დღეს

**ამინდი**

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით 0+5; დღისით +3+8.
მთაში: ღამით -3+2; დღისით 0+5.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით -2+3; დღისით +4+9.
მთაში: ღამით -1-6; დღისით 0+5.

თბილისში
უნალექოდ, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.
ღამით -1+1; დღისით +7+9.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ფინანსები

### ლარის კურსი

26 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9961 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9700 ლარი |
| ევრო | 1 | 1.9481 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0686 ლარი |

## უკანასკნელ საათს

უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩეჩნეთში მიმდინარე ბრძოლებში 40-მდე ბოევიკი გაანადგურეს.

გუშინ მოსკოვში პოლონეთის საელჩოს წინ ახალგაზრდებმა გამართეს ხმაურიანი საპროტესტო აქცია პოზნანში რუსეთის საკონსულოს დარბევის საპასუხოდ.

გუშინ მოსკოვის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — აქ გაიმართა გიორგი დანელიას ახალი ფილმის „ფორტუნას“ საპრემიერო ჩვენება.

მთავარ როლში მაყურებელმა იხილა ჩვენი თანამემამულე, გიორგი დანელიას სურათებში უცილობლად მონაწილე ბუბა კიკაბიძე.



ესპანეთის ბასკეთში, ქალაქ ბარაკალდოში ოცდაათმა ნიღბიანმა მამაკაცმა დაწვა სამი ბანკი და საფოსტო განყოფილება. მიაჩნიათ, რომ ისინი ბასკი სეპარატისტები იყვნენ.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

— მეუღლე გარდამეცვალა, რომელიც დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო. აქამდე შვილთან ვცხოვრობდი. ამჟამად სრულიად მარტო ვარ, რადგან შვილიც გარდამეცვალა. მე პირადად არასოდეს არ მიმუშავია. მეუღლე, როგორც სამამულო ომის მონაწილე, პენსიას გადიდებული ოდენობით იღებდა. მაინტერესებს, მაქვს თუ არა უფლება მივიღო მისი კუთვნილი პენსია?

**ბაბულინა ზარდაშხაძე. თბილისი.**

— ქალბატონო ბაბულინა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მარჩენალის დაკარგვის გამო შეიძლება დაგენიშნოთ პენსია, მაგრამ მისი ოდენობა მხოლოდ 14 ლარი იქნება, ვინაიდან გადიდებული ოდენობის პენსია ენიშნებათ ომის ინვალიდებს, ომის მონაწილეებს და არა მათ ქვრივებს.

ამდენად თქვენთვის იმ პენსიის დანიშვნისათვის, რომელსაც აწ გარდაცვლილი თქვენი მეუღლე იღებდა, სამწუხაროდ, კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

**ირინე ღლონტი**
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველოს უფროსი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.**

## ინტერპანორამა



გუშინ რუსეთის სამხედროებმა ჩაშალეს 2.000 ბოევიკის შატოიდან სხვა რაიონებში გარღვევის მცდელობა.



პარასკევს სამხრეთ ფილიპინებში რამდენიმე აფეთქება მოხდა. მათგან ყველაზე სერიოზულს ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა — დაიღუპა სულ მცირე 44 ადამიანი.

ჯერჯერობით პასუხისმგებლობა არავის უკისრია.



ირანის პრეზიდენტმა მუჰამედ ჰატამიმ გააფრთხილა დასავლეთი, რომ რეფორმატორთა გამარჯვება ირანის საყოველთაო არჩევნებში არ ნიშნავს, რომ ქვეყანა თავის პრინციპებს უღალატებს. თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტი ერის მაღალი შეგნების მაჩვენებელია.

საქართველოს რესპუბლიკა
№54-55. კვირა-ორშაბათი, 27-28 თებერვალი, 2000 წელი.

პრეზიდენტი

# საქართველო სულ უფრო განამტკიცებს თავის პოზიციებს ევროპის სტრუქტურებში

(პირველი გვერდიდან)

[illegible]

...სთან, აღნიშნა, რომ შედეგები, რომლებიც ამ ბრძოლას მოჰყვება, საკმაოდ მძიმეა და მათთან შეხება საქართველოსაც მოუწია, —

[illegible] ...წესრიგება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს საზრუნავი აღარ არის.

საქართველოს პრეზიდენტმა სტუმრებს განუცხადა, რომ მარტში დაგეგმილი ვიზიტი ბრიუსელში აღარ შედგება, რადგან წინ პრეზიდენტის არჩევნებია და უმჯობესია, ევროპარლამენტს უკვე არჩეული პრეზიდენტი ეწვიოს. „ევროპარლამენტისათვის ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა თქვენი გამოსვლა, რომელსაც ჩვენ მოუთმენლად ველოდით,“ განაცხადა პერ გარტონმა და იმედი გამოთქვა, რომ არჩევნების შემდეგ ეს გამოსვლა აუცილებლად შედგება.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

## სადისკუსიო კლუბი „პრესა“

# ტერაქტები რიკოშეტით

## ვინ ებრძვის პრეზიდენტს და მის სანათესაოს?

(პირველი გვერდიდან)

### რიკოშეტით სროლა სარფიანი საქმეა!

რიკოშეტით სროლის მოყვარულები ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მონდომებით ესხმიან თავს პრეზიდენტს და მის სანათესაოს, უფრო სწორად, პრეზიდენტის სანათესაოს, რადგან კარგად იციან, იქიდან ასხლეტილი ტყვია, პირველ ყოვლისა, პრეზიდენტს დააზიანებს.

მარტივი და ერთი შეხედვით პრიმიტიული გათვლაა, მაგრამ ძალზე ეფექტიანი:

ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი გასროლით ორს კი არა, რამდენიმე სამიზნეს ერთდროულად აზიანებ: პრეზიდენტს სახელს უტეხ, მის სანათესაოს ლაფში სვრი, საკუთარ იმიჯს იმაღლებ და საზოგადოებაში სახელმწიფო ინტერესების ერთგული დამცველის სახელს იმკვიდრებ, თავგანწირული, თავდადებული პიროვნების ეკლის გვირგვინს იდგამ თავზე.

მართლაც სარფიანი საქმეა რიკოშეტით სროლა!

რასაც რიკოშეტით მსროლელნი აკეთებენ, ესეც პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ტერაქტია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ არც ავტომატები გჭირდება, არც ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები, არც ბუჩქების და ხეების ძირას დამალვა და ჩასაფრება — ზიხარ შენთვის მყუდრო და კომფორტულ კაბინეტში, იღებ ყურმილს, იძახებ კალმით თუ კამერით შეიარაღებულ რომელიმე „მოიერიშეს“ და „მოიერიშეთა“ ჯგუფს და შეკვეთას აძლევ...

გაივლის ცოტა ხანი და რომელიმე გაზეთის ფურცლებზე თუ რომელიღაც ტელეარხის ეკრანზე ჩნდება მრისხანე წერილი თუ გადაცემა, სადაც ქვეყნის დაქცევასა და გაპარტახებაში პრეზიდენტის ნათესაობას ადანაშაულებენ.

ამის წამკითხველ-მნახველი პრეზიდენტი კი აღშფოთებით წამოიძახებს: — გული დაგეხხეთქება კაცს ამ უმსგავსობათა მოსმენისას!

ინფორმაციული ტერაქტის ავტორია მიზანი მიღწეულია: შხამიანმა ისრებმა პრეზიდენტის გულამდე მიაღწია, მის სანათესაოს კი კიდევ ერთხელ ლაფი დაასხეს თავზე.

### ქილერი ჟურნალისტები

სიტყვა „რიკოშეტთან“ ერთად სიტყვა „ქილერიც“ გვმენიათ, რა თქმა უნდა...

ქილერი, ანუ დაქირავებული მკვლელი — კაცი, რომელიც ადამიანის მოკვლისათვის გარკვეულ საფასურს იღებს.

ქილერს რომ ვიტყვით, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ კაცს ოპტიკურსამიზნიანი შაშხანით ან სხვა ცეცხლსასროლი იარაღით, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში სხვა ყაიდის ქილერებიც გაჩნდნენ, სამწუხაროდ.

ამ ტიპის ქილერებს შაშხანა-პისტოლეტის ნაცვლად ვიდეოკამერა, კალამი ან დიქტოფონი უჭირავთ ხელში...

ესენი ქილერი-ჟურნალისტები გახლავან.

მათი საქმიანობაც თავისი არსით და მიზნით ძალიან ჰგავს ქილერის საქმიანობას — ესენიც კლავენ, ოღონდ შაშხანიანი ქილერისაგან განსხვავებით არა ერთბაშად, არამედ — ნელ-ნელა, დაგემოვნებით, თანდათან.

> ჩვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი პრესა კი, უკანონობით გალაღებული და განავარდებული, თანდათანობით სულ უფრო და უფრო ყვითლდება... იაფფასიან სენსაციებს, პროვოკაციებსა და ინტრიგების ხლართვას დახარბებული, მის მიერვე მოქსოვილ აბლაბუდაში გახლართული ჩვენი მასმედია ისევე შორსაა ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაგან, როგორც ცა — დედამიწისაგან.

შაშხანიანმა ქილერებმა თავიანთი თავის და სხვისი სიცოცხლის ფასიც კარგად იციან და ამიტომაც მაღალი ჰონორარის გარეშე ჩახმახს თითს არ გამოკრავენ, ესენი, კალმოსანი ქილერები, გროშების ფასად ნებისმიერს წვდებიან ყანყრატოში ალესილი კბილებით.

იმ შაშხანიან ქილერს, ადრე თუ გვიან ელექტროსკამი ან სამუდამო პატიმრობა არ ასცდება, ამათ, კალმოსან-კამერიანებს, უსაფრთხოება გარანტირებული აქვთ. იციან, რომ რაც არ უნდა თქვან, რაც არ უნდა წერონ, ხვიეით შერჩებათ, რადგან არ არსებობს კანონი პრესის შესახებ, რომელიც მოაწესრიგებდა ურთიერთობებს მასმედიასა და დანარჩენ საზოგადოებას შორის და კალმოსანს საშუალებას არ მისცემდა ქილერად გადაქცეულიყო.

სულ მცირეოდენი ეშმაკობა და, ნებისმიერ პიროვნებაზე ნებისმიერი რამ შეიძლება ისეთი ფორმით ითქვას, რომ პასუხისმგებლობას გაექცე.

ჰოდა, მოედინება და მოედინება ცილისმწამებლური, ადამიანის ღირსების და სახელის შეურაცხმყოფელი განცხადებების მდინარე ნაკადი ზოგიერთი გაზეთის ფურცლებიდან, ტელეეკრანებიდან და მოკლე, გრძელი თუ საშუალო სიხშირის რადიოტალღებიდან, პასუხს კი ვერავის მოსთხოვ, რადგან ამ განცხადებების წინ ისეთი ბარიკადებია აღმართული, რომელთა გადალახვა კანონს არ ძალუძს. ეს ბარიკადებია: „როგორც ამბობენ“, „მოსახლეობაში გავრცელებულ აზრს თუ დავუჯერებთ“, „დადის ხმები“ და ა. შ.

ჩვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი პრესა კი, უკანონობით გალაღებული და განავარდებული, თანდათანობით სულ უფრო და უფრო ყვითლდება, ყვითლდება და ყვითლდება... იაფფასიან სენსაციებს, პროვოკაციებსა და ინტრიგების ხლართვას დახარბებული, მის მიერვე მოქსოვილ აბლაბუდაში გახლართული ჩვენი მასმედია ისევე შორსაა ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაგან, როგორც ცა — დედამიწისაგან. მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა კარგა ხანია გამოხრა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, ხოლო ის, რაც თავისუფლებად და დამოუკიდებლობად სურთ მოგვაჩვენონ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტაციაა, ფარსია თავისუფლების თემაზე.

### ვინ ებრძვის პრეზიდენტს და მის სანათესაოს?

მაინც ვინ შეიძლება ასე ხმალამოღებული ებრძოდეს პრეზიდენტს? ბევრი ვინმე, მაგრამ განსაკუთრებული მონდომებით — უფრო ის ძალები, რომლებსაც შევარდნაძემ ღიად და დაუფარავად გამოუცხადა ომი: კორუმპირებული ძალები, კონტრაბანდისტები, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები, გადასახადის მსხვილი არგადამხდელები. ამას დაუმატეთ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები შინ და გარეთ, რომელთაგან ზოგი აშკარად უპირისპირდება პრეზიდენტს, ზოგი ფარულად, მის ფრთებქვეშ შეყუჟული, მისი ნდობით აღჭურვილი ჩუმ-ჩუმად რომ უთხრის სამარეს. ამ არასრული ჩამონათვალითაც ცხადი ხდება, რა ფართო და ჭრელ სპექტრთან გვაქვს საქმე.

სწორედ ამ ძალების დანაშაულებრივი, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის შედეგია კორუფციის არნახული მასშტაბებით ზრდა, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს არსებობას.

კორუფციაზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, იქვე, როგორც წესი, პრეზიდენტის ნათესავებიც ახსენდებათ და ხან გაკვრით და მინიშნებით, ხანაც ღიად ადანაშაულებენ კორუფციაში. ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნან მსმენელს თუ მკითხველს, რომ პრეზიდენტის ნათესაობა პირდაპირ კავშირშია კორუფციასთან და კორუფციის გარემო მათ გარეშე არ მოიაზრება. რიგითი მოქალაქე, საქმის არსში ჩაუხედავი ადამიანი, რა თქმა უნდა, იჯერებს ამ განცხადებებს, იჯერებს საზოგადოების ის დიდი ნაწილიც, რომელსაც ნათლად არ ესმის კორუფციის არსი.

არა მარტო მასმედიის, არამედ სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლები ხშირად ერთმანეთისაგან არ მიჯნავენ კორუფციას და ეკონომიკურ დანაშაულს. კორუფცია კი არის ეკონომიკური დანაშაული, მაგრამ ეს არის ეკონომიკური დანაშაული, რომელიც ხელისუფლების სტრუქტურებში ხდება თანამდებობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით. კორუმპირებული პირი ეს არის პირი, რომელიც მოღვაწეობს სახელმწიფო აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოებში და მის ხელთ არსებული სახელისუფლო ბერკეტების ბოროტად გამოყენებით სჩადის ეკონომიკურ დანაშაულს.

სახელისუფლო სტრუქტურებში ყოფნაა ის უმთავრესი ზღვარი, რომელიც მიჯნავს კორუმპირებულ პირსა და სხვა პირს, რომელიც ეკონომიკურ-ფინანსურ მაქინაციებს ეწევა, მაგრამ ხელისუფლებაში არ არის.

ამ კუთხით თუ მივუდგებით კორუფციის საკითხს, აღმოჩნდება, რომ შევარდნაძის ნათესავები არ შეიძლება იყვნენ კორუმპირებულნი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც ერთი მათგანი არ მუშაობს ისეთ სახელმწიფო სტრუქტურაში, რომელიც პირდაპირ ან ირიბ კავშირშია კორუფციასთან. შევარდნაძის ნათესავები არ მუშაობენ ძალოვან სტრუქტურებში, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში, არ არიან საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები, არ უჭირავთ სხვა საკვანძო თანამდებობები. ასე რომ, მათ, ძალიანაც რომ მოინდომონ, არ შეუძლიათ მართონ კორუფციის პროცესები, გააკონტროლონ ან მოაწესრიგონ ის სისტემა, რომელზეც კორუფციაა დაფუძნებული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ არ უჭირავთ სახელმწიფოს მმართველობაში საპასუხისმგებლო თანამდებობები.

აი, ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორის მიფუჩეჩებით ცდილობენ მავანნი და მავანნი კორუმპირებული გარემოს ისეთი ილუზორული სურათის შექმნას, რომელშიც შევარდნაძის ნათესავები წინა პლანზე არიან გამოყვანილნი.

არა გვგონია ეს დემაგოგია მხოლოდ და მხოლოდ უვიცობით და უნებლიე შეცდომით იყოს გამოწვეული. ყველა მიზეზი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს სინამდვილის შეგნებულ გაყალბებასთან. ეს კი ყველაზე მეტად მათ აძლევთ ხელს, ვინც თვითონ არის ჩაფლული კორუფციის ჭაობში, ვინც არ იხდის ასეულ ათასობით გადასახადს, ვინც ეწევა კონტრაბანდას, დაკავებულია ჩრდილოვანი ეკონომიკით და, რაც მთავარია, მუშაობს ისეთ სახელმწიფო სტრუქტურებში, რომელთა ხელშეწყობის გარეშე ვერც კორუფცია გაიდგამდა ასე მძლავრად ფესვებს და ვერც სხვა უბედურებები გაილაღებდა ჩვენს ბედკრულ, საკუთარი უძღები შვილების მიერ გაჩანაგებულ და იავარქმნილ სამშობლოში.

კორუფცია საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს არსებობასო — ვთქვით ზემოთ. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ეს სახელმწიფო საერთოდ დაინგრეს. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, შევარდნაძის ნათესავებს არანაირად არ აძლევთ ხელს იმ სახელმწიფოს დანგრევა, რომლის პრეზიდენტიც მათი ნათესავია, და, აქედან გამომდინარე, მათი მოქმედებები არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ მიმართული, რადგან ეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ მტრობა იქნებოდა.

ვახტანგ ხარჩილავა,
ინტელექტუალური ცენტრი „ახალი ცნობიერება ახალი საქართველოსთვის“.

(დასასრული იქნება).

### აგროვებენ ხელმოწერებს

თენგიზ ასანიძის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციისათვის საჭირო 50 ათასი ხელმოწერა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა უკვე შეაგროვეს, — აცნობა პრაიმ-ნიუსს თენგიზ ასანიძის შვილმა, დავით ასანიძემ.

მისი თქმით, მიუხედავად ამისა, ჯგუფი ხელმოწერების შეგროვების პროცესის შეწყვეტას ჯერ არ აპირებს, რათა ცსკ-ში შემოწმებისას გაუთვალისწინებელი შეცდომებისგან დაიზღვიონ თავი.

* * *

პრეზიდენტობის კანდიდატობისათვის საჭირო ხელმოწერების შეგროვება თბილისის მეტროს სადგურებთან ჯუმბერ პატიაშვილის მხარდამჭერებმაც დაიწყეს.

პატიაშვილის მხარდამჭერებს არანაირი უთანხმოება არ აქვთ პრეზიდენტობის სხვა პრეტენდენტის — თენგიზ ასანიძის საინიციატივო ჯგუფის წევრებთან, რომლებიც მეოთხე დღეა ანალოგიური საქმიანობით არიან დაკავებულნი.

* * *

ასლან აბაშიძის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვებას საქართველოს დემოკრატიული აღორძინების თბილისის ორგანიზაცია ხელმძღვანელობს, რადგან ჯერჯერობით ასლან აბაშიძის საარჩევნო შტაბი ფორმირებული არ არის და ისიც არ არის ცნობილი, თუ ვინ ჩაუდგება მას სათავეში, — განუცხადა პრაიმ-ნიუსს თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პარლამენტარმა გიორგი თარგამაძემ.

თარგამაძე ხელმოწერების შეგროვების პროცესზე რაიმე ზემოქმედებას, ან ხელის შეშლას გამორიცხავს და აცხადებს, რომ პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს.

### ნარკოტიკის მსხვერპლი

— აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 25 წლის ბადრი ფანცულაიას გვამი აღმოაჩინეს სამართალდამცავებმა თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს შს სამინისტროში აცნობეს, ფანცულაიას სხეულზე არ აღენიშნება ძალადობის ნიშნები. ექსპერტიზის დასკვნით, იგი ნარკოტიკული ნივთიერების დიდი დოზის მიღების შედეგად გარდაიცვალა.

### აფხაზეთის ეკონომიკა კოლაფსშია

გაეროს ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, აფხაზეთში უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა, არ არსებობს არც ერთი რენტაბელური დარგი. ერთადერთი სფერო, სადაც წარმოების ზრდა შეიმჩნევა, ხე-ტყის დამუშავებაა, რომლის ექსპორტის ძირითადი ნაწილი თურქეთში გადის.

* * *

აფხაზეთის საბანკო სისტემა ძალიან სუსტი და განუვითარებელია.

საბანკო მომსახურება კაპიტალით არ არის უზრუნველყოფილი და ძირითადად, მაღალი საპროცენტო განაკვეთით ხანმოკლე კრედიტების გაცემაზეა კონცენტრირებული.

### მცირდება ჩაის პლანტაციები

გალის რაიონი, აფხაზეთის ომამდე და ამჟამადაც, კვების პროდუქტების მიმწოდებელია მთელი აფხაზეთისთვის.

ომამდე გალის რაიონი სოფლის მეურნეობის პროდუქტების 50 პროცენტით უზრუნველყოფდა რეგიონს. ქართველი მოსახლეობის გალში დაბრუნების შემდეგ, რაიონში აღდგა სიმინდის და ლობიოს მოყვანა, მეცხოველეობა.

აფხაზეთში შეინიშნება სიმინდისა და ლობიოს კულტურების ხარჯზე ჩაის პლანტაციების მასობრივი შემცირება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, მეილექსპრესმა.

## გამოსათხოვარი

# მისი გული მუდამ ღია იყო, ხელი კი — სამეგობროდ გაწვდილი

**(პირველი გვერდიდან) აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გივი ინწკირველის შემადგენლობით. სამგლოვიარო მიტინგზე ელდარ შენგელაიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ვლადიმერ პუტინის და გარდაცვლილის მეუღლის ლუდმილა ნარუსოვას მიმართ, რომელშიც გამოხატული იყო მწუხარება და თანაგრძნობა ა. სობჩაკის უდროო გარდაცვალების გამო.**

**გთავაზობთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ელდარ შენგელაიას სიტყვას, რომლითაც მან მიმართა დამსწრე საზოგადოებას.**

ქალბატონო ლუდმილა!

ბატონებო და ქალბატონებო!

საქართველო გლოვობს ბატონი ანატოლი სობჩაკის უდროოდ გარდაცვალებას. გლოვობს ადამიანს, რომელსაც უსაზღვროდ პატივს სცემდა ქართველი ხალხი.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პოლიტიკოსის, მეცნიერის, ჭეშმარიტი დემოკრატის ანატოლი სობჩაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მიმართვაში აღნიშნა, რომ ეს არის მძიმე დანაკლისი არა მარტო რუსეთისათვის.

საქართველოს პარლამენტმა ანატოლი სობჩაკის ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგო პატივი.

საქართველოს ყველა გაზეთი და სატელევიზიო არხი გამოეხმაურა ამ სამწუხარო ცნობას.

დარწმუნებული ვარ, რომ როგორც რუსეთის ისტორიაში, ასევე საქართველოს ისტორიაშიც სამუდამოდ დარჩება ანატოლი სობჩაკის სახელი.

იყო რა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დეპუტატი, ანატოლი სობჩაკს შეეძლო გამხდარიყო ნებისმიერი კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც იმ დროს აყალიბებდა ყრილობა, მაგრამ იგი საკუთარი გადაწყვეტილებით სათავეში ჩაუდგა კომისიას, რომელიც იხილავდა თბილისში, 1989 წლის აპრილში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს.

ანატოლი სობჩაკს, როგორც გლობალურად მოაზროვნე ადამიანს და უმაღლესი კლასის იურისტს, ესმოდა, რომ 9 აპრილის მოვლენებზე სიმართლის თქმა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომისია ძირფესვიანად განიხილავდა რეჟიმის არსს, რომელიც ბატონობდა იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში, გაითვითცნობიერებდა უკანონობას, რომელიც ახასიათებდა ქვეყნის იმდროინდელ პოლიტიკურ წყობას, სამართლებრივ ნიჰილიზმს და სახელმწიფო დონეზე მოქმედ ეგრეთწოდებულ „სატელეფონო სამართალს“ და ბევრ სხვა მანკიერებას, რომელზედაც მაშინ ფიქრიც კი აკრძალული იყო.

ანატოლი სობჩაკმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ამ გზაზე იგი შეიძენდა არა მხოლოდ მეგობრებს, არამედ მტრებსაც, რომლებიც მას სიმართლეს არ აპატიებდნენ... და არც აპატიეს. მაგრამ იგი არ იქნებოდა სობჩაკი, რომ გადაეხვია მიზნიდან. ეს იყო მისი არჩევანი.

ეს იყო მისი არჩევანი დემოკრატიისა და სამოქალაქო, სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ისტორიულ ბრძოლაში.

იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები გავხდით, მაინც ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებითა და მღელვარებით ვადევნებდით თვალყურს ანატოლი სობჩაკის ცხოვრებისა და ბრძოლის პერიპეტიებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმოდა, რომ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც რუსეთში ვითარდებოდა, შეეძლო გარკვეული გავლენა მოეხდინა ჩვენს ცხოვრებაზეც, ამიტომ დემოკრატიისათვის ბრძოლა, რომელსაც უკომპრომისოდ და პრინციპულად ახორციელებდა ანატოლი სობჩაკი, სცილდებოდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და ერთგვარად საქართველოსაც ეხებოდა.

ჩვენ მისი მადლიერნი ვართ არა მარტო აპრილის ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებული სიმართლისათვის, არამედ ყველაფრისთვის, რაც მან მოასწრო გაეკეთებინა დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

მინდა აღვნიშნო, რომ საქართველომ გამოხატა მადლიერება ანატოლი სობჩაკის მიმართ. ის გახდა ჯერ თბილისის, შემდეგ კი საქართველოს საპატიო მოქალაქე.

როგორც ხელოვანმა, მინდა აღვნიშნო მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება კულტურისადმი. ის თაყვანს სცემდა მშვენიერებას, უყვარდა ხელოვნება და ხელისუფლებაში ყოფნის დროს ყოველნაირად მხარს უჭერდა ხელოვნების განვითარებას, გადარჩენას.

იშვიათია, როდესაც ადამიანი იბრძვის დემოკრატიის, სამოქალაქო და სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, სიმართლისათვის და თავისუფლებისათვის და იგი ჯვარს არ გააკრან.

მაგრამ...

ჯვარცმას მოჰყვება აღდგომა, ამაღლება.

მე მჯერა, რომ ისტორია დაამკვიდრებს ანატოლი სობჩაკის ხატებას რუსეთის რჩეულ მოღვაწეთა შორის.

მჯერა, ანატოლი სობჩაკის პიროვნება დაიკავებს საპატიო ადგილს XX საუკუნის ისტორიაში.

მე ვეთხოვები ჩემს მეგობარს, რომელთანაც მქონდა განსაკუთრებული დამოკიდებულება. ჩვენ ერთმანეთის უთქმელადაც გვესმოდა. მე გამონაკლისი არ ვყოფილვარ. ის მეგობრობისათვის ყოველთვის მზად იყო. მისი გული მუდამ ღია იყო, ხელი კი — სამეგობროდ გაწვდილი!

ანატოლი სობჩაკი იყო სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი, მეცნიერი და ამდენად პრინციპულ საკითხებში შეუვალიც კი, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს, ყოფილიყო საოცრად კეთილი, გულისხმიერი, და მე ვიტყოდი, ფაქიზი სულის ადამიანი, რომელსაც უზომოდ უყვარდა მოყვასი და სიცოცხლე!

მშვიდობით, ძვირფასო ანატოლი! დაე, მსუბუქი იყოს მიწა სანკტ-პეტერბურგისა, რომელსაც სწორედ თქვენ დაუბრუნეთ ისტორიული სახელი და ამით აღადგინეთ დროთა შორის კავშირი!

მშვიდობით!

## ელექტორატი

# ასეთია მათი აზრი

(პირველი გვერდიდან)

შექმნილ სიტუაციაში ქვეყნის პრეზიდენტის კურსი ოპტიმალურია და დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების ღირებულებებზეა ორიენტირებული. ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევამ რეალობად აქცია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე „ტრასეკას“ პროექტი. ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლო რეფორმა, დაიწყო განათლების რეფორმა, და ბოლოს მიწის რეფორმა, ახალი საქართველოს უდიდესი მონაპოვარი. ვფიქრობ, რომ ვერანაირ ეკვივალენტს ვერ მოუძებნი ჩვენი პრეზიდენტის ძირითად სტრატეგიულ საგარეო პოლიტიკის კურსს — ქვეყანა დასავლეთის სასიცოცხლო ინტერესების სფეროში მოაქციოს. დღეს საქართველოს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მსოფლიოს არა მხოლოდ უძლიერესი სახელმწიფოები, არამედ უმდიდრესი საფინანსო თუ საქმიანი წრეებიც.

ადამიანი მაინც ადამიანია და ბატონი ედუარდი დაზღვეული როდია პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე ცალკეული პიროვნებებისადმი სიმპათია-ანტიპათიისაგან. მე მგონი, სწორედ ამის გამოა, რომ სახელმწიფოს მეთაურის საკადრო პოლიტიკა ყოველთვის დამაჯერებლად ვერ გამოიყურება, ოღონდ, თუ ობიექტურნი ვიქნებით, შემთხვევათა აბსოლუტურ უმეტესობაში იგი ოპტიმალურ გადაწყვეტილებას იღებს.

2. ჩემთვის ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურა იმით არის უალტერნატივო, რომ იგი ადგას დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბების სწორ გზას, რასაც ვერ ვიტყვი სხვებზე.

დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ახლანდელ პრეზიდენტს (და ვიმედოვნებ, მასვე — მომავალს) ძალუძს საქართველო აქციოს ქართული ტიპის ევროპულ სახელმწიფოდ, ან, ყოველ შემთხვევაში, საფუძველი ჩაუყაროს ასეთ ქვეყანას.

ჩაიწერა თამაზ ებანოიძემ.

## SIC!

# თედორაძის აზრით

23-25 თებერვალს აჭარაში გამართულ ადამიანის უფლებების დაცვის კონგრესზე არც საქართველოს პარლამენტის წევრები ყოფილან მიწვეულნი, არც თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები და არც სახალხო დამცველი. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებით, კონგრესის შესახებ მან შემთხვევით გაიგო უცხოელებისგან.

მისი თქმით, ეს იმიტომ მოხდა, რომ საქართველოს ბევრ რეგიონში არ არის სწორი დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებისადმი. „ამ თვალსაზრისით აჭარისადმი განსაკუთრებული პრეტენზიების საფუძველს ჩვენ ასანიძის საქმე გვაძლევს,“— განაცხადა თევდორაძემ.

ამასთან პარლამენტარი არ ეთანხმება კონგრესზე მიღებულ დეკლარაციაში შეტანილ ერთ-ერთ პუნქტს, სადაც საუბარია საქართველოში პოლიტპატიმართა მძიმე მდგომარეობაზე.

„საქართველოში პოლიტპატიმრები არ არსებობენ, ისინი კი, ვისაც პოლიტპატიმრებს უწოდებენ, იგივე მდგომარეობაში არიან, როგორშიც სხვა პატიმრები და, შესაძლოა, უკეთესშიც“ — განაცხადა თევდორაძემ.

მეილექსპრესი.

## ცესკოელები

**ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) ის დაწესებულება გახლავთ, რომელიც არჩევნებიდან არჩევნებამდე შედარებით მშვიდად და მივიწყებულად „ცხოვრობს“, ხოლო არჩევნების ჟამს წინა პლანზე გამოდის... ჰოდა, სანამ ეს არჩევნები ჩაივლიდეს და ცესკო კარგა ხნით „მიგვავიწყდებოდეს“, მოვასწროთ და უფრო ახლოს გავეცნოთ მთავარ საარჩევნო შტაბს. ამაში მარი ბოკიელი დაგვეხმარება — აქაური კანცელარიის მმართველი, ახალგაზრდა, სიმპათიური ქალი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მას პირველკურსელი სტუდენტი ქალიშვილი ჰყოლია, მომავალი იურისტი ქეთი მიდელაური...**



# სამუშაოც მოიმატებს და დაძაბულობაც...

**— მარი, თუ შეიძლება, ჩამოვთვალოთ, რომელი დანაყოფებისაგან შედგება ცესკო.**

— კანცელარია, სადაც ახლა ვსხედვართ, ბუღალტერია და განყოფილებები: საორგანიზაციო, იურიდიული, საოქმო-სარეგისტრაციო, საფინანსო, მატერიალური უზრუნველყოფისა და კომპიუტერული უზრუნველყოფისა. არჩევნების პერიოდში პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაც დაგვემატება ხოლმე; და კიდევ, რა თქმა უნდა, კომისიის ხელმძღვანელობა უნდა ვახსენოთ. ეგებ, სულაც მაგით უნდა დაგვეწყო: თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის მდივანი, მათი თანაშემწეები, თავმჯდომარის პირადი მდივანი და თარჯიმანი.

**— საკმაოდ დიდი შტატი გყოლიათ...**

— საშტატო განრიგით 13 თანამშრომელი ვართ, დანარჩენები, რამდენიმე ათეული კაცი, ხელშეკრულებითაა გაფორმებული.

**— რა შედის თქვენი კანცელარიის ფუნქციაში?**

— შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვა, კომისიის საკადრო საქმიანობა.

**— ხსენებაზე, — ახალი „კადრები“ ხომ არ გამოჩნდნენ? საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის „მორიგებას“ ვგულისხმობ ცესკოს შემადგენლობაში ცვლილებების თაობაზე....**

— ოფიციალურად ჯერ არაფერია გადაწყვეტილი (ჩვენი საუბარი 22 თებერვალს შედგა — თ. ე.).

**— მარი, თქვენი ახალგაზრდობის მიუხედავად, ცესკოს ძველი ბინადარი ხართ. რამდენადაც ვიცი, ბატონი ჯუმბერი მეოთხე თავმჯდომარეა?**

— აბა, გავიხსენო: ირაკლი ქორდანია, არჩილ ჭირაქაძე, მერაბ ალექსიძე, ვანო კილურაძე... მეხუთე ყოფილა.

**— გახსენება თუა, გახსენება იყოს, თითოეულისა თითოოროლა შტრიხით მაინც...**

— კომისიამ 1989 წელს სამი კაცით დაიწყო საქმიანობა: ბატონი ირაკლი, ბუღალტერი და მე. ირაკლი ქორდანიასთან მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტში ემუშაობდი, იქიდან წამომიყვანა. პირველ ხანებში საქმეთა მწარმოებელიც ვიყავი, მოლარეც...

**— როგორ გაიხსენებდით პირველ თავმჯდომარეს?**

— ბატონი ირაკლი ერთგვარად „დისტანციური“ ბრძანდებოდა. სხდომებს სრულიად მშვიდად უძღვებოდა. „ენატრობდით“ კიდეც, — ეს კაცი ერთხელ აღელვებული გვენახაო...

**— სხვები?**

— არჩილ ჭირაქაძე წევრობიდან გახდა თავმჯდომარე. ყველასთან ტოლივით ეჭირა თავი, ალბათ, პიროვნებაა ასეთი, უფროსობას არ გაგრძნობინებს; განსვენებული ბატონი მერაბი ორიგინალური კაცი გახლდათ, ძალიან კარგი ადამიანი. ერთობ არეულ სიტუაციაში უწევდა თავმჯდომარეობა, ღირსეულადაც გაართვა თავი; ბატონი ვანო ისე არ მოვიდოდა კომისიაში, რომ ჩვენთან არ შემოევლო, არ მოეკითხეთ, რაიმე ახალი საქმის გასაკეთებლად არ განეწყეთ....

**— ბატონი ჯუმბერი „არ გვინდა“, ტელეეკრანზე ყოველდღე ყველას თვალწინ არის და ვიცნობთ კიდევაც... მარი, როგორც მე მეჩვენება, საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდი უფრო მშვიდად გამოიყურება, ვიდრე საპარლამენტოსი...**

— მართალს ამბობთ. სამუშაოს მოცულობა და საერთო დაძაბულობა საპარლამენტოს დროს შეუდარებლად მეტი იყო; ვფიქრობ, რომ თანდათან სამუშაოც გაიზრდება და დაძაბულობაც...

ესაუბრა თამაზ ებანოიძე.

№54-55. კვირა-ორშაბათი, 27-28 თებერვალი, 2000 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟან-კლოდ ეტიენი

# ედუარდ შევარდნაძე: მე ყოველთვის ვიცოდი, როგორი უნდა იყოს საქართველო

## თავი IV

## აუცილებელი ეკონომიკური აღმავლობა

საბჭოთა წყობილების პერიოდში ხდებოდა პროდუქციის ავტორიტარული განაწილება რესპუბლიკებს შორის. „სამუშაოს განაწილების“ ეს პრინციპი ეხებოდა, უპირველესად, ინდუსტრიას: მაგალითად, საქართველოს დავალებული ჰქონდა თვითმფრინავებისა და ლოკომოტივების წარმოება საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკისათვის. და ეს პრინციპი კიდევ უფრო მეტად ვრცელდებოდა სოფლის მეურნეობაზე. საქართველოს მარცვლეულით, ხორცით და რძით მომარაგება ხდებოდა სუბსიდიურ ფასებში, რის გამოც ამ პროდუქტების ადგილზე წარმოებას აზრი აღარ ჰქონდა. ეს კი, თავის მხრივ, უფრო აძლიერებდა საქართველოს დამოკიდებულებას სხვა რესპუბლიკებზე. სამაგიეროდ, წახალისებული იყო ისეთი პროდუქციის წარმოება — ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ყურძენი — რომლებიც არ მოდიოდა სხვა რესპუბლიკებში. მაგრამ როგორი აუცილებელიც უნდა ყოფილიყო ეს პროდუქტები საბჭოთა კავშირში, მათ არ ჰქონდათ „საერთაშორისო“ ხარისხი. თითქმის შეუძლებელი იყო მათი ექსპორტირება „თავისუფალ მსოფლიოში“, თუნდაც ამის პოლიტიკური თავისუფლებაც ჰქონოდათ. პარტიული ინსტანციები (თანაც, არაადგილობრივი) წყვეტდნენ რა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, წლის რა დროს და რა ადგილას. როგორც ედუარდ შევარდნაძე წერს: ***„მოსკოვის აზრის და მხარდაჭერის გარეშე ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდით ვერც რესპუბლიკის ენერგო-რესურსებით მომარაგების, ვერც სკოლის გახსნის (...) ვერც ჩაის კულტურის დადგენილი ფონდების მოდიფიკაციის თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების აშენების მიზნით“.*** არც რეგიონულ ვაჭრობას ჰქონდა მხარდაჭერა, პირიქით. საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ორ რესპუბლიკას შორის სავაჭრო ურთიერთობები არ აღემატებოდა მთელ საბჭოთა კავშირთან წარმოებული ვაჭრობის 10 პროცენტს. როგორც აღნიშნავს აღმოსავლური ენებისა და კულტურების ეროვნული ინსტიტუტის პოსტსაბჭოური სახელმწიფოების განყოფილების დირექტორი ჟან რაჯვანი, „მოსკოველ დამგეგმავებს ეშინოდათ, რომ რეალურ რეგიონულ ინტეგრაციას შეიძლება დამოუკიდებლობა მოჰყოლოდა“. მეორეს მხრივ, როდესაც წარმოებული პროდუქცია თითქმის მთლიანად ხალხს ეკუთვნის, „მუშის შეგნება“ ცვლის მატერიალურ წამხალისებლებს და აღარ არსებობს პროდუქტიულობის გაზრდის არავითარი ინტერესი. რამ აფიქრებინათ, რომ შეიძლებოდა ეფექტიანად გამოეყენებინათ დრო, მასალა, სივრცე, ანუ ის, რაც სამყაროში არავის ეკუთვნის? როგორ შეიძლებოდა ინდივიდუალური ინიციატივის და ძალისხმევის ჩახშობა (ზედმეტი სამუშაოს შესრულებისათვის ანაზღაურება არ იზრდებოდა) ჩამოყალიბებულიყო ფუნქციონირების ისეთ სისტემად, რომლის გაცხადებული ნება თითოეული ადამიანისათვის, ვითომდა, ბედნიერების მინიჭება იყო, ბედნიერებისა, რომლის კანონიერი უფლება მას ისედაც აქვს? ერთ-ერთ გამოკვლევაში, რომლის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ იგი 1988 წელს გამოქვეყნდა თბილისში, ნ. კეკელია ერთმანეთს ადარებს „ხალხის“ კუთვნილ და კერძო მიწებს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორს ეკავა სახნავ-სათესი მიწების მხოლოდ 13 პროცენტი, აქ მოჰყავდათ ქვეყანაში მოწეული სიმინდის 51 პროცენტი, ყურძნის 41 პროცენტი, ციტრუსების 64 პროცენტი, ხორცის 51 პროცენტი, რძის 58 პროცენტი, მატყლის 63 პროცენტი. 1987 წლიდან, პერესტროიკამ ხელი შეუწყო ბაზრის ჩანასახის განვითარებას. შესაძლებელი იყო კერძო სექტორში მოწეული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ყიდვა-გაყიდვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურების მოსაყვანად გამოყენებული იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მასალები და ტექნიკა (მათ შორის, საწვავიც). იმ დროისათვის კი საწვავი იშვიათი პროდუქტი იყო. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში მას იღებდნენ ზეთოვანი კულტურებიდან და მიკროსაბურღავებიდან მეტ-ნაკლებად ფარულად იმპროვიზებული ათასობით დანადგარის მეშვეობით, რომლებიც ჩუმად იყო მიერთებული ნავთობსადენებზე. სხვათა შორის, 1994 წელს პოლიციამ მოითხოვა ამ დანადგარების ყველაზე დიდი წილი. ზემონათქვამში საგულისხმოა არა იმდენად ამ მიკრო-დანადგარების არაკანონიერი ხასიათი, რამდენადაც მეწარმის ფარული უნარი, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში, მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შეიძლებოდა გამხდარიყო. ამისთვის კი საკმარისი იყო იდეოლოგიური მეწოლის უარყოფა. ედუარდ შევარდნაძე მოგვითხრობს საქართველოში 1979 წელს გორბაჩოვის ვიზიტის შესახებ, რომელიც ამ დროს მოსკოვში სოფლის მეურნეობის საკითხებს განაგებდა. გორბაჩოვი მხარს უჭერდა საქართველოში მიმდინარე ექსპერიმენტებს და უნდოდა, მათ შედეგებს გასცნობოდა. ადგილობრივი ხელისუფალნი ძლიერ შეაშფოთა გორბაჩოვის დაჟინებულმა მოთხოვნამ წარედგინათ მისთვის ყოფილი ფრონტელი ნადარეიშვილი, რომელიც ახლა მესაქონლეობას მისდევდა. ყველა ოფიციალური ნორმის მიხედვით, ეს კაცი საშიში „კულაკი“ იყო: მას ჰყავდა რვა მეწველი ძროხა, მაშინ როდესაც მხოლოდ ერთი ძროხის ყოლა იყო ნებადართული: ***„ვიზიტის შემდეგ გორბაჩოვმა მკითხა, ამბობს შევარდნაძე:***

***— შენი აზრით, ვინ არის ეს კაცი?***

***— ფერმერი, რომელსაც კარგად აქვს საქმეები აწყობილი. მაგრამ, თუ გნებავთ, შეიძლება ჩამოვართვათ ქონება. მაშინ აღარ იქნება არც რძე, არც ფერმა, არც სიმდიდრე.***

***გორბაჩოვმა გაიღიმა:***

***— შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ამის გაკეთება, ჩვენი თეორეტიკოსებისთვის თავი რომ მოგვეწონებინა, მაგრამ მაშინ როგორ ავალორძინოთ ჩვენი სოფლები ასეთი „კულაკების“ გარეშე?***

შემდეგ შევარდნაძემ გორბაჩოვს უთხრა პარტიის ერთი ადგილობრივი ხელმძღვანელის ნათქვამი: „მართალია, უნდა გავზარდოთ მეცხოველეობა და შრომის პროდუქტიულობა, მაგრამ ისე, რომ მარქსს არ დავშორდეთ“. ნამდვილად რთული სანაძლეოა!

1979 წელს გორბაჩოვის ეს ვიზიტი შევარდნაძისთვის დღესაც სიამაყის მომგვრელია. მან სტეპანოვის პირით შემოგვითვალა, რომ მისი ექსპერიმენტები ***„საქართველოს მეტი დამოუკიდებლობის საშუალებას აძლევდა და კრემლის თეორეტიკოსები ამაში ნამდვილად არ შემცდარან“***. აკი ერთ-ერთმა მათგანმა მას მისწერა კიდეც: „ყველაფერი, რასაც თქვენ აკეთებთ, თქვენი რესპუბლიკის ინტერესებშია, მაგრამ ეწინააღმდეგება მარქსს. ჩვენგან მხარდაჭერის იმედი არ გქონდეთ“. ედუარდ შევარდნაძემ სინანულით გაგვანდო, რომ არც მის წინამორბედს, ზვიად გამსახურდიას ესმოდა, რომ ეს ყველაფერი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნაწილი იყო.



ედუარდ შევარდნაძე მასპინძლობს ფრანკოფონიის სახელმწიფო მდივანს და წიგნის ავტორს ჟან-კლოდ ეტიენს.

## ეკონომიკაში გარდამავალი პერიოდი დაიწყო

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილმა ყველა ქვეყანამ და მთლიანად „აღმოსავლეთის ბლოკმა“ თავის თავზე გამოცადა გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთელი სირთულე. ასეთ სირთულეებს საზოგადოება ხშირად სოციალურ კატაკლიზმებამდე მიჰყავს, ვინაიდან იგი გულისხმობს ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობას, ანუ ისეთ სტრუქტურულ რეფორმებს, როგორიც პრივატიზაციაა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რომელიც საქართველოში რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, საქართველოს მომავლისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. პირველი მიღწეული შედეგები იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ გზის გარკვეული ნაწილი გავლილია.

## პრივატიზაციის ერა

საკუთრების უფლება ჩაწერილია 1995 წლის კონსტიტუციაში. მანამდე მოკრძალებით დაწყებული პრივატიზაცია (გარდა ბინებისა), 1994 წლიდან უფრო სწრაფი ტემპით წავიდა წინ. თავდაპირველად ეს პროცესი მოსახლეობისათვის „ფასიანი ქაღალდების“ დარიგებით დაიწყო. მაგრამ ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა, ვინაიდან დროის სირთულის გამო, ბევრმა ქართველმა ისინი სასწრაფოდ გაყიდა. თუმცა 1995 წლის ბოლოსთვის მცირე საწარმოების პრივატიზაცია მაინც დამთავრდა. შემდეგ საშუალო და დიდი საწარმოების ჯერიც დადგა. 1997 წელს შევარდნაძემ მიაღებინა 1992 წლის ტექსტის შემცვლელი კანონმდებლობა, რომელიც მიმდინარე პროცესის გაუმჯობესების და დაჩქარების საშუალებას იძლეოდა. ეს კანონი ითვალისწინებს ზოგიერთი საწარმოს აუქციონზე გაყიდვას, რომლის საწყისი ფასი ან ძალიან დაბალი, ან სიმბოლური იყო. იგი საშუალებას აძლევს, აგრეთვე, უცხოელ ინვესტორებს თითქმის ყველა სექტორში (გარდა ე.წ. „სარისკო“ სექტორებისა, როგორიცაა იარაღით ვაჭრობა, რომელსაც სპეციალური ნებართვა სჭირდება) ფლობდნენ ქართული საწარმოების აქციების 100 პროცენტს. ვინაიდან უცხოური კომპანიები 20 პროცენტზე ზევით არ იბეგრება, ეს კანონი მათ მოგებისა და მათ საკუთრებაში მყოფი ფონდების თავისუფლად განაწილების საშუალებას აძლევს. თუმცა აუცილებელია მინიმალური ინვესტირების პროგრამის შემუშავება. მაგალითად, 1998 წლის იანვარში ყველაზე დიდი ქართული ინდუსტრიული საწარმოს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მართვა და წილის 51 პროცენტი მომავალი 10 წლისათვის გადაეცა მეტალურგოილგაზინვესტს, კომპანიას, რომლის შემადგენლობაშიც არიან როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ინვესტორები. დადებული ხელშეკრულების თანახმად, მეტალურგოილგაზინვესტმა 1998 წელს ამ საწარმოში 24 მილიონი დოლარი დააბანდა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ კიდევ 50 მილიონს დააბანდებს. დასახული იქნა პროდუქციის ზრდის მინიმალური ამოცანები. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა შეიძლება ოფიციალურად პრივატიზებულ იქნეს ათი წლის შემდეგ მეტალურგოილგაზინვესტის თანხმობით, რომელსაც ამ ოპერაციაში პრიორიტეტი ექნება. ეს მოგვაგონებს რუსულ პრივატიზაციას. 1997 წლის ბოლოს პოლიტიკური და საპარლამენტო ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავს: ***„1997 წელს მიღებულმა კანონმა „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ ისევე, როგორც სხვა დამატებითმა იურიდიულმა აქტებმა, პრივატიზაციის პროცესი კიდევ უფრო გააქტიურა ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროში. ამავე დროს, ჩვენ შევიმუშავეთ პრივატიზაციის ერთიანი გეგმა 1998-2000 წლებისთვის, რომელმაც განსაზღვრა ეროვნულ ეკონომიკაში პრივატიზაციის ძირითადი ამოცანები, მისი პრიორიტეტული მიმართულებები ფინალური ეტაპისათვის და მათი განხორციელების კონკრეტული საშუალებები. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო ფაქტიც, რომ ზოგიერთმა მფლობელმა ვერ შეძლო ქონების ეფექტიანი მართვა. ამის გამო ზოგიერთი პრივატიზებული საწარმო ან გაჩერებულია, ან მინიმალური წარმადობით ფუნქციონირებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება კანონი გაკოტრების შესახებ“.*** უნდა ითქვას, რომ კაპიტალიზმის ტრადიციების არარსებობა საქართველოს დიდ სირთულეებს უქმნის. ეს ტრადიცია ქვეყანაში არც საბჭოთა პერიოდამდე არსებობდა. დამკვიდრებული საბაზრო ეკონომიკის ფრაგმენტები უფრო გაცვლის ხასიათს ატარებდა და მიღებული მოგების ხელახალი დაბანდების არავითარი ლეგალური შესაძლებლობა არ იყო. არც პოტენციური მეწარმეები არსებობდნენ. ეს კი საქართველოში, ისევე, როგორც ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის სხვა სახელმწიფოებში, „იატაკქვეშა ეკონომიკის“ განვითარების და ძლიერი კორუფციის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ. ტექნიკურად უფრო დელიკატური განსახორციელებელი აღმოჩნდა მიწების პრივატიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ კანონი მიღებულია, ძალზე ძნელია სამოცდაათი წლის მერე დაუბრუნო მიწები მათი მფლობელების მემკვიდრეებს, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, გლეხის მიწისადმი სიყვარული არც გააჩნიათ.

პრივატიზაციის გამოწვევა, ძირითადად, საქართველოს მთავრობამ მიიღო. 1997 წელს პრივატიზაციამ სახელმწიფოს მოუტანა 100 მილიონი დოლარის ეკვივალენტი. დღეს კერძო სექტორზე მოდის ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის 80 პროცენტი. საკმარისია აქამდე გატარებული პოლიტიკის ბოლომდე განხორციელება, რათა მოხდეს იმ ძალზე დიდი საწარმოების კერძო სექტორის სფეროში ინტეგრირება, რომლებიც დღეს ისევ სახელმწიფო საკუთრებაა.



ედუარდ შევარდნაძე აფხაზეთში. 1993 წელი.

## „ეკონომიკური შუქნიშანი“ მწვანეა

მთავრობამ მოახერხა 1990-იანი წლების დასაწყისის ჰიპერინფლაციის ჩახშობა (1993 წელს მან მიაღწია 3 125 პროცენტს, ხოლო 1994 წელს — 15 606 პროცენტს!). მას შემდეგ ინფლაციის დონე, მსოფლიო სავალუტო ფონდის წყალობით, 7 პროცენტიდან 10 პროცენტამდე მერყეობს. თუმცაღა, კვების პროდუქტებზე ფასების ცვალებადობა მკვეთრად მოქმედებს ფასების მაჩვენებელზე. ამასთან ერთად, ფასები მომსახურებაზე უფრო სწრაფად იმატებს, ვიდრე კვების პროდუქტებზე. იგივე ხდება ყველგან, სადაც ასეთი გარდამავალი პერიოდია. ინფლაციის შეჩერებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულა 1995 წელს ახალი ფულის ერთეულის, ლარის შემოღებამ. „კუპონი“, რომელმაც 1995 წელს რუსული რუბლი შეცვალა, განუწყვეტლივ ეცემოდა. საჭირო გახდა მყარი ვალუტის შემოღება (1995 წელს ერთი ლარი უდრიდა 1,3 ამერიკულ დოლარს). მხოლოდ 1998 წლის კრიზისის გამო შეიცვალა ეს თანაფარდობა (დღეს ერთი ლარი უდრის დაახლოებით 1,8 დოლარს) ისე რომ, მას ქართული ეკონომიკისათვის არავითარი დრამატული შედეგები არ მოჰყოლია.

1997 წელს სახელმწიფო შემოსავლები გათვალისწინებულზე ნაკლები იყო. მაგრამ მთავრობამ შეძლო დანახარჯების შემცირება და ამით თავიდან აიცილა დეფიციტის უფრო მეტად გართულება. თუ 1994 წელს დეფიციტი ეროვნული პროდუქტის 35 პროცენტს შეადგენდა, 1997 წელს იგი შემცირდა 2,2 პროცენტამდე. 1997 წელს საგარეო ვალმა, მიუხედავად წინა წელს მისი ათი წლით გადავადებისა, მიაღწია 1,5 მილიარდ დოლარს. საქართველოს, ძირითადად, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ვალი აქვს, მაგრამ ამავე დროს, იგი ორი მეზობელი ქვეყნის — რუსეთის და თურქმენეთის — მევალეც არის. მსოფლიო ბანკის აზრით, ვალის მომსახურების ხარჯები შენარჩუნებული იქნება შედარებით დაბალ დონეზე 2005 წლამდე, ხოლო შემდეგ იგი შემცირდება. მთავრობამ შეძლო საქართველოს უზარმაზარი ვალებისაგან დაცვა, რაც ეკონომიკის განვითარებაზე სანქციების დადებას გამოიწვევდა. თუმცა დღევანდელი სიტუაცია ნაკლებად რთული არ არის. კერძოდ, 1997 წელს მთავრობა იძულებული გახდა დაევეიანებინა მოსამსახურეებისათვის ხელფასის გაცემა, გადასახადების ამოღება კი ისევ დიდ პრობლემად რჩებოდა. შემოსავლების გაზრდის იმედით 1998 წელს ედუარდ შევარდნაძემ შეიმუშავა სოციალური, განათლების და კულტურის დაცვის პროგრამა. ეს მოწმობს საქართველოს მთავრობის მცდელობას გონიერულად და ეფექტიანად მართოს ეკონომიკა და, ამავე დროს, იზრუნოს სოციალური ერთიანობის შენარჩუნებაზე. მაგრამ ამ პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა და 1997 წლის ხელფასების დავალიანება კვლავ ძალაში დარჩა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მთავრობამ გადაწყვიტა ხელფასების და პენსიების 20 პროცენტით გაზრდა, მაგრამ გათვლები კიდევ ერთხელ მეტისმეტად ოპტიმისტური აღმოჩნდა. მთავრობა იმედოვნებს, რომ გადასახადების ახალი კოდექსი ხელს შეუწყობს სახელმწიფო შემოსავლების გაზრდას, რაც აუცილებელია დანახარჯების დასაფარად. ამ მიზნით ედუარდ შევარდნაძემ „ჯვაროსნული ომი“ გამოუცხადა კორუფციას და დაიწყო ბრძოლა „იატაკქვეშა ეკონომიკის“ წინააღმდეგ, რომელიც კვლავ რჩება იმ ზოგიერთი ქართველის რეფლექსად, რომლებიც სახელმწიფოში ყოველთვის ხედავდნენ მტერს, რომელიც ახშობდა ყოველგვარ ინიციატივას და ჯეროვნად არ აფასებდა არანაირ ძალისხმევას. „იატაკქვეშეთში“ მუშაობის მეთოდის გამოყენებით ნაწილობრივ აიხსნება უმუშევრობის განსაკუთრებით მომატებული პროცენტი (აქტიური მოსახლეობის ნახევარზე მეტი). ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი, რომელიც 1989 წლიდან 1992 წლამდე ორჯერ შემცირდა (ამ დროს იგი მხოლოდ 800 დოლარს შეადგენდა), 1995 წელს საშინელი სისწრაფით დაეცა და იგი შეადგენდა 450 დოლარს, ესე იგი, პაკისტანის დონეს. 1996 წლიდან კი მნიშვნელოვნად, 12 პროცენტით მოიმატა. ამგვარად, საქართველო ისევ დაუბრუნდა მძლავრი ეკონომიკური ზრდის პერიოდს, რომელიც უკვე 1997 წელს შეინიშნებოდა (დაახლოებით 14 პროცენტი). 1998 წლის კრიზისმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოდნავ მაინც შეამცირა, ვერ შეანელა ქართული ეკონომიკის ახალი რიტმი. 1998 წელს ეროვნულმა შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე 1200 დოლარს გადააჭარბა. ზრდის ასეთმა განსაკუთრებულმა ტემპმა, რომელიც მორგებული პოლიტიკის შედეგია, არ უნდა დაგვავიწყოს, რომ საქართველოს ეკონომიკამ სტარტი ძალიან დაბალი დონიდან აიღო. იმპულსი განსაკუთრებით მომსახურების სექტორიდან მოდიოდა (კომერცია, მშენებლობა, კერძოდ თბილისში, და ტრანსპორტი). ანგარიშგასაწევია, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო სექტორი. ქვეყნის აღმშენებლობაში დიდ როლს თამაშობს ვენახი, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი, და, იმავდროულად, მრავალრიცხოვანი კულტურების საერთო სიმბოლო. ღვინო, მართლაც, დაკავშირებულია ქართულ ტრადიციებთან (ისევე როგორც სხვა მრავალრიცხოვანი სასმელი, რომლებმაც მიითვისეს კონიაკის სახელი, კერძოდ, თბილისი, გრემი, ვარციხე, ენისელი). ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი საყვარელი ფრაზაა: „ვისაც კარგი ღვინის წარმოება შეუძლია, იმას კარგი პოლიტიკის წარმართვაც შეუძლია“. მრავალ ქართულ სასმელს საერთაშორისო არენაზე აქვს სახელი განთქმული: კახეთის მშრალი თეთრი ღვინოები — წინანდალი და გურჯაანი, შედარებით ტკბილი თეთრა და ახმეტა, წითელი ღვინოები — მუკუზანი და საფერავი საბჭოთა პერიოდში ძალიან მოსწონდა მოსკოვის ნომენკლატურას. საბჭოთა კავშირმა გააჩეხინა მრავალი ვენახი, რათა მის მაგიერად დაეთესათ გეგმით გათვალისწინებული სხვა კულტურები. ეს გახდა, სხვათა შორის, მოსკოვსა და საქართველოს კომუნისტურ პარტიას შორის უთანხმოების მიზეზი. 1985 წლის 17 მაისის დადგენილება, რომელმაც ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ოჯახშიც კი აკრძალა სასმელის წარმოება, ძალზე ცუდად იქნა აღქმული და საშინელი დარტყმა მიაყენა ქართულ მევენახეობას. მაშინ ედუარდ შევარდნაძემ სახალხოდ განაცხადა: ***„პერესტროიკა ასე არ უნდა დაიწყოს, ეს არის დადგენილება, რომელიც ნაჩქარევად, გონივრული განსჯის გარეშეა მიღებული“.*** 1996 წელს მან შეადგინა პროგრამა: ***„ვაზის გადარჩენა საქართველოში“*** და უცხოურ კაპიტალდაბანდებებს გზა მისცა. ჩამოვიდნენ ჰოლანდიელი, გერმანელი, ამერიკელი ინვესტორები და ამაყობდნენ იმით, რომ ჯორჯ შულცმა პირადად 60 000 დოლარი დააბანდა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, აგრეთვე, ამერიკული კომპანიის **Agribusiness Sparkingh Wine LLC** მიერ ახლახან საქართველოში შუშხუნა ღვინოების პირველი მწარმოებლის „ბაგრატიონ 1882“ შეძენა. აქცენტი ხარისხზეა გადატანილი. მოგვიანებით თბილისში გაიმართა ვაზის კულტურისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი. ყველა კულტურა, რომელმაც ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველოს გაუთქვა სახელი, განსაკუთრებით, სუბტროპიკული კულტურები, დღეს დიდი ყურადღების ცენტრშია, ვინაიდან მათ ვალუტის შემოტანა შეუძლიათ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ სამეგრელოში ციტრუსების პლანტაციები და გორაკებზე შეფენილი ჩაის კულტურა. არც ისეთი უფრო ტრადიციული კულტურებია უგულებელყოფილი, როგორიცაა მარცვლეული: საქართველო ცდილობს საკუთარი საკვები პროდუქტებით თვითკმარი ქვეყანა გახდეს. ანგარიშგასაწევია, აგრეთვე, მინერალური წყლების ექსპლუატაციის შესაძლებლობა. მათ შორის ბევრია სამკურნალო და თბილი წყლები, რომლებიც საქვეყნოდაა აღიარებული.

უფრო ნელი ტემპით, მაგრამ ვითარდება ინდუსტრიის სექტორიც (1997 წლისთვის ზრდა შეადგენს დაახლოებით 8 პროცენტს). თუმცა გაიზარდა საწვავის (პლუს 65 პროცენტი) და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება, მაშინ, როდესაც სხვა სექტორებში პროდუქციის შემცირებასთან, ზოგჯერ გაკოტრებასთანაც გვაქვს საქმე (მაგალითად, ფერადი ლითონები). საქართველოს წიაღაგი შეიცავს მრავალრიცხოვან საბადოებს. მათ შორის აღსანიშნავია მარგანეცი, რომლის წყალობითაც საბჭოთა კავშირს მსოფლიო ბაზარზე წამყვანი პოზიცია ეკავა. მსოფლიოში ყველაზე დიდ საბადოს საქართველოში ჭიათურის საბადო წარმოადგენს. ქართული მიწა შეიცავს, აგრეთვე, ბარიუმს, ანდეზიტს, კაოლინს, რომლებიც იძლევა ქიმიური წარმოების განვითარების შესაძლებლობას, რაც, სამწუხაროდ, ძლიერ აბინძურებს ჰაერს თბილისში, ბათუმსა და რუსთავში. გარემოს დაცვასთან ერთად, ინდუსტრიული მექანიზმის მოდერნიზაციამ უნდა განავითაროს ის პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ ნაწილობრივ გამოუყენებელია. იგივე შეიძლება ითქვას იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც ტურიზმის სფეროში არსებობს. თუ საბჭოთა წყობილების დროს საქართველო წელიწადში ოთხ მილიონ ტურისტს იღებდა, დღეს მხოლოდ მცირერიცხოვან დასავლელ ტურისტებს თუ იზიდავს. ზამთრის სპორტული კომპლექსი გუდაური შეძლებული ტურისტებისთვის აშენდა თბილისთან ახლოს. ძალიან მიმზიდველი იქნებოდა შავი ზღვის სანაპიროც (ეს, ალბათ, ასეც იყო 80-იანი წლების დასასრულამდე), მისი დიდი ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზე რომ არ იყოს. მაგრამ ეს ტურისტულ სექტორს ხელს არ უშლის მოემზადოს იმ დიდი „ბუმისათვის“, რომელსაც ბევრი უცილობლად მიიჩნევს. შერატონის საერთაშორისო ქსელმა უკვე მოიკიდა ფეხი საქართველოში. თბილისში გახსნილი მისი ძალზე მაღალი დონის **„Sheraton Palace Hotel“** ხიბლავს საქართველოს დედაქალაქში გავლით მყოფ საქმიან ადამიანებს. 1998 წლის დასაწყისში მსოფლიო ბანკმა საქართველოს გამოუყო 30 მილიონი ფრანკი კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად. აღსადგენია და მოსავლელი უამრავი ისტორიული ადგილი, რომელთა სიმდიდრეზეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთებულმა არჩევანმა საშუალება მისცა მას მკვეთრად გაეუმჯობესებინა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. ხოლო გარდამავალი პერიოდიდან საბოლოოდ გამოსასვლელად საჭიროა გარე სამყაროზე გასვლა.

## გარე სამყაროზე გასვლა. გაცვლების გაძლიერება

საქართველოს ძირითადი კომერციული პარტნიორები არიან რუსეთი და თურქეთი. 1996 წელს რუსეთზე მოდიოდა ექსპორტისა და იმპორტის დაახლოებით მეოთხედი, მიუხედავად კავშირის სირთულეებისა, რომელიც გამოწვეული იყო სეპარატისტულ აფხაზეთთან კონფლიქტის გამო. რაც შეეხება კავშირებს თურქეთთან, ისინი განსაკუთრებით გაძლიერდა 1999 წლის დასაწყისში ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის შემდეგ. სხვა დანარჩენი ათი პირველი კომერციული პარტნიორი ორ განსხვავებულ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ერთი მხრივ, ესენი არიან საბჭოთა კავშირის ყოფილი წევრი ქვეყნები (აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა...), რომლებიც შეადგენენ გაცვლების ტრადიციულ სფეროს და, მეორე მხრივ, დასავლეთის ქვეყნები (ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი..), რაც მომავალში სხვა ქვეყნებზე გასვლის მომასწავებელია.

საქართველოს გააქვს ძირითადად ფერადი და არაფერადი ლითონები (1997 წელს ექსპორტის 21 პროცენტი), სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ციტრუსები, ჩაი, ღვინოები) და ქიმიური პროდუქცია. სამაგიეროდ, შემოაქვს ჰიდროკარბურატორები (1997 წელს იმპორტის 29 პროცენტი), კვების პროდუქტები (ხორბალი) და მანქანა-დანადგარები (10 პროცენტი). კომერციული ბალანსის სტრუქტურა ძნელად აღწევს თავს მოსკოვის მიერ თავსმოხვეულ სპეციალიზაციის პოლიტიკას. მაშინ საქართველოს მიიჩნევდნენ როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ პერიფერიულ რეგიონს, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა რამდენიმე განსაკუთრებული სასოფლო-სამეურნეო სექტორი და არ შეეძლო წარმოეჩინა თავისი პროდუქციის მრავალფეროვნება. სულ ახლახან მოპოვებულმა დამოუკიდებლობამ ჯერ კიდევ ვერ მისცა მას საშუალება შეავსოს ეს სიცარიელე, მიუხედავად მთავრობის ძალისხმევისა, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის წარმოება და ინდუსტრიული აპარატი მიუსადაგოს საერთაშორისო სტანდარტებს.

1999 წლის 16 თებერვალს პარლამენტის ტრიბუნაზე გამოსვლის დროს ედუარდ შევარდნაძემ ქართველ დეპუტატებს გაუზიარა თავისი კმაყოფილება საგარეო ვაჭრობის შედეგების გამო. მან გაიხსენა, რომ ***„ვითარდება გარე სამყაროსთან კომერცია და ეკონომიკური ურთიერთობები. 1998 წლის მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ციფრი 1242,6 მილიონი დოლარია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გასულ წელთან შედარებით ეს ციფრი 105 პროცენტით გაიზარდა. ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 194 მილიონი დოლარი, ხოლო იმპორტისამ 1048,6 მილიონი დოლარი“.*** მიუხედავად საგარეო გაცვლების მოცულობის უდავოდ გაზრდისა, საქართველოს კომერციული ბალანსი მაინც ძალზე დეფიციტურია (დათვლის ტექნიკა მთლად სანდოც რომ იყოს). საქართველოს მთავრობის ინდუსტრიული აღმშენებლობისათვის მხარდაჭერამ უნდა შეძლოს ამ დეფიციტის შემცირება. მაგრამ დღეისათვის ჯერ კიდევ აუცილებელია იმპორტი იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობა. იგივე ეხება საზღვარგარეთულ ინვესტიციებსა და დახმარებებს.

## საზღვარგარეთული ინვესტიციები და დახმარება

ინვესტიციებისათვის აუცილებელი საშუალებების ნაკლებობა ქართული ეკონომიკის ყველაზე მძიმე ხარვეზია. მთავრობამ იცის, რომ მისი დაძლევა შესაძლებელია ძლიერი საბანკო სექტორის მეშვეობით, რომელსაც შესწევს უნარი შემოსავლიანი გახადოს ყველა ტიპის დაბანდება. მაგრამ ეს უკანასკნელიც, მიუხედავად უდავო პროგრესისა, დღესაც ქართული ეკონომიკის სუსტი რგოლია.

1993-94 წლებში საქართველოში არსებობდა ურიცხვი რაოდენობის ბანკები. უნდა ითქვას, რომ საბანკო დაწესებულებების შექმნა განაპირობა ჰიპერინფლაციამ. იმ დროისათვის მათმა რიცხვმა 200-ს გადააჭარბა! საბანკო სექტორის გაძლიერების მიზნით, კანონმდებლობის მიღების შედეგად დაიწყო რეფორმები. ამგვარად, ბანკის გახსნისათვის აუცილებელი მინიმალური კაპიტალის მოცულობა პროგრესულად გაიზარდა. 1998 წელს იგი შეადგენდა 5 მილიონ ლარს. ყველა არსებულ ბანკს მიეცა ვადა 2001 წლამდე იმისათვის, რომ რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად წარემართა თავიანთი საქმიანობა. მართალია, მიღებულმა კანონმდებლობამ ბანკების გამსხვილება გამოიწვია, მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტორი ვერ უზრუნველყოფს მთლიან სექტორში რეფორმის განხორციელებას. 1993-94 წლებში ბანკებში არსებული საშუალო კაპიტალი შეადგენდა 300 000 დოლარს; 1997 წელს მისი ოდენობა ჯერ კიდევ მხოლოდ 600 000 დოლარი იყო. საბანკო აქტივების საერთო ოდენობა არ აღემატებოდა 200 მილიონ დოლარს. ბანკებმა ჯერ კიდევ ვერ მოიპოვეს ქართული მოსახლეობის ნდობა და ბანკში არასაკმარისი რაოდენობით შედიოდა ფული. რაც შეეხება კრედიტებს, მისი გაცემა მხოლოდ ხანმოკლე დროით ხდებოდა. ის ფაქტი, რომ დღეისათვის არსებობს ორმოცდაათამდე ბანკი, უდავო პროგრესის დამადასტურებელია. მაგრამ ზოგიერთი საბანკო ექსპერტი თვლის, რომ „ქვეყანას თორმეტ ბანკზე მეტი არ სჭირდება“. 1996 წელს პირველმა სახელმწიფო ბანკებმა — აგრომრეწვბანკმა, საქართველოს ბანკმა და გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა მიითვისეს კრედიტების 50 პროცენტი, რამაც ამ სფეროში არსებული პრობლემები კიდევ უფრო გაამწვავა. 1996 წელს კიდევ არ იყო გამოკვეთილი ამ ბანკების პრივატიზების სურვილი. აღნიშნული სექტორის გასაძლიერებლად მოიძებნა ისეთი საშუალება, როგორიცაა უცხოური ბანკების მონაწილეობა. შედეგად, 1997 წელს რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულმა ბანკმა შეისყიდა გაერთიანებული ქართული ბანკის 17,5 პროცენტი. მიუხედავად ამისა, ქართულ საბანკო სექტორს ჯერ კიდევ არ შეუძლია დამოუკიდებლად უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისათვის აუცილებელი ინვესტიციების დაბანდება, რითაც აიხსნება მთავრობის მიერ გაკეთებული არჩევანი გარე სამყაროზე გასვლის, ანუ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების შესახებ.

უცხოური ინვესტორების მოზიდვისათვის საქართველოს გააჩნია მრავალი კოზირი. მათ შორის უპირველესია კადრები, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს ედუარდ შევარდნაძე: ***„(...) ვინაიდან ქვეყანას ჰყავს მეცნიერები, მაღალკვალიფიციური ინჟინრები და ტექნიკოსები, ჩვენ დასავლეთელ ინვესტორებს კონკურენტუნარიან ფასებში ვთავაზობთ არაჩვეულებრივ კადრებს და ვუადვილებთ კავკასიის ქვეყნებში განვითარებად ბაზარზე გასვლას“.*** ჩვენ უკვე ვისაუბრეთ პერსონალისა და ინვესტიციების უსაფრთხოების იმ მრავალრიცხოვან გარანტიებზე, რომლებსაც საქართველოში დამკვიდრების მოსურნე უცხოურ საწარმოებს სთავაზობენ.

ჩვენს კითხვაზე საქართველოს ურთიერთობების შესახებ დასავლეთის ქვეყნებთან, ედუარდ შევარდნაძემ გვიპასუხა: ***„1996-1997 წლებში საქართველოში ინვესტიციები დააბანდეს მსოფლიოს 37 ქვეყნის კომპანიებმა. მათი საერთო მოცულობა 120 მილიონი დოლარია. (...) აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების ისეთმა დიდმა სადაზღვევო კომპანიებმა, როგორებიც არიან Hermes (გერმანია), Coface (საფრანგეთი), Opic (ამერიკის შეერთებული შტატები), უკვე დაიწყეს საქართველოში ზოგიერთი პროექტის დაფინანსებისათვის ხელშეწყობა. (...) ინვესტიციების წახალისებისა და ყოველმხრივი დაცვის მიზნით, საქართველომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს 18 ქვეყანასთან, რომელთა შორის არიან გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იტალია და დიდი ბრიტანეთი. ვფიქრობ, ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სწრაფ განვითარებას“.*** 1998 წლის ბოლოს ამერიკულმა კომპანია **A.E.S** შეისყიდა თელასის აქციების 75 პროცენტი. მართალია, ორმხრივი შეთანხმებები ბევრია, მაგრამ ამასთან ერთად საქართველო იღებს დახმარებას საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაც. მაგალითად, მსოფლიო ბანკმა გამოყო 20 მილიონი დოლარის კრედიტი მუნიციპალური დეცენტრალიზაციისა და განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. რაც შეეხება ევროკავშირს, მან საქართველოს შესთავაზა 50 მილიონი ეკიუს ფინანსური დახმარება. აქედან 10 მილიონი ჩაირიცხა 1997 წელს, ხოლო დანარჩენი განაწილდება მომავალ ხუთ წელიწადზე (1998-2002). ეს თანხა გამოიყენება სესხის კაპიტალის დასაფარავად. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი ქართული ბანკებისათვის გაწეული ფინანსური დახმარების გარდა, იღწვის საქართველოს გარე სამყაროზე გასვლისათვის: მან გარკვეული დაბანდებები განახორციელა ფოთის მარცვლეულის ტერმინალის განვითარებისა და ამიერკავკასიის რკინიგზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შავი ზღვის ქართულ ნავსადგურებს ბაქოსთან აკავშირებს. ამას გარდა, აღნიშნული ბანკის „ენერგიის“ დეპარტამენტის მიერ 32 მილიონი ეროს დამატებითი სესხი მოხმარდება ამ სექტორის პრივატიზაციას, არსებული ხელოვნების ნაწარმოებების რეაბილიტაციას და ეკოლოგიურად სუფთა განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების დანერგვას. ენერგეტიკა განვითარების სტადიაში მყოფი ის სექტორია, რომელიც მოითხოვს კაპიტალის მასობრივ დაბანდებას.

თარგმნა
მზალო დოხტურიშვილმა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №50-53.

საქართველოს რესპუბლიკა
№54-55. კვირა-ორშაბათი, 27-28 თებერვალი, 2000 წელი

არჩევნები

# ქ. თბილისის № 6 სამგორის საარჩევნო ოლქის უბნების ცენტრები და საზღვრები

**№1 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 185 სამუალო სკოლა (ვარკეთილის 3-ის მე-4 მ/რაიონი).**
საზღვრები: ვარკეთილი 3-ის 413, 414, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, ვარკეთილის 3-ის II მ/რ 38, 39, 40, 41 კორ.

**№2 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 196 საბავშვო ბაღი (ვარკეთილი 3-ის მე-4 მ/რაიონი)**
საზღვრები: ვარკეთილი 3-ის მე-3 ა მ/რ კორპუსები 320, 344, 345, 346.
ვარკეთილის 3-ის მე-4 მ/რაიონის 401, 402, 403, 404, 405, 406, 406 ა, 406 ბ, 407, 408, 409, 410, 411, 412 კორპუსები.

**№3 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 178 საბავშვო ბაღი (ვარკეთილი 3-ის მე-3ა მ/რაიონი).**
საზღვრები: ვარკ. 3-ის მე-3 მ/რ. კორპ. 321, 323, 324, 325, 326, 328, 329, 330, 331, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 343.

**№4 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 179 სამუალო სკოლა (ვარკეთილი 3 მე-3 მ/რაიონი).**
საზღვრები: ვარკეთილი 3-ის მე-3 მ/რაიონი კორპუსები 301, 302, 303, 304, 304ა, 304 ბ, 304 ე, 304 გ, 305, 306, 307, 305 ა, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 319, 322 კორპუსები.

**№5 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: სპორტული სკოლის შენობა (ვარკეთილი 3 II მ/რაიონი).**
საზღვრები: ვარკეთილი 3-ის II მ/რაიონი 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 27, 28, 29, 31 კორპუსები: წყალსადენის I-II სახლები.
ვარკეთილის III ა მ/რ 319ა, 319ბ, 319ი, 319ე, 319კ.

**№6 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 178 საშ. სკოლის შენობა (ვარკეთილი 3-ის II მ/რაიონი).**
საზღვრები: ვარკ-3-ის II მ/რ. 24, 25 ა, 26 კორპუსები, 1 ა, 1 ბ, 2, 2ა, 2 ბ, 3, 4, 5, 6, 7, 8, 8 ა, 8 ბ, 9, 10, 11, 12 კორპუსები. გახოკიძის ქუჩის კერძო სექტორი ზღვისკენ მიმავალ გზასა და წყალსადენის კო- [illegible]

**№7 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 105 სამუალო სკოლის შენობა (ვარკეთილი 3-ის II მ/რაიონი).**
საზღვრები: ვარკეთილი 3-ის I მ/რაიონის 10, 11, 12, 17, 18, 19, 20, 21, 21 ა, 22 ა, 22, 23, 24, 24 ა, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 35.

**№8 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 112 სერვის-ცენტრი (ვარკეთილი 3-ის I მ/რაიონი).**
საზღვრები: ვარკეთილი 3-ის I მ/რაიონის 1, 2, 3, 4, ა, 5, 6, 7, 8, 9, 13, 14, 15, 16, 25, 33, 34, 36, 37 კორპუსები.

**№9 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 176 სამუალო სკოლის შენობა (ვარკეთილი მე-4 მ/რაიონი, მე-2 რიგი, 73-01-61).**
საზღვრები: ვარკეთილი მე-4 მ/რაიონის მე-2 რიგის კორპუსები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

**№10 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 45 ბაგა-ბაღის შენობა (ვარკეთილის IV მ/რაიონი).**
საზღვრები: ჯავახეთის ლუწი: 2-10, ჯავახეთის I შესახვევი, 1, 2, 3, 4 ა, 5, 7. ჯავახეთის ქუჩის საკუთარი სახლები, 4-44, აეროდრომის დასახლების I ქუჩის კენტი 1, 9, 11, 13, 13 ა, 13 ბ, 15 ა, 17 ა, 19, 19 ა, 35, 35 ა, ლუწი 4, 6, 16, 18, 20, 22, ჩიხი I ქუჩის I გასასვლელის 2, 3, 4, 8, 10, 10 ა, 12, 14, 18, 18 ა, 21, 27, 27 ა, 23 ა, 29, I ქუჩის II გასასვლელის 3, 4, 5, 6, მე-2 ქუჩის 2, 2, 4, 6, 6, 7, 7/8, 9, 10, 12, 14, 16, წულუკიძის ქუჩის კენტი 5, 7, 9, 17, აეროდრომის დასახლების I ქუჩის მე-2 გასასვლელის 2/9, 3, 3 ა, 4, 5, 7, 9, 11, 13, მე-2 ქუჩის კენტი 3, 5, 11, 11, 13, ლუწი 2, 2, 4, 6, 8, 10, 10, 14, 18, 20, 22, მე-3 ქუჩის 2 ა, 4, 5, 6, 7, 8, 11, 13, 13 ა, 15, 17, მე-3 ქუჩის შესახვევის 3, 37, 12, 12 ა, 12 ბ, 12 გ, 14, 14 ა, მე-3 ქუჩის მე-4 გასასვლელის 2, 4, მე-4 ქუჩის კენტი 5, 5, 13, 15, 15 ა, 17, 19, 19 ა, 17 ა, 19, 19, 19, 17, 19 ლუწი 2, 4, 6, 8, 10, 22, მე-4 ქუჩის გასასვლელის 1, 3, 3, 4, 4, 5, 6, 8, 10, მე-4 ქუჩის მე-2 შესასვლელის 1, 3, 5, 5 ბ, 2, 4, 5, 5 ა, მე-6 ქუჩის 2-22, კალოუბნის №7 კორპუსი.

**№11 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 176 ბაგა-ბაღის შენობა (ვარკეთილის მასივი, მე-2 მ/რაიონი).**
საზღვრები: ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს მე-2 მიკრორაიონის №1, 2, 3, 4 ა, 4 ბ, 5, 6, 7, 8, 9, 10, 14, 15, 16, 17 კორპუსები.

**№12 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 182 სამუალო სკოლის შენობა (ვარკეთილის მასივი მე-2 მ/რაიონი).**
საზღვრები: ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს მე-2 მ/რაიონის №11, 12, 13, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29 და 30 კორპუსები, ზ/პ 1, 2, 3, 4, 5 კორპუსები.

**№13 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 152 სამუალო სკოლის შენობა (ვარკეთილის მასივი, ზ/პლატო).**
**საზღვრები: ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს №9, 10, 11, 18, 19, 20, 21, 22, 23, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 44, 45, 46, 66, ა, ბ, 12, 13 კორპუსები.**

**№14 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 115 ბაგა-ბაღის შენობა**
საზღვრები: ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს [illegible] კორპუსები.

**№15 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 146 სამუალო სკოლის შენობა (აეროდრომის დასახლება მე-14 ქუჩა).**
საზღვრები: [illegible]

**№16 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: [illegible]**
საზღვრები: [illegible]

**№17 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 109-ე სამუალო სკოლის შენობა (ელდარის ქ. №5).**
საზღვრები: ვარკეთილის მასივის მე-6 კვარტალის №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 11, 12, 13, „დ" კორპუსები.

რტალის [illegible] მე-9 კვა[illegible] რპუსები [illegible] სები, მი[illegible] №1, 2, 3 [illegible]

**№18 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 117 სამუალო სკოლის შენობა (თრიალეთის ქ. №7).**
საზღვრები: [illegible] რტალის [illegible] და 17 კ[illegible] 3, 4, 5, [illegible] 17 და 1[illegible] 2, 3, 4, [illegible]

**№19 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: მე-12 ბაგა-ბაღის შენობა (შუამთის ქუჩა).**
საზღვრები: [illegible] გ, ე, დ, [illegible] სები. ვა[illegible]

№10, 11, [illegible] ტალის №[illegible] ქუჩის 4, [illegible]

**№20 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 108 სამუალო სკოლის შენობა (შუამთის ქ. №20).**
საზღვრები: [illegible] კვარტალ[illegible] მთის ქუ[illegible] სახლი №[illegible] ჩის №32 [illegible] კორპუს[illegible] ქუჩა, საწ[illegible]

**№21 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: ორხევის კულტურის სახლის შენობა (ახალდაბის ქ. №21).**
საზღვრები: [illegible]

**№ 22 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: № 9 სერვის-ცენტრი (აეროპორტის დასახლება).**
საზღვრები: აეროპორტის დასახლება და ქვემო ალექსეევკა. აეროპორტის დასახლების 1, 2, ქვემო ალექსეევკის დასახლების 1, 2, 3, 4, 5 ქუჩები, თბილის-კახეთის რკინიგზის ხაზისა და აეროპორტის [illegible] ოვრე- [illegible] ეზე № [illegible] ს საე- [illegible] 77, 78, [illegible] 1, 118, [illegible]

**№ 23 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: [illegible]**
საზღვრები: [illegible] 11, 12, [illegible] 36, 37, [illegible]

**№ 24 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: [illegible]**
საზღვრები: [illegible] ქუჩა, [illegible]

**№ 25 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: [illegible]**
საზღვრები: [illegible]

**№ 26 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: [illegible]**
საზღვრები: [illegible] 5, 6, [illegible]

**№ 27 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: [illegible]**
საზღვრები: [illegible]

**№ 28 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: [illegible]**
საზღვრები: [illegible] მე-2 ნავთლუღის დასახლების ბოლოში მდებარე ხევამდე, სადგურ მე-2 ნავთლუღის მთელი ტერიტორია „ზაკტრანსსტროის" კლუბიდან გზატკეცილამდე, გაზმშენისა და ლითონბაზის ყველა საცხოვრებელი სახლი. ტრესტ „ამიერკავკასტრანსმშენის" № 4 საცხოვრებელი სახლი, ლიანდაგმემდულებელი მატარებელი № 40-ის, „მონკავშირის" დასახლებები და ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის № 1 სახლი.

**№ 29 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 94 სამუალო სკოლის შენობა (ჭიჭინაძის ქუჩა).**
საზღვრები: ჭიჭინაძის ქუჩის № 17, 19, 19 ა, 21, 21 ა, 21 ბ, 23, 23 ა, 23 ბ, 25, 27, 29, 29 ბ, 29 გ, ე, დ, ი, ე, ზ კორპუსები.

**№ 30 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 131 სამუალო სკოლის შენობა (ჭიჭინაძის ქ. № 10).**
საზღვრები: ჭიჭინაძის ქუჩის 1, 2, 3, 4, 5, 6 შესახვევებში განლაგებული საცხოვრებელი კორპუსები, ჭიჭინაძის ქუჩის 13, 15 კორპუსები, გუმათჰესის ქუჩის № 11, 13, 17, 19, 20, 21, 22 კორპუსები, მოსკოვის ქუჩის № 6, 8, ა, ბ, ე, გ, დ, ე, ქ კორპუსები.

**№ 31 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: № 6 სერვის-ცენტრი (ჭიჭინაძის ქ. № 7).**
საზღვრები: ჭიჭინაძის ქუჩის № 2, 2 ა, 3, 4, 1/1, 1/2, 1/3, 1/4, 1/5, 1/6, 1/7 კორპუსები.
გუმათჰესის ქუჩის № 1, 3, 5, 7, 9, 15, 16 კორპუსები, გუმათჰესის ქუჩის №1-ში მდებარე თბილისის დამხმარე საწარმოო გაერთიანების საერთო საცხოვრებელი, მოსკოვის ქუჩის 2, 3 ა, 4 კორპუსები, ენგურჰესის ქუჩის № 1 და № 2 კორპუსები, იდუმალის ქუჩის № 1, 2, 3, 4, 5, 6 კორპუსები, 360-ე კმ-ის ინდივიდუალური სახლები, გუმათჰესის ქუჩის მარცხენა მხარეს განლაგებული 1 ბ, 2, 2 ა, 2 ბ, 2 ვ, 4, 5, 5 ა, 10, 12, 14, 16 ა, 18, 20 ა კორპუსები.

**№ 32 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" სამრეწველო საწარმოო კომბინატის შენობა (ქინძმარაულის ქ. № 37).**
საზღვრები: ქინძმარაულის ქუჩის მარჯვენა მხარე № 1-დან № 25 ა-ს ჩათვლით, ზემო მეტალურგის სახლები № 25, 25 ა, 27, 29, 29 ა, 33, 33 ა, 35, 35 ა, № 3 საგზაო უბნის ბარაკები, ველის დასახლება, ქვემო მელითონეების კერძო დასახლება.

**№ 33 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: გრეხილი ავეჯის კომბინატის შენობა (ქინძმარაულის ქ. № 7).**
საზღვრები: მოსკოვის გამზირის მე-4 კვარტალის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, მე-5 კვარტალის 1, 2, 3, 4, 5, 8, 9, 10 კორპუსები, 43/2, 47 და 49 სახლები, დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის № 1, 1 ა, 3, 3 ა, 4 ა, 5 ა, 6 ა, 8 ა, 11 ა, 11 ბ, 12 ა, 13 ა, 14 ა, 15 ა, 16 ა, 17 ა, 19 ა, 32 ა, 36 ა და 38 ა კოტეჯები.

**№ 34 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: სააევჯო საწარმოო გაერთიანება „განთიადის" კულტურის სახლის შენობა.**
საზღვრები: მარელისის ქუჩის № 3, 27, 29, 31 სახლები და № 9, 11, 13, 15, 17, 19, 21, 23, 25 კოტეჯები, ოცხელის ქუჩის № 4, 8, 25, 25 ა, 30, 32, 34 კორპუსები, 20, 22, კოტეჯები, ქინძმარაულის ქუჩის № 1, 2, 2 ა, 3 სახლები, ქინძმარაულის შესახვევის № 1, 2, 3, 4, 5, 6, 21 და 22 საცხოვრებელი კორპუსები.

**№ 35 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 71 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა (ოცხელის ქუჩა).**
საზღვრები: ქინძმარაულის შესახვევის № 7, 8, 9, 10, 12, 13, 11, 14, 19, 20, 25, 26 კორპუსები, ოცხელის ქუჩის № 23, 24 კორპუსები, 71 პროფ. ტექ. სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი.

**№ 36 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 82 სამუალო სკოლის შენობა (ნაკადულის ქუჩა)**
საზღვრები: ნაკადულის ქუჩის 2, 3, 4, 6, 8 კორპუსები, № 362 სახ. კოოპ. ქინძმარაულის შესახვევის 15, 16, 17, 18, 29, 30, 32 კორპუსები, ტრ. „საქენერგოს" სასწავლო კომბინატის ს/საცხოვრებელი, ზ/მელითონეთა დას. საცხ. სახლები № 189-დან 214-ის ჩათვლით, ერევნის ხაზის რკინიგზის გასასვლელიდან ყველა სახლი, მელითონეთა ქვემო დასახლების ხევამდე მდებარე ბინები, № 101-დან 108-ის ჩათვლით და კერძო ბინები.

**№ 37 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების სპორტული კომპლექსის შენობა (ბ. ხმელნიცკის ქ.**
საზღვრები: დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის დასახლების № 2, 2 ა, 3 ა, 7, 11, 12, 13, 16 ა, 16 ბ, 16 გ, 15 ვ, 17 ა, 17 ბ, 17 ვ კორპუსები, № 42, 44, 45, 46, 48, 181, 181 ა, 181 ბ ინდივიდუალური სახლები, საავიაციო ქარხნის დასახლების ბ. ხმელნიცკის ქუჩის № 1, 3, 4, 4 ა, 5, 5 ა, 6, 8, 9.

**№ 38 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: 124 სამუალო სკოლის შენობა (მოსკოვის გამზირი II კვარტალი).**
საზღვრები: მოსკოვის გამზირის I კვარტალის 1, 2, 3 კორპუსები, მოსკოვის გამზირის № 41, 41/2, 43, 43/3, 45 კორპუსები, მოსკოვის გამზირის მე-V კვარტალის № 7, 11, 12 და 13 კორპუსები, დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის საერთო საცხოვრებელი, № 1, 2, 3, 4 კორპუსები.

**№ 39 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: მექანიკური ქარხნის კლუბის შენობა (მოსკოვის გამზირი № 52).**
საზღვრები: მოსკოვის გამზირის 46, 46 ა, 48, 48 ა, 48 ბ, 50 ა/1, 50 ა/2 და 52 ა კორპუსები, ქინძმარაულის მე-2 შესახვ. № 162, 2 ა, 3, 4, 5 ა, 6, 6 ა, 6 ბ, 8, 9, 10 და 12 სახლები, № 7 და № 8 კოტეჯები, მოსკოვის გამზირის სახლი № 33, 1, 2, 3, 4, 5 სახლი, № 35 კორპუსები, 1, 2, 3, 4 სახლი, № 37 კორპუსები, 1, 2, 3 სახლი (მარცხენა მხარე), ინდივიდუალური სახლები № 331, 332, 333, 334, 335, 336, 337 ა, 339, 345, 347, 348, 348 ა, 337 ბ, 337 გ.

**№ 40 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: ქარხანა „თბილხელსაწყოს" შენობა (მოსკოვის გამზირი 24 ა).**
საზღვრები: ქინძმარაულის ქუჩის მე-2 შესახვევიდან მოსკოვის გამზირის გასწვრივ კაიროს ქუჩის, ერევან-2 სამგორის წრიული რკინიგზის ლიანდაგის ხაზამდე, მოსკოვის გამზირზე მდებარე სახლები № 18-ის I-ლი კორპუსი, № 18-ის მე-2 კორპუსი, 20 ა, 22 ა, 34, 36, 36 ა, 36 ბ, 36 გ, 36 დ, 36 ე, 36 ვ, 38, 38 ა, 40, 40 ა, 40 ბ, 42, 44, № 71 სატელეფონო სადგური.

**№ 41 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: სამხედრო ნაწილის ტერიტორია (გახოკიძის ქუჩა).**

**№ 42 საარჩევნო უბანი**
**ცენტრი: სამხედრო ნაწილის ტერიტორია (ორხევის დასახლება, ახვლედიანის ჩიხი).**

**№ 6 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე**
**ვ. უსანეთაშვილი.**

# ქ. თბილისის № 7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის უბნების ცენტრები და საზღვრები

**№1 უბანი – ილ. ჭავჭავაძის სახ. №23 სამუალო სკოლის შენობა. მის: დ. უზნაძის ქ. №57**
01. 01. დ. აღმაშენებლის გამზ. 46-90
01. 02. მარჯანიშვილის №1-21
01. 03. უ. ჩხეიძის ქ. №33
01. 04. ჭოროხის ქუჩის ლუწი ნომრები
01. 05. დ. უზნაძის ქ. №43-67; 4-18.
01. 06. დოდო აბაშიძის ქ. (ყოფილი მეჩნიკოვი) მთლიანად;
01. 07. სანქტ. პეტერბურგის (ყოფ. ლენინგრადის) მთლიანად;

**№2 უბანი: – №30 სამუალო სკოლა; მის: კიევის №6**
02. 01. აღმაშენებლის გამზირი №31/6-83
02. 02. მარჯანიშვილის ქ. №25-33
02. 03. წინამძღვრიშვილის ქ. 40-90-ა
02. 04. ვარციხის ქ. 8-22
02. 05. სუნდუკიანის ქ. მთლიანად
02. 06. მაზნიაშვილის ქ. (ყოფ. მერკვილაძის) 3-19; №4-10
02. 07. კიევის ქ. მთლიანად

**№3 უბანი – მოდელების სახლი, საარბრიუკენის მოედანი 2/8**
03. 01. დ. უზნაძის ქ. №7-35. №2
03. 02. ჭოროხის ქუჩის კენტი ნომრები
03. 03. კოლხეთის ქ. (ყოფ. გრინევიცკის) მთლიანად.
03. 04. ვარციხის ქ-ის კენტი ნომრები, №2, 4
03. 05. დ. აღმაშენებლის გამზ. №1-23, №2-36
03. 06. ტოლსტოის ქ. მთლიანად
03. 07. პლატონის ქ. მთლიანად
03. 08. საარბრიუკენის (ყოფილი კ. მარქსის) მოედანი №2/8
03. 09. ნეკრასოვის ქ. მთლიანად
03. 10. ტყვიავის ქ. მთლიანად
03. 11. ჩერნიშევსკის ქ. №1-23, №2-20
03. 12. ჩერნიშევსკის I, II, III ჩიხები მთლიანად.
წინამძღვრის 1-40, 1-27

**№4 უბანი – მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების კულტურის სასახლე. მის: ხეთაგუროვის ქ. №28**
04. 01. ხეთაგუროვის ქ. № 1, 3, 4, 5, 6
04. 02. გამცემლიძის ქ. №2-16
04. 03. გამცემლიძის შესახვევი №19-25, 10-18
04. 04. თოიძის ქ. №1-37, 2-46
04. 05. თოიძის შეს: №4-40, 27, 29
04. 06. ნ. ჩხეიძის ქ. №1-29, 2-38
04. 07. დოქის შეს: №2-10/9, 1, 3, 5
04. 08. დიღხევის დაღმართი №2
04. 09. ივ. ჯავახიშვილის მოედანი №1-13
04. 10. წმ. ნიკოლოზის (ყოფილი სვერდლოვის) ქ. მთლიანად
04. 11. სულიაშვილის ქ. მთლიანად
04. 12. ციმაკურიძის ქ. კენტი ნომრები
04. 13. ბუხაიძის II შესახვევი მთლიანად

**№5 უბანი – №46 საბინაო საექსპლუატაციო უბნის შენობა, მის: კიბალჩიჩის ხევი №3**
05. 01. ხეთაგუროვის ქ. 8-40
05. 02. ხეთაგუროვის ჩიხი მთლიანად
05. 03. ნ. ჩხეიძის ქ. №31-47, 40-54
05. 04. გამცემლიძის ქ. 1-17
05. 05. გამცემლიძის შესახვევი №1-17, 2-8
05. 06. თოიძის ქ. №39-57, №48-60
05. 07. სანთლის ქ. მთლიანად
05. 08. სანთლის შესახვევი მთლიანად
05. 09. კუმისის ქ. №3-33, №2-6
05. 10. შურდულის შესახვევის ლუწი ნომრები
05. 11. ურიცკის ქუჩის ლუწი ნომრები
05. 12. ურიცკის I, II შესახვევები მთლიანად
05. 13. ურიცკის I ჩიხი მთლიანად
05. 14. ტირიფონის ქუჩა მთლიანად
05. 15. ტირიფონის შესახვევი მთლიანად
05. 16. გრემის ქუჩა
05. 17. გრემის ჩიხი მთლიანად
05. 18. პ. იბერის ქუჩა მთლიანად
05. 19. პ. იბერის შესახვევი მთლიანად
05. 20. ახვლედიანის აღმართი მთლიანად
05. 21. კიბალჩიჩის ქუჩა მთლიანად
05. 22. კიბალჩიჩის ხევი მთლიანად
05. 23. კიბალჩიჩის შესახვევი მთლიანად
05. 24. სამოქალაქოს ქ. №4-დან №18-ის ჩათვლით
05. 25. სამოქალაქოს ჩიხი მთლიანად
05. 26. სპარტაკის ქუჩა №3-25, 2-26
05. 27. სპარტაკის შესახვევი მთლიანად
05. 28. სპარტაკის გასასვლელი №9, 11, 13, 14
05. 29. ბალმაშევის ჩიხი მთლიანად
05. 30. ბალმაშევის ქ. №1, 2, 3, 4, 5, 8, 9, 10, 12, 14
05. 31. ბალმაშევის შესახვევი მთლიანად
05. 32. კალატოზის ქუჩა მთლიანად
05. 33. ბახვის შესახვევი მთლიანად
05. 34. ბურის შესახვევი მთლიანად
05. 35. კარდანახის შესახვევი მთლიანად
05. 36. ქედის შესახვევი მთლიანად
05. 37. ქედის II შესახვევი მთლიანად
05. 38. ქედის ჩიხი მთლიანად
05. 39. ქედის II ჩიხი მთლიანად №5 და №7-ის გარდა
05. 40. ორხევის შესახვევი მთლიანად
05. 41. ორხევის გასავალი
05. 42. შემოსავლის ჩიხი მთლიანად
05. 43. მაცეხის შესახვევი მთლიანად

**№6 უბანი – მანქანათმშენებელი ქარხანა „მეგობრობა" მის: გედევანიშვილის ქ. №25**
06. 01. გედევანიშვილის ქუჩა მთლიანად
06. 02. გედევანიშვილის ჩიხი მთლიანად
06. 03. ფშავის ქ. ლუწი ნომრები
06. 04. ბუხაიძის ქ. 1-53, 10-54
06. 05. ბუხაიძის I შესახვევი მთლიანად
06. 06. კუმისის ქ. №8/1-40
06. 07. კუმისის შესახვევი მთლიანად
06. 08. კუმისის გასასვლელი მთლიანად
06. 09. შურდულის შესახვევის კენტი ნომრები
06. 10. დოქის შეს: №7, 9, 11, 14, 16
06. 11. ჩაისუბნის ქუჩები მთლიანად
06. 12. გამცემლიძის ქ. №19-29, 18, 20, 22
06. 13. გორკის შესახვევი კენტი ნომრები

**№7 უბანი – №31 სამუალო სკოლა მის: ჩიქობავას ქ. №17**
07. 01. ივ. ჯავახიშვილის ქ. №1-35, 2-44
07. 02. ჩერნიშევსკის ქ. №25/28
07. 03. ჩიქობავას ქ. №1-19, 2-24
07. 04. გორკის ქ. №1-35, 2-50
07. 05. გორკის შესახვევის ლუწი ნომრები
07. 06. გორკის I ჩიხი მთლიანად
07. 07. გორკის II ჩიხი მთლიანად
07. 08. ნათიშვილის ქ. მთლიანად
07. 09. ჩერქეზიშვილის (ყოფ. ბოჭორიშვილის) ქ. №1-5
07. 10. ბუხაიძის ქ. №2, 4, 6
07. 11. ლოჭინის ქ. კენტი ნომრები
07. 12. ლოჭინის შესახვევის კენტი ნომრები
07. 13. ვეძათხევის ქუჩა მთლიანად
07. 14. ვეძათხევის შესახვევი მთლიანად
07. 15. ციმაკურიძის ქუჩის ლუწი ნომრები
07. 16. ადიგენის ქუჩის ლუწი ნომრები
07. 17. არაგვისპირელის ქ. №2-12
07. 18. წინამძღვრიშვილის ქ. №25-39
07. 19. კანკავას ქ. მთლიანად
07. 20. ტურგენევის ქუჩის კენტი ნომრები მთლიანად

**№8 უბანი – I დამხმარე სკოლა მის: გოცირიძის ქ. №2**
08. 01. გოცირიძის ქ. მთლიანად
08. 02. ბენაშვილის (ყოფ. კოჩეტკოვის) კენტი ნომრები მთლიანად
08. 03. ჩერქეზიშვილის (ყოფ. ბოჭორიძის) ქ. №7-51 ლუწი ნომრები მთლიანად
08. 04. ჩიქობავას №21-57
08. 05. ჩიქობავას შესახვევი მთლიანად
08. 06. ჩიტაიას ქ. №1, 3
08. 07. კალანდარაშვილის ქ. მთლიანად
08. 08. ტ. გრანელის ქ. მთლიანად
08. 09. ტ. გრანელის შესახვევი მთლიანად
08. 10. მამარდაშვილი (ყოფ. არდონის) ქ. №1-17, 2-26
08. 11. ლენტეხის ქ. მთლიანად
08. 12. ოსიაურის ქ. თბილისის
08. 13. ოსიაურის შესახვევი მთლიანად
08. 14. ვერხანის ქუჩა მთლიანად
08. 15. ვერხანის შესახვევი მთლიანად
08. 16. არაგვისპირელის ქ. კენტი ნომრები მთლიანად №14-44
08. 17. არაგვისპირელის შესახვევი მთლიანად
08. 18. დოჭინის ქ. ლუწი ნომრები მთლიანად
08. 19. დოჭინის შესახვევის ლუწი ნომრები მთლიანად
08. 20. გ. ჩუბინიშვილის ქ. 1-9
08. 21. ჩერქეზიშვილის (ყოფ. ბოჭორიძის) შესახვევი მთლიანად
08. 22. აჯამეთის ქ. მთლიანად
08. 23. იაროსლავის ქ. №2

**№9 უბანი – №35 პროფსასწავლებელი მის: ჯავახიშვილის ქ. №60**
09. 01. მ. წინამძღვრიშვილის ქ. №49-69
09. 02. მარჯანიშვილის ქ. №37-51-53
09. 03. მ. ჩუბინიშვილის ქ. №4-16
09. 04. საბჭოს 42/3 44/5 46/7 46/7 48/9
09. 05. მაზნიაშვილის ქ. №21-37, 10-20
09. 06. ი. ჯავახიშვილის №37-67, №46-78
09. 07. ნინოშვილის ქ. №3-15, 2-18, 20
09. 08. კიტა აბაშიძის ქ. მთლიანად
09. 09. ჩიქობავას 26-36
09. 10. ტურგენევის ქ. ლუწი ნომრები

**№10 უბანი – №36 სამუალო სკოლა მის: სხულუხიას ქ. №4**
10. 01. ჩუბინაშვილის ქ. №11-29
10. 02. კლდიაშვილის ქ. №13, 15, 17
10. 03. ჩიტაიას 35-39, 2-20
10. 04. ბენაშვილის (ყოფ. კოჩეტკოვის) ლუწი ნომრები
10. 05. ბენაშვილის გასასვლელი მთლიანად
10. 06. ახალციხის ქ. მთლიანად
10. 07. მარჯანიშვილის ქ. №55-69, 42-58
10. 08. მარჯანიშვილის ჩიხი
10. 09. ერისთავის ქ. მთლიანად
10. 10. სხულუხიას ქ. მთლიანად
10. 11. ანაკლიის ქ. მთლიანად
10. 12. ჩანჩიბაძის ქ. მთლიანად

**№11 უბანი – კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის შენობა მის: ივ. ჯავახიშვილის ქ. 88**
11. 01. მ. წინამძღვრიშვილის ქ. №71-117
11. 02. 26 მაისის (ყოფ. 25 თებერვლის) №17, 19, 21, 14, 16
11. 03. ივ. ჯავახიშვილის ქ. №69-83, 80-120
11. 04. კლდიაშვილის ქ. №2, 1-11
11. 05. გ. ჩუბინიშვილის ქ. №18-36
11. 06. მარჯანიშვილის ქ. №32-40
11. 07. ნინოშვილის ქ. №17-37, 22-36
11. 08. კონსტიტუციის ქ. №1, 3, 5

**№12 უბანი – №29 სამუალო სკოლა მის: ნინოშვილის №39**
12. 01. ივ. ჯავახიშვილის ქ. №85/4-109
12. 02. კონსტიტუციის ქ. №7-27
12. 03. ჩიტაიას ქ. №22-44
12. 04. კლდიაშვილის ქ. №4-16, 18
12. 05. ნინოშვილის ქ. №39-57, 38-60
12. 06. გ. ჩუბინიშვილის ქ. №31-53, 40-50
12. 07. გოგოლის ქ. №1-41, 2-40
12. 08. ფიროსმანის ქ. №1-21, 2-40

**№13 უბანი – საჩამომსხმელო მოწყობილობათა ქარხანა მის: ნინოშვილის ქ№123**
1. ჩუბინაშვილის ქ. №55-81
2. თევდორე მღვდლის ქ. №1-7
3. გოგოლის ქ. №43/18-61; 42-68
4. ფიროსმანის ქ. №23-33; 42-56
5. კონსტიტუციის ქ. №4-12
6. ფოცხვერაშვილის ქ. №56-დან მთლიანად
7. თამარ მეფის გამზირი №26-30; 29-დან მთლიანად.

**№14 უბანი – სამუალო სკოლა მის: ცოტნე დადიანის ქ. №19**
14.01. ცოტნე დადიანის ქ. 39-39
14.02 ლელაშვილის ქ. №1,3, 5, 7, 9, 2-14
14.03. ლელაშვილის შესახვევი მთლიანად
14.04. ქურდიანის (ყოფ. ზაქრაძის) №13-43, ლუწი ნომრები მთლიანად
14.05. მეუნარგიას ქ. №1/9-13, 2-10
14.06. გურგენიძის (ყოფ. გრომოვი) ქუჩა, შესახვევი მთლიანად
14.07. ლალიონის ქუჩა, შესახვევი მთლიანად.

**№15 უბანი – მე-5 სამუალო სკოლა მის: ხუდადოვის ქ. №63**
15.01. ხუდადოვის ქ. კენტი ნომრები მთლიანად, სამხედრო დასახლება №173.
15.02. I რეხის ქ. მთლიანად
15.03. II რეხის ქ. მთლიანად
15.04. III რეხის ქ. მთლიანად
15.05. ტყეკულტურის მ. მთლიანად
15.06. ტყეკულტურის შესახვევი მთლიანად
15.07. წყაროს ქ. მთლიანად
15.08. სამშვილდოს ქ. მთლიანად
15.09. არგვეთის ქ. მთლიანად
15.10. მანგლისის ქ. მთლიანად.

**№16 უბანი – №2 სამუალო სკოლა, მის: მეუნარგიას №28**
16.01. ქურდიანის (ყოფ. ზაქრაძის) ქ. №1-11
16.02. ლელაშვილის ქ. №11-19
16.03. მარუაშვილის ქ. ლუწი ნომრები
16.04. ზაზიშვილის (ყოფ. მონტინის) ქ. №14-38
16.05. მეუნარგიას ქ. №15-27, 12-26 ა.
16.06. მეუნარგიას I შესახვევი მთლიანად
16.07. ქურდიანის (ყოფ. ზაქრაძის) შესახვევი მთლიანად
16.08. ზაზიშვილის II შესახ. გადასვლა ქ. №14
16.09. ზაზიშვილის III შეს. №7/16-61, 8-40
16.10. №22 სამხედრო დასახლება მთლიანად.

**№17 უბანი – ვაჭრობის სახლი, მის: ზაზიშვილის ქ. №1**
17.01. ჩიტაიას ქ. №41-43
17.02. ც. დადიანის ქ. №1,3,5
17.03. ზაზიშვილის ქ. №1-45, 2-14 ბ
17.04. 9 ძმის ქ. №1-63, 2-48
17.05. თეთნულდის ქ. №1-9, 2-50
17.06. გროზნოს ქუჩა და ჩიხი მთლიანად
17.07. ჩიტაიას ჩიხი მთლიანად
17.08. შირშოვის ქ. მთლიანად
17.09. როსტოვის ქ. №1-15, 2-28
17.10. თეთნულდის შესახვევი მთლიანად
17.11. თეთნულდის ჩიხი მთლიანად
17.12. ყირიმის ქ. მთლიანად
17.13. ყირიმის შესახვევი მთლიანად
17.14. მამრაძის ხევი მთლიანად.

**№18 უბანი – №3 სამუალო სკოლა, მის: 9 ძმის ქ. №58**
18.01. მარუაშვილის ქ. კენტი ნომრები
18.02. სამურზაყანოს ქ. მთლიანად
18.03. სალხინოს ქ. მთლიანად
18.04. სალხინოს შესახვევი მთლიანად
18.05. სენაკის ქ. მთლიანად
18.06. გიგიშვილის ქ. მთლიანად
18.07. ზაზიშვილის ქ. მთლიანად
18.08. აჭარის ქ. მთლიანად
18.09. სარკინეთის ქ. მთლიანად
18.10. აგარის ქ. მთლიანად
18.11. აფხაზეთის ქ. მთლიანად
18.12. აფხაზეთის I შეს. მთლიანად
18.13. აფხაზეთის II შეს. მთლიანად
18.14. 9 ძმის ქ. №65-145, 50-184
18.15. 9 ძმის შეს. მთლიანად
18.16. ხონის ქ. მთლიანად
18.17. აბაშიძის ქ. მთლიანად
18.18. ტაშირის ქ. მთლიანად
18.19. ჭალადიდის ქ. მთლიანად
18.20. ლანჩხუთის ქ. მთლიანად
18.21. ცაიშის ქ. მთლიანად
18.22. ატოცის ქ. მთლიანად
18.23. თეკლეთის ქ. მთლიანად
18.24. ლებარდოს ქ. მთლიანად
18.25. ქვალონის ქ. მთლიანად
**ლაილაშის ქ.**
**ასხილის ქ.**

**№19 უბანი – №6 ბიბლიოთეკა ფილიალი მის: ნორიოს აღმართი №24**
19.01. თეთნულდის ქ. №11-23
19.02. როსტოვის ქ. 319
19.03. ნორიოს აღმართი №1-57, 2-26
19.04. ლარეხის ქუჩის ლუწი ნომრები
19.05. ლარეხის I შესახვევი მთლიანად
19.06. ართვინის ქ. №2-60
19,07. კიკვიძის ქ. მთლიანად
19.08. პალიასტომის ქ. მთლიანად
19.09. კაპანაძის ქ. მთლიანად
19.10. ფარავანის ქ. მთლიანად
19.11. მიჩურინის ქ. მთლიანად
19.12. უფლისციხის ქ. მთლიანად
19.13. საქარის ქ. მთლიანად
19.14. ჩეჩელაშვილის ქ. №1-27, 2-32
19.15. ჩეჩელაშვილის I, II, III, IV შესახვევები მთლიანად.

**№20 უბანი – №5 პროფტექნიკური სასწავლებელი, მის: ართვინის ქ. №49(53)**
20.01. დავითაშვილის (ყოფ. შრომის) ქ. ლუწი ნომრები
20.02. დიღომბარის ქ. მთლიანად 20.03. დიღომბარის შესახვევი მთლიანად
20.04. ჯაბაურის ქ. შრომის ქ. გადაკვეთიდან მარცხნივ ბოლომდე
20.05. ჯაბაურის შესახვევი მთლიანად
20.06. ართვინის ქ. კენტი ნომრები მთლიანად
20.07. ართვინის ლუწი ნომრები №62-დან ბოლომდე
20.08. ჩეჩელაშვილის ქ. №29-159, 34-112
20.09. ლარეხის ქ. №1-17
20.10. ლარეხის II შეს. მთლიანად
20.11. ლარეხის II ჩიხი მთლიანად
20.12. მამარდაშვილის (ყოფ. არდონის) ქ. №19-69, 28-74
20.13. მნათობის ქ. მთლიანად
20.14. მნათობის ჩიხი მთლიანად
20.15. ნორიოს აღმ. №59-61, 54 ა, №54 ბ
20.16. ქურთების დასახლება.

**№21 უბანი – №26 სამუალო სკოლა მის: ხრამჰესის ქ. №14**
21.01. დავითაშვილის ქუჩის კენტი ნომრები მთლიანად
21.02. ხრამჰესის ქ. ლუწი ნომრები მთლიანად
21.03. II ლამის ქ. მთლიანად
21.04. ლამის ქ. მთლიანად
21.05. III ლამის ქ. მთლიანად
21.06. სილნაღის ქ. მთლიანად
21.07. ჯაბაურის ქ. მარჯვენა მხარე დავითაშვილის ქ. გადაკვეთამდე
21.08. პ. ბაგრატიონის ქ. მთლიანად
21.09. თამარაშენის ქ. მთლიანად
21.10. თამარაშენის ჩიხი მთლიანად
21.11. თამარაშენის I ჩიხი მთლიანად
21.12. თამარაშენის II ჩიხი მთლიანად
21.13. თამარაშენის III ჩიხი მთლიანად
21.14. პისარევის ქ. მთლიანად
21.15. ბერიაშვილის ქ. მთლიანად
21.16. ბერიაშვილის ჩიხი მთლიანად.

**№22 უბანი – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მატეის" შენობა მის: ხრამჰესის ქ. №1**
22.01. ხრამჰესის ქ. კენტი ნომრები
22.02. გუმათის ქ. მთლიანად
22.03. I-II ბოდავის ქუჩები მთლიანად
22.04. ახუთის ქ. მთლიანად
22.05. I ახალი არსენალის ქ. მთლიანად
22.06. II ახალი არსენალის ქ. მთლიანად
22.07. არსენალის მთა მთლიანად
22.08. ახალი არსენალის ჩიხი
22.09. ასპინძის ქ. მთლიანად
22.10. ასპინძის I შესახ. მთლიანად
22.11. I ასპინძის ქ. მთლიანად
22.12. II ასპინძის ქ. მთლიანად
22.13. მეგამის ქ. მთლიანად.

**№23 საარჩევნო უბანი – ი. ჯავახიშვილის სახ. თსუ კლ. საავადმყოფო დ. აღმაშენებლის გამზ. №60**

**№24 საარჩევნო უბანი – ქალაქის №2 კლ. საავადმყოფო, კონსტიტუციის ქ. №2**

**№25 საარჩევნო უბანი – ტუბერკულოზის ინსტიტუტი, მარუაშვილის ქ. №50**

**№26 უბანი – სააქციო საზოგადოება „ოპიზარი" მის: წინამძღვრიშვილის ქ. №123**
1. ჩუბინაშვილის ქ. №52-70
2. ნინოშვილის ქ. №59-71; 68-80
3. წინამძღვრიშვილის ქ. №119-127
4. სურამის ქუჩა მთლიანად
5. კონსტიტუციის ქ. №2
6. ფოცხვერაშვილის ქ. №2-54
7. თამარ მეფის გამზირი №15-27.

**№27 საარჩევნო უბანი – სამხედრო ნაწილი (მახათას მთა)**

**№28 საარჩევნო უბანი – სამხედრო ნაწილი (ნორიოს აღმ. №2).**

**№ 7 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე**
**მერაბ ჩხარტიშვილი.**

დამატება
ბავშვებისათვის №2 (24).
2000 წლის 27-28 თებერვალი.

# დილა მშვიდობისა



## თებერვალი დადგაო



(ხალხური)

თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი გადგაო.

თებერვალი ბერავსო,
მარტი კაბას კერავსო,
აპრილი გამწარებული
სახნის-საკვეთს ჰფერავსო!

შიო მღვიმელი

## ია

ველზე ია ამოვიდა,
მიიხედა, მოიხედა.
„მწყურიაო" – ჩუმადა თქვა

დაძახება ვერ გაბედა.
ველზე ია ცქრიალებდა,
კლდეზე წყარო
ჩქრიალებდა,
მთა და ბარში
გაზაფხულის
უხვი მადლი ტრიალებდა.

გივი ჭიჭინაძე

## იის ნატვრა



რას ინატრებ, იავ, რასა?
– წვიმის ხმასა
წკრიალასა.
მუდამ ასე ვამშვენებდე,
საქართველოს
იალაღსა.

* * *

აი, ია ამოსულა,
მღერის მზია, ხარობს ზურა,
– რაო, რაო, ციცქნა დაო?!
– გაზაფხული
მობრძანდაო.



მაყვალა მრევლიშვილი

## ნუ შეშინდი

ნუ შეშინდი, ია,
კი არ მოგწყვეტს მზია,

მხოლოდ უნდა გნახოს, –
მოგიჯდება ახლოს,
სხვა ბავშვებსაც ეტყვის
ხელი არვინ გახლოს.

შოთა ხოდაშნელი

## პირდაუბანელი



აბა, ერთი შეხედე
გარეშემო ყველასა!
თვითონ მზეც კი პირს იბანს,
ფისუნაც და მელაცა.

დელი, დელი დელასა,
დამიხედეთ ლელასა, –
პატრა გოგოს ლელასა,
ამ პირუბანელასა.

ყველა ერთად დასცინის
პირდაუბანელასა.
ლელა კი თვალს არიდებს
მზის სხივების მზერასა.

## ღნავალა



დადის მარტო, დაკნავის
თავის მიავ-მიაუს,
პატრონს რომ გააგონოს
მაჭამეო, მშიაო.
მშიაო, მაჭამეო,
პური, ხორცი, რამეო,
თაგვი არ დამანახოთ,
დღე არი თუ ღამეო!

მაგათ წრუწუნ-
წრუწუნი
არ მაძინებს ღამეო.
და დასცინის
ზარმაცას
მამლის მთელი ამალა.
ამიტომაც შეარქვეს
ამ ფისუნას ღნავალა!

იაკობ გოგებაშვილი

## გაზაფხული



დღე დეკემბრიდანვე მატულობს: ცხრა მარტს დღე ღამეს სრულიად უსწორდება და გაზაფხული ამ რიცხვიდან იწყება. ამ დროიდან მზე უფრო და უფრო გვიახლოვდება, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მაღლა-მაღლა მოდის, უფრო ადრე ამოდის და გვიან ჩადის, ამიტომ დღე დიდდება, ღამე კი თანდათან პატარავდება. რამდენიც დრო გადის, იმდენი მზე უფრო გვიპირდაპირდება და თავის სხივებს უფრო დასწვრივ ჰგზავნის. ამიტომ ქვეყანა თანდათან თბება. თოვლი მინდორსა და მთებში დნება, ყინული წყალში თხელდება, ტყდება და წყალს მიაქვს. მდინარეები საშინლად ადიდდნენ; რუებში წყალი აღარ ეტევა: ნაპირებზე გადმოდის და გარემემო მინდვრებსა რწყავს. მდინარეებში გასვლა ძნელი ხდება. ზოგიერთს მთის ღელეში, სადაც მზე ვერ უდგება, თოვლი გაზაფხულის სითბოს ჯერ კიდევ უმალიანდება, მაგრამ ტყუილად: ბრწყინვალე მზე ამ თოვლსაც მალე აქცევს წყლად და ადიდებულს მდინარეში გაჰგზავნის.

გაზაფხული ყველგან ერთს დროს არ იწყება. სამხრეთისკენ მდებარე ქვეყნებში უფრო ადრე დადგება ხოლმე. რომელი ქვეყანაც ჩრდილოეთისკენ არის, ის უფრო გვიან მოესწრება ხოლმე გაზაფხულს. მაგალითად, აპრილში ჩვენში მინდვრები მწვანითა და ყვავილებით არის მოფენილი, რუსეთში კი ამ დროს ჯერ ისევ თოვლი სძევს, თებერვალში ჩვენში ისევ ზამთარია, სპარსეთში კი ამ დროს გაზაფხულია გაჩაღებული.

გაზაფხულის სითბომ მთელი დედამიწა გაალვიძა. აიღო თუ არა თოვლი, ველზე მაშინვე მწვანე ბალახმა თავი ამოყო. ნათესმა მინდორში იწყო საამური ბიბინი მწვანე ხავერდივით. აქა-იქ ადრეული ყვავილებიც გაიშალა. გაზაფხულის სითბომ ხეებიც ზამთრის ძილიდან გამოაფხიზლა: ჯერ კოკორი გამოიტანა ხეებმა, მერმე თეთრი ყვავილები გადაიშალა და ბოლოს ხშირი ფოთლებით შეიმოსა. ყველაზე ადრე ნერგმა გამოიფოთქა მწვანედ. დიდგულა, ცაცხვი, მურყანი, მუხა, ნეკერჩხალი ერთი მეორის შემდეგ საამურად იშლება და იფოთლება. ჭალა, სადაც ზამთარში კაცის თვალს არაფერი დაემალება, სრულიად იბურება, ასე, რომ შიგ არაფერი სჩანს. მინდორი შეღებრებული ბალახით აივსო; მრავალი ყვავილი გაიშალა. ზამთარში ბუნება უოველთვის ერთგვარია; კაცი სულ ერთსა და იმავე თოვლს ან ტიტველ მიწას ჰხედავს; გაზაფხულზე კი ყოველს დღეს ახალ-ახალი რამე ჩნდება: აქ მტრედისფერმა თაგვისყურამ თავი ამოყო, იქ გაიშალა ზამბახი და გარშემო საამური სუნი მოჰფინა: აქ მწვანეში ელვარება დაიწყო მარწყვის პატარა, თეთრმა ყვავილმა, რომელიც გაზაფხულის გასულს დაწითლდება და გემრიელ ხილად გადაიქცევა. ბალი, ვაშლი, მსხალი, ნუში, ატამი იმოსება ზოგი თეთრი და ზოგი თეთრ-წითელი ყვავილითა.

გაზაფხულს თან მრავალი ფრინველი მოსდევს. აგერ, რაღაცამ მაღლა ცაში დილით ზარივით სიმღერა შემოსძახა: ეტყობა, ტოროლა მოსულა, პატარა ხანს უკან მარდი და კეთილი მერცხლებიც გვეწვევიან. შროშანი, მოლაღური, ღალღა, მწყერი, გუგული ერთი მეორის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში სიხარულით მოდიან. მინდორი, ტყე და ჭალა სხვადასხვა ფრინველებით ივსება. ამათი გალობა და ჭიკჭიკი, ჭყივილი და სტვენა მთელს ბუნებას აღვიძებს. წეროები, გარეული ბატები და იხვები, მაღლა ჰაერში დამწკრივებულნი, ჩრდილოეთისკენ მიდიან. ბულბულიც მალე გაამხიარულებს ჩვენს ქვეყანას თავისი მოსვლით და ჭალას სანატრელს ლექსებს დასძახებს. ზოგიერთი მოსული ფრინველები ჩვენში არ ჩერდებიან, ჩრდილოეთისკენ მიდიან: მაგალითად, წეროები და გარეული ბატები. უფრო ბევრი კი მთელს ზაფხულს ჩვენთან რჩება. რომელნიც ჩვენთან რჩებიან, ბუდის კეთებას იწყებენ: დაფრინავენ, ჭყივიან, ირჯებიან, აგროვებენ ხის ხმელს ტოტებს, ჩალას, ხავსსა, ბუმბულსა და თავის მომავალს შვილებს ბინას უკეთებენ. ბუდრუგუნა ჭიანჭველები, ჭრელი პეპლები, უშნო ბუზანკალები მრავალნი ჩნდებიან. კაცის შემაწუხებელი კოღო, ქინქლა და სხვა მფრინავი და მცოცავი მწერები, რომელთა ხსენებაც არსად იყო ზამთარში, გაზაფხულზე ათასობით მოჰფენენ ხოლმე მიწას და ჰაერს. მხნე ფუტკარი, რომელმაც მთელი ზამთარი თბილს სკაში მილით გაატარა, გაზაფხულზე იფხიზლებს, თავის წმინდა სანთლის ოთახს თავს ანებებს, ზუილით მიფრინავს უვავილებისაკენ და იქ ტკბილს წვენს აგროვებს თაფლის გასაკეთებლად.

გაზაფხულზე მხეც ნადირებიც გაალვიძა: დათვმა, ზღარბმა, ციყვმა და სხვებმა ბუნაგებს, ხის ფუღუროებს თავი დაანებეს და ტყე-ჭალას მოედვნენ. კაცი ნადირთ იშვიათად ჰხედავს და ამიტომ არ იცის, თუ იმათ რარიგ უხარიათ გაზაფხულის დადგომა. მაგრამ შინაურ საქონელს კი ყველა ამჩნევს სიხარულსა და სიამოვნებას. ეს საცოდავები მთელს ზამთარს ბოსელში ტუსაღებივით იყვნენ დამწყვდეულნი; იქ თბილოდათ და საჭმელიც საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ მოშორებულნი იყვნენ გამაცოცხლებელს მზის შუქსა, წმინდა ჰაერსა და თავისუფალს მოძრაობას. მწვანე და ნოყიერი ბალახის მაგივრად მთელს ზამთარს ხმელი თივით, ფუჩეჩით და ბზით იკვებებოდნენ. მოვიდა გაზაფხული და ამგვარს შემავიწროებელის ცხოვრებიდან შინაური საქონელი გამოიხსნა. ამიტომ დიდს სიხარულში არიან, ბოსლიდან გამოშვების შემდეგ თავის სიამოვნებას კუნტრუშით იჩენენ. ისინიც კი დახტიან, რომელნიც ზამთარმა ისე დაამჭლევა, რომ სიარულის დროს ფეხები ეხლართებათ სისუსტის გამო.

ეს დრო ადამიანებისთვისაც დიდად სასიამოვნოა. გაზაფხულის სითბო აფხიზლებს მას, წმინდა შეზავებული ჰაერი მთელს სხეულს სიცოცხლით უვსებს, მწვანე მინდორი, სურნელოვანი ყვავილებით დაფენილი, იმის თვალს იტაცებს და დიდს კმაყოფილებას აგრძნობინებს; ფრინველების ჭიკჭიკი და მრავალგვარი გალობა იმის ყურსა დ სმენას ტკბილად შეაქცევს. ერთი სიტყვით, ამ დროს ბუნება სიამოვნებით სავსეა. მაგრამ ვინც ბუნებასთან უფრო ახლოა, იმას ამგვარის სიამოვნებისთვის არა სცალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა ბრეგვაძე

# ჭადარი



ბებერი რცხილას გვერდით ვდგევარ, საამო სანახავია ჩემი გარემო. უამრავი ბალახეული საფარი ამშვენებს ტყის კალთას. ხავსის ნაირსახეობა, – ქვები და კლდეები მწვანით რომ შეუმოსავთ, ფერადი ყვავილებით მოქარგულ ხალიჩას ჰგავს იგი. ერთმანეთს ავსებენ და ალამაზებენ ტყის კამა და ფურისულა, ბებრის კონა, სელი, სვინტრი, ქრისტესისხლა და ვინ მოთვლის, კიდევ რა.

ფრინველთა სიმღერა და გალობა ატკბობს ჩემს ყურთასმენას, განსაკუთრებით კი ერთი პაწია ლაბუა ბიჭი, რომელიც სულ ჩემს კალთას ეფარება. ჩემს წინ პატარა ღელეც მიედინება, ისეთი წმინდა და ანკარა, რომ როცა კი ადამიანები, ამ ტყეში მოვლენ, ღელეს წყლით იკლავენ წყურვილს.

ხანდახან ისეთი სიჩუმე ჩამოწვება, გეგონებათ, რომ ყველა სულდგმული დახოცილა, ან ამ ტყიდან გახიზნულაო – მაშინ უნებურად შევკრთები ხოლმე, მაშინ ჩავღუნავ თავს და მკვდარს ვემსგავსები, – თითქოს ზეზეულად გავხმი კიდეც, მაშინ უსიამო ფიქრს მივეცემი, ჩემი სიცოცხლის ძაფი წყდება თითქოს, მეჩვენება, რომ ტანიდან ხმელი ტოტები დამცვივა, მერე ადამიანები, ჩემგან ჩამოგლეჯილი წიწვებიდან კოცონს გააჩაღებენ, მერე კი ძირიანად მომთხრიან და ფერფლად მაქცევენ.

სად, სად, გადაიკარგა ლაბუა ბიჭი, ან სად არიან მისი ბარტყები? ეს კითხვაა ჩემი სულის მოუსვენრობის მიზეზი.

სიჩუმეს ქარის გრიალი არღვევს, ხეთა შრიალი მომესმის, ჩემი ფოთლებიც შეირხევიან, ქარს უნდა მითხრას:

– ნუ, ნუ, გძინავსო, რად ჩაგიღუნავს თავი, რას ნაღვლობო?

რა ვუთხრა, – რა ვუპასუხო? რა იცის, რა მასაზრდოებს, და მკვებავს, რა მაძლევს ძალას, რა მმატებს სიმხნევეს, რა მაძლევს ხალისს? – რომ ვიარსებო, მას ჰგონია მარტო მზის ბრწყინვალება და სითბო, ან სავსე მთვარე, ღამით რომ თავს დამადგება და დამცქერის და ნუგეშს მაძლევს, ან თუნდაც ეს პატარა ღელე, მტრედის ღუღუნს რომ მაგონებს, ან მწყერის ქღურტულს, ისე საამოდ მღერის.

ო! რა იცის, თუ რა მიკლავს და მიმღუღრავს გულს, რად და რისთვის ვსუნთქავ. არა ვერ წვდება ჩემი სულის წუხილს.

არ მშია, არ მწყურია, არც მცივა, ჩემი უგრძესი ფესვები მდინარის წყალსაც მიწვდება, არც საკვების სიმცირეს განვიცდი, აქაც ჩემი ფესვები მეხმარებიან ღრმად ჩავწვდე დედამიწის გულს და ამოვსუტო ყველა სინოყივრე, მაგრამ რად? რისთვის, თუ ლაბუა ბიტის სუნთქვას არ გავიგებ და ყურთასმენას მისი ჭიკჭიკი არ გააბრუებს?..

გიორგი წერეთელი

## აი, ია



აი, ია,
აი, ია.
რა ლამაზი
ყვავილია.
მინდორშიაც
ბაღჩაშიაც
ყვავის ია.

სადაც თვალით
შემიხედავს,
სადაც ფეხით გამივლია,
ყველგან ვნახე და
ყველგან ვთქვი:
— აი, ია.
აი, ია
ია თურმე დედის ცრემლზე
ამოსული ყვავილია.

## კოჭლმაჯამა

ასეთი გვაქვს
შინ ათასი
სასმისია
ჰქვია...



ზარმაცისთვის
აბეზარი,
რეკავს დილით
ადრე...

ეკამ შეკრა თაიგული,
გაახარა მამის...

## მეციხოვნე

ზეკარი და კლდეკარი,
რაც შემეძლო შევ...
ახლა შენი ჯერია, –
არ გაუღო
მტერს...



მანანა რამიშვილი

## ხუთი თითი

ხელს აბია ხუთი თითი,
მათ ახლავე ჩამოგითვლით:
ცერი, ნეკი, არათითი,
სალოკი და შუათითი,
უჰ, გრძელია შუათითი,
მასზე მოკლე –
არათითი.
სალოკს ოდნავ ჩამორჩება
ცერი მსხვილი,
ნეკი წვრილი.

ნუნუ ქადაგიძე

# დრაკონის ცრემლი



ყური მოჰკრა, დედამიწაზე დრაკონის წელიწადი დგებაო... დრაკონმაც მაშინვე დედამიწისკენ აიღო გეზი. ვეება ფრთები ფართოდ გაშალა. ქერეჭით დაფარულ ტანს ველივით მიასხმარტალებდა. ვერავითარი ციფრი, ვერავითარი ხელსაწყო ვერ აღწერს, თუ რა მანძილი დაფარა ან სამყაროს რომელი კუნჭულიდან მოიჩქაროდა იგი. ერთს ვიტყვით მხოლოდ, მისი ფრთების ყოველი შერხევა ერთ სინათლის წელიწადს მაინც ფარავდა, თუ მეტს არა.

აგერ დედამიწაც, საოცნებო ცისფერი ცთომილი! დრაკონს გული სიხარულით აუფანქცალდა. წინასწარ ტკბებოდა იმის წარმოდგენით, თუ როგორ მიულოცავდა ახალ წელს ადამიანებს. ისინიც ძალიან გაიხარებდნენ და მადლობით გადაუხდიდნენ სამაგიეროს. აბა, რა უნდა იყოს იმაზე სასიამოვნო, რომ დრაკონის წელი თვით დრაკონმა მოგილოცოს! მალე საათის ისრები თორმეტს გაუსწორდნენ. დედამიწა სადღესასწაულო ხმებმა და ფერებმა წალეკა. დრაკონმაც კიდევ უფრო ფართოდ გაშალა ფრთები, ნელ-ნელა ირგვლივ შემოუფრინა დედამიწას, თან თათებს იქნევდა, ახალი წლის დადგომას ულოცავდა ქუჩებში გამოფენილ მოზეიმე ხალხს.

უცნაური რამ მოხდა, საპასუხოდ ხელი არავინ დაუქნია, მის მილოცვას არავინ გამოეხმაურა. თუმცა შეუმჩნეველი არ დარჩენილა დრაკონი, მის შესახებ შენიშვნების გამოთქმაც არ დაიზარეს ადამიანებმა.

— ერთი შეხედე, რა ორიგინალური ფორმის შუშხუნაა. დრაკონს ჩამოჰგავს — თქვა ერთმა.

— არა, ეს მფრინავი გველია. თანაც დიდი ხელოვნებითაა დამზადებული. ნახე, თითებს ცოცხალივით ამოძრავებს, — გამოეხმაურა მეორე.

— ეს არც შუშხუნაა, არც მფრინავი გველი. ეს ნიანგია, აი, ნახავთ, ცრემლების ზღვა თუ არ დაგვატეხოს თავზე, — გაიხუმრა მესამემ.

კიდევ კარგი, დრაკონს არ ესმოდა ეს მითქმა-მოთქმა, მალიან დიდ სიმაღლეზე მიფრინავდა, მაგრამ საპასუხოდ რომ არავინ მიესალმა, ეს კი ძალიან ეწყინა.

გული მაინც არ გაიტეხა დრაკონმა. მეორედ შემოუფრინა დედამიწას, მესამედაც... საპასუხო მისალმებას ვერა და ვერ ეღირსა. მიუხედავად მრისხანე შესახედაობისა, დრაკონი მეტად გულჩვილია. სულ მცირე მიზეზი კმარა, ცრემლებად რომ დაიღვაროს. ახლაც ძლივს იკავებდა თავს, რათა სიმწრისგან არ ატირებულიყო, რამხელა გზა გამოიარა, რა სიხარულით და გულითადობით მიულოცა ახალი წელი ადამიანებს, მათ კი ერთი ხელის დაქნევაც არ აღირსეს.

— ნუთუ არავინ მომესალმება? — ფიქრობდა დრაკონი და ისევ აგრძელებდა უნაყოფო ცდებს, გულიც სულ უფრო და უფრო სტკიოდა.

და აი, როგორც იქნა, ვიღაცა მიესალმა. ეს იყო პატარა ბიჭუნა. საპასუხოდ ხელი დაუქნია, თან გაბრწყინებული სახით შესცინა დრაკონს.

განა მხოლოდ ცუდი საქციელია გადამდები, ხანდახან კარგიც! ბიჭუნას მაშინვე მიბაძეს, უპირველეს ყოვლისა, თანატოლებმა და სიხარულით დაუქნიეს ხელი მათ თავზემოთ მფრინავ დრაკონს.

ბავშვებს უფროსებიც აჰყვნენ. მათაც ასტეხეს ხელების ქნევა დრაკონის მისალმების საპასუხოდ. თან გულიანად იცინოდნენ.

აი, ახლა კი ვეღარ შემლო დრაკონმა ცრემლების შეკავება. მწარე გულისტკივილს უცრემლოდ გაუძლო, სიხარულის შემოტევას კი ვერა! ღვარივით წასკდა სიხარულის ცრემლები.

ცრემლებმა კამარა შეჰკრეს, თოვლის ფიფქებივით მსუბუქი ფარფატით დაეშვნენ დედამიწისკენ. მერე აქეთ-იქით გაიფანტნენ. ყველა მათგანმა თავისი გზა-კვალი იპოვა, თითქოს რომელიღაც იდუმალ ბილიკს მიუყვებიანო. საზეიმოდ გაჩირაღდნებულ სახლებში შეფრინდნენ და ლამაზად მორთულ საახალწლო ნაძვის ხეებზე ჩამოეკიდნენ სათამაშოების მსგავსად.

მერე როგორი პეწი და ხიბლი ჰქონდათ, არ იკითხავთ? არცერთ საახალწლო სათამაშოს არ დაუდებდნენ ტოლს, ისე ბრწყინავდნენ.

ამის გარდა (მთავარ სათქმელს ახლა მივადექით), საკმარისი იყო მათთვის თვალის მოკვრა, რათა უდიდესი სიხარული ეგრძნო დიდსა თუ პატარას. ბავშვები ამ სიხარულს სიცილით და ტაშის ცემით გამოხატავდნენ, დროდადრო ხტუნავდნენ კიდეც. უფროსებს კი... ო, ეს ჩუმად სათქმელია... მალიანაც რომ მოენდომებინათ, ვერაფრით ვერ ახერხებდნენ სიხარულის ცრემლების შეკავებას. არცაა გასაკვირი! დრაკონის ცრემლი ხომ სიხარულისგან დაიბადა... ჰოდა, თვითონაც სიხარულის წყარო ყოფილა!

მინდა ვუთხრა ყველას, დიდსა თუ პატარას, კარგად დაათვალიერეთ თქვენი საახალწლო ნაძვის ხე. დრაკონის ცრემლის აღმოჩენისას ნუ შეგრცხვებათ სიხარულის ცრემლის. ოღონდ უნდა იჩქაროთ, გათენებისას დრაკონის ცრემლი უხილავი გახდება.

**მინაწერი:** თორმეტწლიანი ჩინური კალენდრის მიხედვით 5 თებერვლიდან ურჩხულის წელიწადია.

(რედ.).

გივი ჭიჭინაძე

## გამოცანები

ხის მტერი ვარ, ტანი
ხის მაქვს
ყბა და კბილი-რკინის.
როცა ვშრომობ,
მაშინ მიყვარს,
სიმღერა და ლხინი.

(იღფცq)

ძლიერ მიყვარს ბავშვები
სისუფთავით ნაქები,
ყოველ დილა-საღამოს
თეთრად გავიქაფები.

(იფaლpq)

## ენის გასატეხი:

1. ჩემი თხაი რქაგრეხილი,
შენსა თხასა
რქაგრეხილსა,
რას ერჩოდა, რას ებრძოდა,
რას ერქაგრეხილებოდა.

2. ალიხე, მალიხე, სალიხე,
სიკინჭილახე.

3. ხევხევ ხერხი მიცუხცუხებს,
აცახცახებს ვერხვებს,
მუხებს.

4. უმაძღარა ღრუტუს უჩა
უნაბს უყრის ბლუჯა-ბლუჯა

უძღვება
შოთა ხოდაშნელი,
მხატვარი
სიმონ ჭიორელი.

ანატოლი სობჩაკს არაერთგზის უთქვამს ჩემთვის, წერს „ნეზავისიმაია გაზეტას" კორესპონდენტი ბესიკ ფიფია ამ გაზეთის 24 თებერვლის ნომერში, რომ დღეს სპეცსამსახურებს თავიანთ არსენალში აქვთ ისეთი საშუალებები და პრეპარატები, რომელთა მეშვეობითაც შეუძლიათ ეჭვმიუტანლად გაისტუმრონ კაცი საიქიოს. „კეთდება კურარეს შხამის ნემსი და შემდეგ ფიქსირდება გულის უკმარისობით გამოწვეული სიკვდილი, ვინაიდან ეს შხამი არავითარ კვალს არ ტოვებს. დღეს სურთ, სობჩაკი მოკლან, ხვალ – ჩუბაისი გაასაღონ". ანატოლი სობჩაკის ეს სიტყვები „НГ"-ში დაიბეჭდა 1997 წლის 20 თებერვალს – პეტერბურგის ყოფილი მერის გარდაცვალებამდე ზუსტად სამი წლით ადრე.



## ანატოლი სობჩაკი: „ტურამ უკანიდან იცის მიპარვა"

### „НГ"-ს კორესპონდენტის უბის წიგნაკიდან

### რით ვერ მოაწონა თავი კორჟაკოვს?

თავის დროზე სწორედ კორჟაკოვი წყვეტდა, ვინ შეეშვა პრეზიდენტთან და ვინ – არა, ვისთან დაეკავშირებინათ ტელეფონით და ვისთან – არა. ეს არ მოსწონდა სობჩაკს და ერთხელ ელცინს უთხრა: „თქვენ თუ გინდათ, კორჟაკოვი სახელმწიფო მოხელედ აქციოთ, მიეცით შესაფერისი თანამდებობა, მაგრამ თუ მცველია, მაშინ კეთილი ინებოს და მცველის ფუნქციები შეასრულოსო". მას შემდეგ კორჟაკოვმა აითვალწუნა სობჩაკი და პრეზიდენტს აწვდიდა დეზინფორმაციას მასთან დაკავშირებით. როდესაც 1996 წლის თებერვალში პეტერბურგს გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი ეწვია და რესტორანში არაოფიციალური მეგობრული სადილი გაიმართა, სუფრას ერთად უსხდნენ კოლი მეუღლითურთ, ანატოლი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ და გერმანელი თარჯიმანი. ბატონმა კოლმა სობჩაკს ჰკითხა: „როგორ გგონიათ, რით დამთავრდება არჩევნები?" სობჩაკმა უპასუხა: „არჩევნებში რომ გაიმარჯვოს, ბორის ელცინმა უნდა დაასრულოს ომი ჩეჩნეთში, და, რაღა თქმა უნდა, გაისტუმროს ხელფასებისა და პენსიების მთელი დავალიანება". კოლის გამგზავრების შემდეგ კორჟაკოვმა პრეზიდენტს მაგიდაზე დაუდო შემდეგი ცნობა ამ შეხვედრის შესახებ: სობჩაკმა გერმანიის სახელმწიფო მეთაურს უთხრა, რომ არ სჯერა ელცინის გამარჯვებისა, იმიტომ, რომ ჩეჩნეთში ომი გრძელდება და გაუცემელია ხელფასის დავალიანებანი". კაცმა არ იცის, როგორ შეიტყო კორჟაკოვმა სუფრის საუბრის შინაარსი. ან რესტორანში მაგიდის ქვეშ მიკროფონი იყო დაყენებული, ანდა გერმანელი თარჯიმანი რუსეთის სპეცსამსახურთან თანამშრომლობდა.



### მტრების სიაში მოხვდა

ფედერაციის სუბიექტების ხელმძღვანელთა ერთ-ერთი თათბირის დროს, კრემლში, ელცინმა შესვენებაზე თავის დასასვენებელ ოთახში შეიპატიჟა ანატოლი ალექსანდრეს ძე. სობჩაკს შესჩივლა, ძალიან დავიღალე, გული ცუდს მიგრძნობს და არ ვიცი, რა ექნა, ვიყარო თუ არა კენჭი მომდევნო ვადისთვისო. „მე ვუპასუხე, – იხსენებდა სობჩაკი, – რომ პირადად, ჩემი აზრით, თუ მართლაც ასე გრძნობს თავს და ასეთ გუნებაზეა, ელცინისა და ქვეყნისათვის აჯობებდა, არ მიეღო მონაწილეობა არჩევნებში და მემკვიდრე შეერჩია. რა ვიცოდი, თურმე მცდარი: ანალოგიური საუბრები ჰქონია თავის გარემოცვაში შემავალ სხვა პირებთანაც და ისინი ერთნაირად შეიცხადებდნენ ხოლმე: „როგორ იფიქრეთ ეს, ბორის ნიკოლოზის ძევ, უთქვენოდ ხომ ქვეყანა დაიღუპებაო!" მე ვუთხარი ის, რასაც ვფიქრობდი და მტრების სიაში მოვხვდი".

### წადი, სარკეში ჩაიხედე!

ანატოლი სობჩაკი: „1996 წლის მაისის დამლევს პეტერბურგის გუბერნატორის არჩევნების პირველი ტურის შემდეგ იაკოვლევმა ხმა დაყარა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, სობჩაკს ჩემი გზიდან ჩამოშორება უნდაო". ამიტომ იაკოვლევმა ქალაქში სიარული დაიწყო ორი ჯიპისა და შეიარაღებული დაცვის თანხლებით. შემთხვევით შეხვდა ჩემს პირველ მოადგილეს ვლადიმერ პუტინს. იაკოვლევმა ჰკითხა: გაიგე, სობჩაკს ჩემი მოკვლა რომ უნდაო? რაზეც პუტინმა უპასუხა: „რამ გამოგამტერა?! ვის რაში სჭირდება შენი თავი – წადი და ერთი, სარკეში ჩაიხედეო"!

### სობჩაკი და ჩერჩილი

ანატოლი სობჩაკი: „ის, რაც არჩევნებში დამემართა (იგულისხმება 1996 წლის გუბერნატორის არჩევნებში დამარცხება. – ბ.ფ.), შეიძლება შევადარო უინსტონ ჩერჩილს, იმ კაცის ბედს, რომელმაც თავისი ქვეყანა იხსნა სამარცხვინო დამარცხებისაგან, ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა ანტიჰიტლერული კოალიცია, მოიტანა მშვიდობა და ფაშიზმისაგან განთავისუფლება... ომის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ პარტიამ, რომელსაც ჩერჩილი ედგა სათავეში, წააგო არჩევნები. ახლა თქვენ იმას კი ნუ დაწერთ, სობჩაკი ჩერჩილს ედრებაო. მე ვიცი, ჩემი ადგილი ქალაქისა და ქვეყნის ისტორიაში, საღად მოაზროვნე კაცი ვარ და არასოდეს მყვარებია გაზვიადება..."

### საუნივერსიტეტო განათლების პრეზიდენტი

ანატოლი სობჩაკი (1996 წ.): „დღეს რუსეთი ჯერ არ მისულა იმ დონემდე, რომ პრეზიდენტად ჰყავდეს უნივერსიტეტის პროფესორი. იავლინსკი, გაიდარი და მე იმ თაობის პოლიტიკოსები ვართ, რომლის დროც ჯერ არ დამდგარა. ჩემი აზრით, მხოლოდ მესამე ათასწლეულის დასაწყისში ჩაუდგება რუსეთს სათავეში სწორედ საუნივერსიტეტო განათლების მქონე პიროვნება..."

### „გემშვიდობები, ჩემო მამულო..."

ანატოლი სობჩაკი „პარიზის ემიგრაციის" შესახებ: „როდესაც პეტერბურგის მერი ვიყავი, ჩემი მეუღლე ლუდმილა დაეხმარა ცნობილ კინორეჟისორს სიმონ არანოვიჩს, სამკურნალოდ წასულიყო გერმანიაში. უზრუნველყო მისი გადაყვანა ჩარტერული ავიარეისით, მოუგვარა იმ მოგზაურობის ყველა ფორმალობა. რას ვიფიქრებდით, რომ ეს გამოცდილება სამი წლის შემდეგ გამოგვადგებოდა.

პირველ ყოვლისა, ლუდმილამ ჰელსინკს აფრინა ჩვენი ძველი მეგობარი, რომელმაც კერძო ფინურ სამედიცინო ავიაკომპანიაში გააფორმა შეკვეთა ჩარტერულ რეისზე, რათა პარიზში ჩავეყვანე. გამგზავრების დღედ შეარჩია 7 ნოემბერი. როდესაც ყველა, ვინც შეიძლებოდა, ჩემი გამგზავრებით დაინტერესებულიყო, ბოლშევიკური გადატრიალების თარიღს დღესასწაულობდა და, ალბათ, გამტყვრალი იქნებოდა.

ლუდმილამ შეძლო გარე მეთვალყურეების დეზორიენტირებაც: „ჩართული" ტელეფონებით მან 7 და 8 ნოემბერს დაუნიშნა შეხვედრები ნაცნობებს ქალაქის სხვადასხვა რაიონში, ხოლო ფინეთის კომპანიასთან და ჩვენს პარიზელ მეგობრებთან მოლაპარაკებას ეწეოდა „ჩაურთველი" ტელეფონებით. 7 ნოემბრის დილის 10 საათისათვის, იმ დროს, როდესაც, ჩვეულებრივ, ლუდმილას გარე მეთვალყურენი აედევნებოდნენ ხოლმე, ჩვენ უკვე პულკოვოში" ვიყავით. სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელსაც მე მივყავდი, საფრენ ბილიკზე გაატარეს, ხოლო ლუდმილამ გაიარა სრული საბაჟო და საპასპორტო კონტროლი – წარადგინა დეკლარაცია 8 000 დოლარის გატანის შესახებ, ვიდეოკონტროლზე გაატარა ჩანთები.

ეკიპაჟში შედიოდნენ მფრინავი, შტურმანი და კარდიოლოგი ექიმი. მე საკაცეზე დამაწვინეს, კისერზე, მკერდზე და ხელ-ფეხზე დამამაგრეს ოპერატორული მონიტორინგის გადამწოდები. თვითმფრინავი რომ დაიძრა, გავიფიქრე, რომ შესაძლოა სწორედ ამ ფრენით მთავრდება ჩემი ცხოვრება რუსეთში. მთელი საათი, სანამ რუსეთის საჰაერო სივრცეში მივფრინავდით, ლუდმილა სამხრეთკორეული „ბოინგის" ტრაგედიას იხსენებდა. ისიც კი თქვა, სადაც სამასი მგზავრი არ დაინდეს, იქ ჩვენი თვითმფრინავის ჩამოგდება, რომელშიც ორი კინკილა მგზავრია, სულ არ გაუჭირდებათო. ხოლო, როდესაც პილოტისაგან შევიტყვეთ, რომ ლატვიის საჰაერო სივრცეში შევდიოდით, ლუდმილას უნებურად მოადგა ენაზე ლერმონტოვის სიტყვები: „გემშვიდობები, ჩემო მამულო, ერო, ხუნდით და ჯაჭვით დაბმულო, დაუბანელო, დიდკაცთ მორჩილო, და სჰაე, მედიდურ-მოყოჟლოჩინო!"

ექიმთა კონსილიუმმა პარიზის ამერიკულ ჰოსპიტალში გადაწყვიტა, ჩემთვის აორტოკორონაროგრაფია ჩაეტარებინა. ლუდმილა თვალს ადევნებდა ოპერაციას მეზობელ ოთახში დაყენებული კომპიუტერული მონიტორით. პროცედურის დამთავრების შემდეგ ზანგმა სანიტარმა საოპერაციოდან საკაცე ურიკით, ფეხებით წინ, სხეულსა და სახეზე თეთრსუდარაგადაფარებული გამომაგორა. ლუდმილას რეაქცია მოულოდნელი იყო – ხელი ჰკრა სანიტარს და ყვირილით: „ცოცხალი ხარ?!" – გადამაძრო სუდარა. მე ჩავიბურტყუნე, ყველაფერი რიგზეა-მეთქი. მან კი რუსულად დაუწყო ლანძღვა სანიტარს. მოგვიანებით ლუდმილას აუხსნეს, რომ ოპერაციის შემდეგ ავადმყოფის ფეხებით წინ გაგორება საფრანგეთში საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა ავადმყოფის სუნთქვის კონტროლისათვის, ხოლო სუდარა – დამატებითი პროფილაქტიკური ღონისძიება დეზინფექციის მიზნით. როდესაც გონს მოვედი, ვახშამი შემომიტანეს. თვალს არ დავუჯერე, როცა სინზე დავინახე ჭიქა წითელი ბურგუნდიული ღვინო, კორონოგრაფიიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ..."

### სობჩაკს არ უყვარდა აზარტული თამაშები

„პარიზის ემიგრაციაში" ყოფნისას ანატოლი ალექსანდრეს ძე სამორინე „დე პარიში" დაპატიჟეს. მაგრამ ექსმერმა თამაშზე უარი თქვა და მიზეზიც განმარტა: „ჯერ კიდევ სიყმაწვილეში სიტყვა მივეცი ბებიაჩემს, რომელიც ძალიან მიყვარდა და დიდ პატივს ვცემდი, რომ სათამაშო ფეხზე არ მივეკარებოდი სამორინეს. ძალიან ვუყვარდი და გამორჩეული ვყავდი დანარჩენ შვილიშვილებში. ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან ვგავდი ბაბუას. ბებიაჩემი მდიდარი და ფრიად პატივსაცემი ჩეხური ოჯახიდან იყო. ბებია და ბაბუა ბედნიერად ცხოვრობდნენ, შვილები ბევრი ჰყავდათ, მაგრამ ბებიას ჰქონდა ერთი ოცნება – შეეგროვებინა ფული და გაეხსნა ისეთივე მაღაზია, როგორიც მის მშობლებს ჰქონდათ. როდესაც ოცნებას ხორცი უნდა შეესხა, ბაბუაჩემმა 1914 წელს მთელი ფული წააგო სამორინეში. სწორედ ამიტომ ვერ იტანდა ბებია აზარტულ თამაშებს.

### „რატომ წავაგე არჩევნები?"

ანატოლი სობჩაკი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგების შესახებ: ერთი მხრივ, დადასტურდა ჩემი პროგნოზი, რომ სათათბიროში გავიდოდა სულ ცოტა 6 პარტია და ბლოკი. გარდა ამისა, შეიქმნებოდა ძალზე სერიოზული პოლიტიკური მემარჯვენული საპირწონე, რაც მას აიძულებდა უფრო ქმედითუნარიანი ყოფილიყო.

რაც შეეხებათ კომუნისტებს, მე მაინც ვიმედოვნებდი, რომ ჩვენს ხალხს შეეცვალა მენტალიტეტი და კომუნისტებს უნდა დაეკარგათ ხმები. მაგრამ მოსახდენი მოხდა: არჩევნებზე არ მოდის ახალგაზრდობა და ამის შედეგად ჩვენ კვლავ ვაგებთ, ვაგებთ ჩვენს მომავალს. სათათბიროს მემარცხენული ნაწილი ხელს შეუშლის მთავრობას, დაბლოკავს მის მუშაობას. როგორც ჩანს, უნდა აღვჭურვილიყავით მოთმინებით, ჩვენმა ხალხმა კიდევ ოთხი წლით „გაინაღდა" რთული ცხოვრება. რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას არჩევნებში, მეტისმეტად დიდი იყო დაპირისპირება და ბრძოლა ჩემს წინააღმდეგ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვეოდა კანონი, მე არ მაძლევდნენ დარბაზებს გამოსასვლელად, არ მიშვებდნენ სატელევიზიო არხებში და პეტერბურგის გაზეთების ფურცლებზე. ბოლო კვირაში გაუშვეს ჩემი სახელგამტეხი, ყოვლად ცრუ და უტიფარი გადაცემები. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ არ წამიგია. 210 საარჩევნო უბნიდან 200-ში მოვიგე, ხოლო წავაგე მხოლოდ 10-ში, იქ, სადაც სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები იყო, რომლებმაც მწყობრად მისცეს ხმა ჩემს წინააღმდეგ, და სწორედ ამ ხმებმა გადაწყვიტა საქმე. ჩემი აზრით, ეს იყო გუბერნატორისა და მისი ამალის სასტიკი დაპირისპირება ჩემი არჩევისადმი. მეორე მხრივ, ძალზე ძნელი საქმე გამოდგა იმ სიცრუის ინერციის დაძლევა, რომელსაც ბოლო ოთხი წლის მანძილზე მიერცელებდნენ.

### „ტურებმა უკანიდან იციან მიპარვა"

ანატოლი სობჩაკი: „ესქილეს ერთ-ერთ დრამაში ნაამბობია, როგორ გამოზარდა ვიღაც დიდკაცმა თავის სახლში ლომის ბოკვერი, რათა შემდეგ მისი ერთგულებითა და ალერსით დამტკბარიყო. თავდაპირველად მიიღო ის, რაც ეწადა, – მისი ერთგული და მოსიყვარულე ლომი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მხეცის ინსტინქტმა იძალა – და ლომმა დაგლიჯა დიდგვაროვანი პატრონი და მისი ახლობლები. ასეა, განგების ნებით ჩვენი კეთილი ზრახვანი შურისგების იარაღად გვიბრუნდება. ეს კიდევ არაფერი, რაკი ლომი გაზარდე, მაგრამ თუ ეს ტურაა, რომელმაც ლაჩრულად, უკანიდან იცის მიპარვა და ზურგზე დააცხრება ხოლმე თავის კეთილისმყოფელს?"...

### გასახდელში დაიწყო და გახდილმა დაამთავრა...

ანატოლი სობჩაკი: „თუ კორჟაკოვს დავუჯერებთ, გენერალური პროკურორი სკურატოვი თავის თანამდებობაზე აბანოს გასახდელში დაინიშნა. ალბათ, ამიტომაც დაამთავრა კარიერა ტიტლიკანამ.

### პეტერბურგის არასაპატიო მოქალაქე

1996 წლის გაზაფხულზე ანატოლი სობჩაკი და მისი მეუღლე ლუდმილა ნარუსოვა პეტერბურგში ქართულ სუფრაზე დავპატიჟეთ, ზუგდიდელმა ალექსანდრე ტაბალუამ ექსმერს ჰკითხა: „ერთი გვიბრძანეთ, ბატონო ანატოლი, თქვენ თბილისის საპატიო მოქალაქე ხართ, და არა – მშობლიური ქალაქისა, რატომ?" სობჩაკი წამით ჩაფიქრდა, მერე გაეღიმა და თქვა: „ასეა მიღებული რუსეთში, აქ ჩვეულებრივ მაშინ იციან კაცის პატივისცემა, როცა მოკვდება".

**სანქტ-პეტერბურგი.**





## საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა აშშ კავკასიური პოლიტიკის ცენტრალური ელემენტია



როგორც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ჯეიმს რუბინმა** განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმება ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის **ეუთოს** ძალისხმევას, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მუდმივი საკონტროლო ყოფნა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე.

23 თებერვალს გამოქვეყნებულ განცხადებაში რუბინი აღნიშნავს, რომ **ეუთოს** ძალისხმევა ხელს შეუწყობს ამ რთულ საზღვარზე გამჭვირვალების უზრუნველყოფას და კავკასიის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას.

რუბინი მიესალმა საკონტროლო კომისიაში რუსეთისა და **ეუთოს** წევრი სხვა სახელმწიფოების მონაწილეობას და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მალე გაგზავნის მეთვალყურეებს და განაგრძობს ძალისხმევას, რათა გაფართოვდეს საქართველოს სასაზღვრო დაცვის შესაძლებლობანი, ამაღლდეს მისი ძალების ეფექტიანობა.

„საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა აშშ კავკასიის რეგიონის პოლიტიკის ცენტრალური ელემენტია", – თქვა რუბინმა და დასძინა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს კვლავინდებურად საგონებელში აგდებს ძალადობის ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში გავრცელების შესაძლებლობა.

ქვემოთ მოგვყავს ამ განცხადების ტექსტი, რომელიც გაავრცელა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო საინფორმაციო პროგრამების ოფისმა.

აშშ მხურვალედ მიესალმება **ეუთოს** მუდმივი საკონტროლო ყოფნის დაწესებას რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს **ეუთოს** გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ამ რეგიონში შემფასებელი ჯგუფის გაგზავნას, რათა [illegible] შევუდგეთ გაფართოებული შემადგენლობის საკონტროლო მისიის განლაგების დაგეგმვას. **ეუთოს** ეს ძალისხმევა ხელს შეუწყობს ამ რთულ საზღვარზე გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და სტაბილურობის შენარჩუნებას კავკასიის რეგიონში. ჩვენ მივესალმებით საკონტროლო მისიაში რუსეთისა და **ეუთოს** სხვა წევრი სახელმწიფოების მონაწილეობას, და სულ მალე მივავლენთ ამერიკელ მეთვალყურეებს.

აშშ განაგრძობს ძალისხმევას, რომლის მიზანია, გაფართოვდეს საქართველოს სასაზღვრო დაცვის შესაძლებლობანი და ამაღლდეს მისი ძალების ეფექტიანობა. საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კანონიერების დაცვაში ჩვენი დახმარების გრძელვადიანი პროგრამის ფარგლებში, რომლისთვისაც უკვე გამოყოფილია 34 მილიონი დოლარი, მიმდინარე წელსაც იქნება ასიგნებული დამატებითი სახსრები. ჩვენ ვაჩქარებთ ფორმის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, რადიოსადგურების, ადგილსამყოფლის განსაზღვრის გლობალური სისტემის ხელსაწყოებისა და სხვა მოწყობილობის მიწოდებას. ჩვენ საქართველოს სასაზღვრო დაცვას გადავეცით საზღვრის საპატრულო შვეულმფრენი და ვცდილობთ, დავაჩქაროთ კიდევ ორი მანქანის მიწოდება.

**საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა კავკასიის რეგიონში აშშ პოლიტიკის ცენტრალური ელემენტია და ჩვენ კვლავინდებურად დიდად გვაფიქრებს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ძალადობის გავრცელების შესაძლებლობა.** ჩვენ აღვნიშნეთ რუსეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პუტინის 1999 წლის 11 დეკემბრის განცხადება, რომ „რუსეთი არასდროს არ გადაკვეთს სუვერენული სახელმწიფოს საზღვარს.

## ევროკომისარი ჩეჩნეთს ეწვევა

ორშაბათს ევროკავშირის ადამიანთა უფლებათა კომისარი ალვარო ხილ-რობლესი ჩეჩნეთში ჩადის. თავდაპირველად იგი მოინახულებს ინგუშეთის ლტოლვილთა ბანაკს, ხოლო შემდეგ გაემგზავრება საკუთრივ ჩეჩნეთში. აქამდე დასავლეთი დაბეჯითებით მოითხოვდა, შეეშვათ იჩქერიაში დამოუკიდებელი მართლქომაგი გამომძიებლები იმ მხეცობის მტკიცებათა საფუძვლიანობის შესასწავლად, რასაც რუსეთის ძალებს სდებენ ბრალად. მოწოდებები განსაკუთრებულად გაძლიერდა იმ ვიდეოფირის გამოქვეყნების შემდეგ, რომელზეც გადაღებულია ძმათა საფლავი და ჩეჩენთა დასახიჩრებული გვამები. რუსეთის მხარე აცხადებს, რომ ფირზე აღბეჭდილი არიან მოკლული ბოევიკები, რომლებიც „დროებით დაკრძალეს მომავალში შესაძლო ამოცნობის მიზნით".



## ბაბიცკი დაღესტანში ყოფილა



რუსი ჟურნალისტი, ამერიკის რადიოსადგურ „თავისუფლების" თანამშრომელი ანდრია ბაბიცკი დაღესტანში იმყოფება. იგი დააპატიმრეს დაღესტნის ხელისუფლებამ იმ ბრალდებით, რომ ყალბი საბუთები ჰქონდა. აქამდე ბაბიცკი ჩეჩნეთში ჰყავდათ დაკავებული ფედერალურ ძალებს და შემდეგ გადასცეს ჩეჩენ მეამბოხეებს ორი რუსი სამხედრო მოსამსახურის სანაცვლოდ. ბაბიცკიმ საკუთარი ვერსია თავსგადახდენილი ამბის შესახებ გამოძიებას მოუთხრო. წუხელ დაკითხვის სიუჟეტი რუსეთის ტელევიზიამ გადასცა.



## პეკინი უარყოფს

პეკინი მკვახედ გამოეხმაურა შეერთებული შტატების მტკიცებებს, რომ განვლილი წლის მანძილზე ჩინეთში არსებითად გაუარესდა ადამიანის უფლებათა დაცვა. ამ მტკიცებას შეიცავს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური მოხსენება მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ 1999 წელს ჩინეთში გაძლიერდა რეპრესიები დისიდენტების მიმართ. მაგრამ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჯუ ბანძომ განაცხადა, რომ ვაშინგტონი უხეშად ამახინჯებს სიტუაციას სხვა ქვეყნებში, მაშინ როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მდგომარეობა თვით შეერთებულ შტატებში უარესდება. ჩინეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების განცხადებით, ჩინეთში ადამიანის უფლებები დღეს განსაკუთრებით კარგად არის დაცული და ვაშინგტონმა უნდა შეწყვიტოს ამ საკითხის გამოყენება სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

## აპატიმრებენ „გრინპისის" აქტივისტებს

უელსის ჩრდილოეთ სანაპიროსთან ბრიტანეთის პოლიციამ დააპატიმრა „გრინპისის" მოძრაობის ხუთი აქტივისტი. პოლიციელები ავიდნენ გემზე, რომლის ხელში ჩაგდებასაც ცდილობდნენ გარემოს დამცველები იმ საბაბით, რომ პროტესტს გამოთქვამდნენ ქვეყანაში გენეტიკურად მოდიფიცირებული სოიას შემოტანის გამო. ბრიტანეთის მთავრობამ კვლავ განაცხადა, რომ პირუტყვისათვის განკუთვნილი მოდიფიცირებული საკვები არავითარ საფრთხეს არ უქადის ამ პირუტყვის ხორცის მომხმარებელთა ჯანმრთელობას.

## განაჩენი კუბელ დისიდენტს

კუბის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ცნობილი დისიდენტის ოსკარ ელიას ბისეტს. მას სამი წლის პატიმრობა მიესაჯა სახელმწიფო დროშის წაბილწვის, ხულიგნობისა და დანაშაულებრივი მოქმედების წაქეზებისათვის. ბისეტი შარშან დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ მიტინგზე თითქოსდა თავდაყირა დაკიდა კუბის დროშა.



## მედიცინა

თუ მალარიაშეყრილი პაციენტის იმუნური სისტემა მისი გამომწვევის – პლაზმოდიუმის უმარტივესთა გვარის სახეობებს საკმაოდ ინტენსიურ წინააღმდეგობას უწევს, მაშინ პარაზიტის რეპროდუქციის უნარი ეცემა, დაადგინეს პარიზის პასტერნაკის ინსტიტუტის მეცნიერებმა. იმუნური სისტემის ზემოქმედებით პლაზმოდიუმების აქტიურობა კლებულობს. პარაზიტების საპასუხო რეაქცია ის არის, რომ ისინი გაცილებით უფრო მეტ მამრობით ინდივიდებს აჩენენ. ამას კი შედეგად მოსდევს პლაზმოდიუმების აღწარმოების დონის შემდგომი შემცირება, და პაციენტის სისხლში ავადმყოფობის გამომწვევთა რაოდენობა თანდათან ისპობა.

* * *

დიუსელდორფის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჰოლანდიელ კოლეგებთან ერთად შეიმუშავეს კანის კიბოს პროფილაქტიკის ახალი მეთოდიკა. დერმატოლოგი პროფესორის ჟან კრუტმანის ცნობით, მკვლევართა მიერ შექმნილი მალამოს კანზე წასმა ჩვეულებრივ მზისდამცავ კრემებთან შეხამებით არა მარტო ეფექტიანად იცავს მას ულტრაიისფერი დამწერობისაგან, არამედ შეუძლია, აგრეთვე, მნიშვნელოვანწილად აღადგინოს კალმის უჯრედების დარღვეული ქრომოსომული სტრუქტურა. ამ სასწაულებრივი შედგენილობის საფუძველია „ფოტოლიაზის" ფერმენტი, რომელიც გვხვდება, მაგალითად, ზოგიერთი სახეობის წყალმცენარეებში ან ჩანთოსან ცხოველებში, მაგრამ არ არის ადამიანის ორგანიზმში. შესაძლებელია, უახლოეს მომავალში კოსმეტიკურმა და ფარმაკოლოგიურმა ფირმებმა დაიწყონ ფოტოლიაზის გამოყენება მზის დამცავი მალამოებისა და კანის მოსავლელი საშუალებების ერთ-ერთ კომპონენტად.



* * *

მარტო გერმანიაში დღეს სულ ცოტა 3 ათას კაცს აწუხებს სმენის დარღვევები, რაც გამოწვეულია მაჭახელებისა და რაკეტების აფეთქებით ახალი, 2000 წლის ბობოქარი შეხვედრის დროს. ამას მოწმობს გერმანელ ოტორინოლარინგოლოგთა გამოკითხვის შედეგები. როგორც ტიუბინგენის უნივერსიტეტის კლინიკის პროფესორმა პეტერ ცენერმა განაცხადა, ბევრ პაციენტს ისე მნიშვნელოვნად დაუზიანდა ყურები, ახალი წლის შემდეგ ვერ ხერხდება მათი სმენის სრული აღდგენა. არის უფრო მძიმე შემთხვევებიც, როდესაც 2000 წლის შეხვედრის მონაწილენი მთლად დაყრუვდნენ.

## პროტესტი პოლიციელების გამართლების გამო

შეერთებულ შტატებში პოლიცია ემზადება ახალი საპროტესტო აქციებისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ გაამართლა ოთხი თეთრკანიანი პოლიციელი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ნიუ-იორკში უიარაღო აფრიკელი იმიგრანტის ამადუ დიალოს მკვლელობა. რამდენიმე საპროტესტო აქცია უკვე გაიმართა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ნაფიც მსაჯულებს რასიზმში ადანაშაულებენ. დაგეგმილია დემონსტრაცია ბრონქსში, სადაც მოკლული ცხოვრობდა. მას თავის სახლთან დაახალეს ტყვია. პოლიციელები ამბობენ, რომ საფულე, რომელიც ყმაწვილმა ჯიბიდან ამოიღო, პისტოლეტი ეგონათ.



## სადაც გინდა, იქ ილოცე, აქ არაო...

ეგვიპტეში თავისი სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში რომის პაპი სინას მთაზე ავიდა. აქ იგი უნდა სწვეოდა წმინდა ეკატერინეს უძველეს მონასტერს, რომელიც აშენებულია იმ ადგილას, სადაც, ბიბლიის თანახმად, უფალი გამოეცხადა მოსეს მოგიზგიზე ბუჩქის სახით, რათა მისთვის ათი მცნება გადაეცა. მაგრამ მონასტრის მღვდელმსახურნი, ბერძენი მართლმადიდებლები არ ანებებენ რომის პაპს, ილოცოს მათ სამლოცველოში – მიუხედავად იმისა, რომ რომაელი მღვდელთმთავარი თავისი ვიზიტის დროს არაერთგზის მოუწოდებდა მორწმუნეებს, გააერთიანონ ძალისხმევა ქრისტიანობაში მრავალსაუკუნოვანი განხეთქილების დასაძლევად.

(სინას მთა პირველია ბიბლიაში მოხსენიებული ახლო აღმოსავლეთის იმ წმინდა ადგილებიდან, სადაც რომის პაპი სალოცავად მიდის ახალი ათასწლეულის დადგომის აღსანიშნავად).

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, კახა ჟორჟიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№54-55. კვირა-ორშაბათი, 27-28 თებერვალი 2000 წელი.

## პოლიცია

(პირველი გვერდიდან)

21 იანვარს პისტოლეტით შეიარაღებული სამი მოძალადე შეიჭრა თბილისში, ბარნოვის ქუჩა №8-ში მცხოვრებ ელისო ქარჩაიძის ბინაში. ბანდიტებმა მას 100 ათასი დოლარის „გადახდა" მოსთხოვეს, თან დაამატეს: წინააღმდეგ შემთხვევაში მოგიკლავთ ქმარს და თქვენს შვილსაც გაეიტაცებთო, ალბათ მიხვდი, ეს უფრო ძვირი დაგიჯდებათო. თავიანთი ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცათ, მოძალადეებმა მშვიდად მოიმარჯვეს სხვადასხვა საგნები, რომელთა გამოყენებითაც უნდა ეწამებინათ „გაჯიუტებული" ქალბატონი...

მომხდარის თაობაზე ინფორმაცია მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მინისტრის მოადგილის, პოლიციის გენერალ-მაიორ კახა ბაკურაძის მითითებით მაშინვე შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელიც სასწრაფოდ შეუდგა ბოროტმოქმედთა ვინაობის დადგენას და ტიული ჯგუფი და შსს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლები განაგრძობენ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებებს გამომძალველთა ორგანიზებული ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-დაკავებისა და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა გარემოებების გასარკვევად. 16 თებერვალს ზუგდიდში მომხდარი ყაჩაღობა კი, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა არა მარტო რეგიონში, ჯერჯერობით გაუხსნელია და ბოროტმოქმედები — დასაკავებელი, თუმცა, ამისათვის მობილიზებულია პოლიციის, უშიშროებისა და პროკურატურის საქალაქო და სამხარეო სამსახურები, შსს სამინისტროდან ადგილზე მივლინებული იქნა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსი რევაზ ფოჩხუა, მისი მოადგილე დემურ ბაჯაძე. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებას

ამ ჯგუფის დასაკავებლადაც მთელი 6 თვე მუშაობდნენ ერთიანული ბიუროს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი გოჩა სისაური და ამ სამსახურის საუკეთესო ოპერატიული თანამშრომლები.

11 თებერვალს ერთიანული ბიუროს ოპერატიულმა ჯგუფმა 97,6 გრამი ოპიუმის რეალიზაციის ფაქტზე დააკავა ბათუმში მცხოვრები მარინა ბალტაგი და ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში მცხოვრები გივი მასურაშვილი, რომლის სახლში აღმოაჩინეს სარეალიზაციოდ გამზადებული კიდევ 140 გრამი ოპიუმი. დადგინდა ნარკოტიკების რეალიზატორთა დანაშაულებრივი ჯგუფის კიდევ ერთი წევრის ვინაობა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი რგოლი იყო იმ გრძელი ჯაჭვისა, რომლის ბოლომდე გახსნაც წარმოადგენდა ერთიანული ბიუროს თანამშრომელთა მთავარ მიზანს. ამ მიზანს მათ საბოლოოდ 16 თებერვალს მიაღწიეს.

# მოძალადეებმა 100 ათასი დოლარი მოითხოვეს...

მათი დაკავებისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

შსს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ დავით კეკუამ, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსმა თამაზ ალანიამ, სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზაზა ფერაძემ, განყოფილების უფროსის მოადგილემ დავით ენდელაძემ, უფროსმა ინსპექტორებმა კოტე სოფრომაძემ და მამუკა ხიჯაკაძემ, რომლებსაც ამ სახის მრავალი დანაშაული აქვთ გახსნილი, ამჯერადაც გამოიჩინეს მაღალი პროფესიონალიზმი...

მათ გამოავლინეს თბილისში მოქმედ ადამიანთა გამტაცებელთა კარგად ორგანიზებული ჯგუფი და 16 თებერვალს დააკავეს ამ ჯგუფის ორი წევრი — თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი, 32 წლის ელგუჯა გურჩიანი და ასევე თბილისში მცხოვრები 41 წლის რობერტ ქორქოლიანი. დადგინდა, რომ 21 იანვარს ფულის გამოძალვის მიზნით სწორედ ელგუჯა გურჩიანი, რობერტ ქორქოლიანი და ამჟამად ძებნაში მყოფი თბილისელი, 38 წლის მურმან ტვილდიანი დაესხნენ თავს ქარჩაიძეების ოჯახს. გამომძალველთა ჯგუფის წევრებთან ერთად პოლიციამ დააკავა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, თბილისში ელექტრომექანიკური ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში დროებით მცხოვრები, 38 წლის ამირან გურჩიანი, რომელსაც ჩხრეკისას აღმოაჩნდა თავისი მოგვარის — ელგუჯა გურჩიანის კუთვნილი მაუჩიანი უნომრო პისტოლეტი 8 საბრძოლო ვაზნით. გამოძიება დაადგენს ამირან გურჩიანიც მონაწილეობდა თუ არა გამომძალველთა ჯგუფის მიერ ჩადენილ რომელიმე დანაშაულში, მანამდე კი მას ბრალი ედება ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვო ტარებისათვის, რაც სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შსს სამინისტროს ოპერაკონტროლებს მინისტრის მოადგილე კახა ბაკურაძე.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 16 თებერვალს 23 საათზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით აღჭურვილი ყაჩაღთა ჯგუფი თავს დაესხა ზუგდიდში კრილოვის ქუჩაზე მცხოვრებ ონერი წიფურიას ოჯახს, წინააღმდეგობის გაწევისას ბანდიტებმა მძევლად აიყვანეს მისი შვილი, 25 წლის ლევან წიფურია და გაიტაცეს ოჯახის კუთვნილი „ვაზ-2106" მარკის ავტომანქანა.

ამის შემდეგ, თავისუფლების მოედანზე, ბოროტმოქმედები თავს დაესხნენ ზუგდიდის პოლიციის ოპერატიული ჯგუფის წევრებს ორდენ სიჭინავას, როლანდ რაფავას, კარლო ნარმანიასა და კობა ხუბულავას. მძევლის სიცოცხლის ხელყოფის მუქარით მათ წაართვეს ორი ავტომატი, ერთი პისტოლეტი და, პოლიციის თანამშრომლის — კობა ხუბულავას კუთვნილი ავტომანქანით მიიმალნენ. ეს ავტომანქანა დამწვარი აღმოაჩინეს სოფელ შამგონასთან. რაც შეეხება მძევლად აყვანილ ლევან წიფურიას, იგი გათავისუფლებულია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამართალდამცველები მალე გახსნიან ამ დანაშაულს და ბოროტმოქმედებსაც დააკავებენ. და საერთოდ, განხორციელდება გადამჭრელი ღონისძიებები რეგიონში შექმნილი რთული კრიმინოგენული ვითარების განსამუხტავად.

კვირა არ გავა, შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანული ბიუროს თანამშრომლებმა არ გამოავლინონ ნარკოტიკების დიდი ოდენობით კონტრაბანდის ან რეალიზაციის რამდენიმე შემთხვევა. იმასაც დავუმატებთ, რომ ზოგიერთი დანაშაულებრივი ჯგუფის დასაკავებლად რამდენიმე თვის განმავლობაში ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

დანაშაულებრივი ჯგუფისათვის გადასაცემად სწორედ იმ დღეს უნდა ჩამოეტანათ აზერბაიჯანიდან სარეალიზაციო ოპიუმის მორიგი პარტია.

ერთიანული ბიუროს, ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურებისა და კინოლოგიის სამსახურის თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ღონისძიების შედეგად კონტრაბანდისტები მაშინ დააკავეს, როცა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი და თავი სამშვიდობოს ეგონათ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ველახის რაიონის სოფელ ხალდანში მცხოვრებ 45 წლის რაფიკ ახმედოვსა და ამავე რაიონის სოფელ სალმაზაღში მცხოვრებ 54 წლის ფილჰან მამედოვს ხელჩანთაში აღმოუჩინეს სხვადასხვა პროდუქტებში საგულდაგულოდ გადამალული, აზერბაიჯანიდან საქართველოში კონტრაბანდული გზით შემოტანილი 1 კილოგრამი და 125 გრამი ოპიუმი და 189 მილიგრამი ძმარმჟავას ანჰიდრიდი, რომელიც შემდგომი რეალიზაციისათვის უნდა გადაეცათ ამჟამად უკვე პატიმრობაში მყოფ, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ნარკოვაჭართა ჯგუფის წევრის გივი მასურაშვილისათვის.

**შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანული ბიუროს ოპერატიულმა ჯგუფმა 16 თებერვალს დააკავა ბოროტმოქმედთა ჯგუფი, რომელმაც საქართველოში სარეალიზაციოდ შემოიტანა 1 კილოგრამი და 125 გრამი ოპიუმი, აგრეთვე, 189 მილიგრამი ძმარმჟავას ანჰიდრიდი.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურმა გამოავლინა მექრთამეობის ფაქტი. კერძოდ, ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების სერტიფიკაციის ორგანოს შპს „რუსთავექსპერტის" დირექტორი ბადრი მოდებაძე, რომელმაც თბილისში მცხოვრებ ხვიჩა კეცლიშვილს კვების პროდუქტის სერტიფიკატის გაცემაში ნაცვლად 37 ლარისა, ქრთამის სახით გამოსძალა 200 ლარი. მოდებაძე გაშვებულია ხელწერით. გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო 1939 წლის 1 დეკემბერს გარდაცვლილად ცნობილი ალავერდი სარხოშის ძე ბადალოვის სახელზე რიცხული ქ. თბილისში, დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩის №115-ში მდებარე სახლის 45/60 ანუ 3/4 ნაწილს აცხადებს უპატრონოდ.

იმ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ პრეტენზია 1939 წლის 1 დეკემბერს გარდაცვლილად ცნობილი ალავერდი სარხოშის ძე ბადალოვის სახელზე რიცხული ქ. თბილისში, დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩის №115-ში მდებარე სახლის 45/60 ანუ 3/4 ნაწილზე, განაცხადონ თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში.

### სააქციო საზოგადოება „მესხეთის" დირექტორის ავთანდილ ვაშალომიძის განცხადება

### საზოგადოების წლიური კრების მოწვევის შესახებ

2000 წლის 27 მარტს მისამართზე: ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. №16 ჩატარდება სააქციო საზოგადოება „მესხეთის" აქციონერთა წლიური საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. წლიური ანგარიში და ანგარიშის დამტკიცება (მომხსენებელი ავთანდილ ვაშალომიძე);
2. აუდიტორის დანიშვნა ორიათასი წლისათვის (მომხსენებელი ავთანდილ ვაშალომიძე);
3. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა (მომხსენებელი ილია ჭანუყვაძე);
4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევა (მომხსენებელი ილია ჭანუყვაძე).

სს დირექტორატი.

## კალათბურთი

# შეაჩერეთ ხოშტარია!



კალათბურთელ ვაჟთა IX ერთიანული ჩემპიონატი მაისში მთავრდება, მაგრამ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის გუნდის ლიდერი, ქვეყნის ნაკრების წევრი **ირაკლი ხოშტარია** დღესვე შეგვიძლია გათამაშების საუკეთესო მოთამაშედ დავასახელოთ. დაცვაში ფუტკარივით გარჯა, შეტევაში — დიდებული დრიბლინგი, პარტნიორთა იერიშის ტემპის საჭიროებისამებრ ცვლა და დაყენებული ტყორცნა როგორც საშუალო, ისე მორეული დისტანციიდან — მეტი რაღა ევალება გამთამაშებელს?

გუშინ I ეტაპის XIX ტურის ცენტრალურ შეხვედრაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ლევან მოსეშვილის საყვარელმა შეგირდმა მორიგი „სოლო" შეასრულა — სდასუს მოგროვებული 80 ქულიდან 43 (!) მის ანგარიშზეა, მათ შორის 27 — ზუსტი სამქულიანებით.

მართალია, თსუს ერთ-ერთი უძლიერესი მცველი, მჭიდრო მეურვეობით გამორჩეული ხეცურიანი აკლდა, მაგრამ არა გვგონია, მას მოეხერხებინოს მეტოქის სნაიპერის შეჩერება — გუშინ ხოშტარიას დღე იყო!

სდასუ თავიდანვე დაწინაურდა — 9:0 და 30-ე წუთამდე ინარჩუნებდა სოლიდურ უპირატესობას. გარდატეხა მას შემდეგ დაიწყო, რაც შეუცვლელად მოასპარეზე „ხოშტარას" ძალლა დაეტყო და ზედიზედ სამი ტყორცნა გაუცუდდა. თითქოს ამ მომენტს უცდიდნენო, მყისვე გააქტიურდნენ მგალობლიშვილი, მარკოიშვილი, წოწელია და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს 66:69: კრიტიკულ ვითარებაში ხოშტარიამ მოედნის კიდიდან გარისკა სამქულიანის ტყორცნა და ჩააგდო! ეს გადამწყვეტი ქულები აღმოჩნდა. ბოლო წამებზე უძილაურმა (მან 14 ქულა მოაგროვა) ოფიციალურად გააფორმა სდასუს გამარჯვება — 80:72 (45:30). დამარცხებულთაგან 19 ქულით ყველაზე შედეგიანი მგალობლიშვილი იყო.

დღის მეორე შეხვედრა „შევარდენში" დასრულებული „ბუნტით" აღინიშნა. მიხედით, ალბათ, გუნდი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბის წინააღმდეგ უძლიერესი შემადგენლობით და ერთბაშად ორი მთავარი მწვრთნელის — იმხნელისა და კოშკელოვის თაოსნობით გამოვიდა. ძალა რომ ერთობაშია, ამჯერადაც დამტკიცდა — ექსამბოხებულებმა 78:57 (44:37) მოიგეს მატჩი. მათგან საუკეთესო შთაბეჭდილება გიგაურმა დატოვა.

გუშინვე ბათუმში „ბასკომ" 106:72 დაჯაბნა არმიის სპორტული კლუბის ჭაბუკები და კვლავ დაუმარცხებლად ლიდერობს ჩემპიონატს.

დღეს ვერის ბაღსა და რუსთაველში XIX ტურის დასკვნითი შეხვედრები გაიმართება: „ვითა" — „დინამო" (13 საათზე), სტუ — „მაქაბი" (14 საათსა და 45 წუთზე) და „აზოტი" — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (16 საათზე).

**გია პლატონიშვილი.**

## პრესკონფერენცია

# „ვიტ ჯორჯიას" პრეტენზიები

საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს ქართული გუნდების იმ ოთხეულში მოხვედრაზე, რომლებიც 2000-2001 წლების სეზონის ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ. როგორც „ვიტ ჯორჯიას" მთავარმა მწვრთნელმა სერგო კოტრიკაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი კმაყოფილი დარჩა სეზონის წინა მოსამზადებელი პერიოდით, რომელიც გუნდმა 20 იანვრიდან ოთხ ეტაპად გაიარა. კოტრიკაძის თქმით, „ვიტ ჯორჯია" ქართული გუნდებიდან ევროპულ სარბიელზე გასვლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება.

2000 წლის სეზონს „ვიტ ჯორჯია" მცხეთაში, თბილისის „თსუ"-სთან საქართველოს თასის მერვედფინალური მატჩით გახსნის, ჩემპიონატის პირველ მატჩს კი საქართველოს უცვლელ ჩემპიონთან, თბილისის „დინამოსთან" 4 მარტს გამართავს.

**პრაიმ-ნიუსი.**

## ომარ უშვერიძის მემორიალი

# 12 კლუბის მონაწილეობით



სპორტის დამსახურებულ ოსტატ გრიგოლ გაგუასთან ერთად საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ომარ უშვერიძემ ბევრი გააკეთა „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის ტრადიციებისა და წარმატებათა გასამრავლებლად. აქ არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი აღიზარდა, რომლებიც წარმატებით თამაშობდნენ საქართველოს საუკეთესო გუნდებში.

ომარ უშვერიძე დღეს აღარ არის ჩვენთან, მაგრამ სკოლის ყოფილი დირექტორის ხსოვნას სათუთად ინახავენ მისი აღსაზრდელები. ამაგდარი მწვრთნელის მოსაგონად „ნორჩი დინამოელის" (დირექტორი ოთარ ვეგეჭკორი) ადმინისტრაციამ თავისსავე სტადიონზე 1988 წელს დაბადებულ ბავშვთა ტურნირი გამართა, რომელშიც ქუთაისის, გორისა და თბილისის 12 კლუბი მონაწილეობდა.

ორგანიზატორებმა კოლექტივები ორ ქვეჯგუფად დაყვეს. პირველ ჯგუფში ყველა 5 მატჩი მოიგო და პირველ ადგილზე გავიდა „ნორჩი დინამოელი-88", ხოლო მეორე ჯგუფში საუკეთესო იყო ქუთაისის „ტორპედო".

თავდაპირველად გაიმართა მატჩი მესამე ადგილისათვის, სადაც ქუთაისის „ტორპედოს" (პირველი) გუნდი „ნორჩი დინამოელი-89"-ს შეხვდა. პირველ ნახევარში მასპინძლები დაწინაურდნენ — 1:0. მეორე ტაიმის 30 წუთში საუკეთესოდ ითამაშეს ქუთათურებმა, რომლებმაც 2 ბურთი გაიტანეს მეტოქეთა კარში — 2:1.

დაძაბული გამოდგა ომარ უშვერიძის პირველი თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა „ნორჩი დინამოელი-88"-სა და „დინამოს" (ნაკრები) შორის. ძირითადი დროისათვის განკუთვნილი 60 წუთი ფრედ 0:0 დასრულდა. გამარჯვების გამოსავლენად დაინიშნა 5-5 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. ანგარიშით 5:4 გაიმარჯვეს „ნორჩი დინამოს" ნაკრები გუნდის (მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ კოსტავა და გია ჯანგავაძე) ფეხბურთელებმა, რომლებსაც ამაგდარი მწვრთნელის თასი გადაეცათ.

**შოთა ბოკერია.**



**სურათებზე:** ასპარეზობის მომენტი; ომარ უშვერიძის მემორიალში გამარჯვებული გუნდი.

**ანზორ კოჩლამაზაშვილის ფოტო.**

## ფეხბურთი

# გრანდები — ნახევარფინალში

ბრაზილიის შტატების ჩემპიონატებს წინ უძღვის რიო დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს ტურნირები, რომლებიც დიდი ინტერესით არ სარგებლობენ. ბოლო მატჩი „ბ" შესარჩევ ქვეჯგუფში რიო დე-ჟანეიროს „მარაკანას" სტადიონზე ჯგუფის ლიდერს „პალმეირასსა" და აუტსაიდერს „ფლუმინენსეს" შორის გაიმართა. პირველ ნახევარში „პალმეირასის" მცველმა ფრანცისკო აისმა გახსნა ანგარიში — 1:0, მეორე ტაიმში ჟულიანომ კიდევ ერთხელ აილო მასპინძელთა კარი — 2:0.

ამრიგად, „ბ" ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა სან-პაულუს „პალმეირასმა", რომელმაც ბურთების უკეთესი შეფარდებით აჯობა მეორე ადგილზე გასულ შარშანდელ თასის მფლობელს რიოს „ვასკო დე-გამას" (შარშან „ვასკომ" ფინალში — 4:1 სძლია სან-პაულუს „სანტოსს").

„ა" შესარჩევ ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა „სან-პაულუ", რომელმაც აჯობა მეორე ადგილზე გასულ რიოს „ბოტაფოგოს". აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტურნირში ყველაზე მეტი — 17 ბურთი „პალმეირასის" ფეხბურთელებმა გაიტანეს. რაც შეეხება მსოფლიოს 2000 წლის პირველ საკლუბო გუნდების ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანს რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო დე-გამას", მან 9 გოლი გაიტანა: მათგან რომარიოს ანგარიშზეა 8 ბურთი. უკვე გაირკვნენ ნახევარფინალური მატჩების (ისინი და ფინალური შეხვედრებიც 2-2 მატჩისაგან მოეწყობა) მონაწილენი: „პალმეირასი" (სან-პაულუ) „ბოტაფოგოს" (რიო დე-ჟანეირო) ხვდება, ხოლო „ვასკო დე-გამა" (რიო დე-ჟანეირო) „სან-პაულუს" ეთამაშება.

პირველი ნახევარფინალური მატჩები რიო დე-ჟანეიროში გაიმართება.

**შალვა ძორიძე.**

## ყოველი მხრიდან

### გარდაიცვალა ფეხბურთის ლეგენდა

ოთხმოცდახუთი წლისა გარდაიცვალა სტენლი მეტიუზი, ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა, პირველი ფეხბურთელი, ვისაც დედოფალმა ელისაბედ მეორემ დიდებულის — სერის ტიტული უბოძა.

სტენლი 14 წლისა მოვიდა დიდ ფეხბურთში და 33 წლის განმავლობაში თამაშობდა პროფესიულ გუნდებში. თუმცა უნდა ითქვას, რომ მას არ უყვარდა გუნდების ცვლა. მან ფეხი აიდგა „სტოკში", 1932 წლიდან 17 წლისა მის შემადგენლობაში უკვე ინგლისის ჩემპიონატებში მონაწილეობდა. 19 წლისა კი ინგლისის ნაკრების დებიუტანტია. 1948 წელს ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელის სახელი მოიხვეჭა. იგი იყო პირველი ფეხბურთელი, ვისაც 1956 წელს მიენიჭა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის საპატიო სახელი. 1963 წელს, 48 წლისამ მეორედ მოიპოვა ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება.

შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთის ისტორიაში შევიდა ეპიზოდი, რომელიც მის მეორე გუნდში, „ბლეკპულში" თამაშის დროს მოხდა: სტენლის გუნდის მოწინააღმდეგე 1953 წლის ინგლისის თასის ფინალში იყო „ბოლტონი". თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე, როდესაც „ბლეკპული" აგებდა 1:3, ინიციატივა ხელში აიღო მეტიუზმა; მარჯვენა შუამარბმა რამდენიმე შეტევა წამოიწყო და ისეთ დახვეწილ პასებს აწვდიდა ცენტრში სტენ მორტენსონს, რომ მან თამაშის ბოლოს სამი ბურთის გატანა შეძლო. ეს მატჩი ისტორიაში შევიდა როგორც „სტენლი მეტიუზის ფინალი". იმ დღეს მაყურებლებმა იგი ხელში ატაცებული გამოიყვანეს მინდვრიდან.

1965 წელს, 50 წლისა, იგი დიდი ფეხბურთიდან მიდის და დიდებულის წოდებას ღებულობს, 70 წლამდე კი გუნდებს წვრთნიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მაყურებელმა იგი შეიყვარა ფეხბურთის, კლუბის ერთგულებისათვის, სპორტული ხანდაზმულობისათვის, მინდორზე ჯენტლმენობისათვის — 33 წლის მანძილზე მას არც ერთი შენიშვნა არ მიუღია.

საფეხბურთო სამყარო გულისტკივილით ეთხოვება ფეხბურთის აღიარებულ რაინდს.



**სურათზე:** სტენლი მეტიუზი.

### აშვეთიას ორი გოლი

ვლადიკავკაზის „ალანიამ" ლარნაკაში გამართა პირველი მატჩი რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ლიდერ ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან" და გაიმარჯვა — 3:1. შეიძლება ითქვას, რომ ამ გამარჯვებაში ლომის წილი მიუძღვით ქართველ ლეგიონერებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სილაგაძე, წერეთელი, კიკნაძე, ანჩაბაძე და აშვეთია.

პირველი გოლი მე-17 წუთზე თედეევმა გაიტანა, 27-ე წუთზე წერეთლის გრძელი გადაწოდების შემდეგ აშვეთია მეკარის პირისპირ გავიდა და ბურთი ბადეში გაახვია. მეორე ტაიმში ლოკომოტიველებმა ერთი გოლი გაქვითეს, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლეს. აშვეთიამ კი 88-ე წუთზე კვლავ აიღო მათი კარი და „ალანიას" გამარჯვება საბოლოოდ განამტკიცა.

### ოთხი ქვეყანა უმასპინძლებს?

ჩრდილო ევროპის ოთხმა ქვეყანამ — შვედეთმა, დანიამ, ნორვეგიამ და ფინეთმა — გადაწყვიტა წამოაყენონ თავიანთი გაერთიანებული კანდიდატურა ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე. ეს გადაწყვეტილება შეიმუშავეს ჩრდილოეთის საბჭოზე, რომელიც აერთიანებს ამ ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს, და გამოქვეყნდა ამ ქვეყნების სპორტის მინისტრების ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

ამ გადაწყვეტილებით რუსეთს, რომელიც ამ ჩემპიონატის მასპინძლობას აპირებდა, ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა. თუმცა ამაზე საბოლოოდ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ევრო-2000-ის შემდეგ, თუ როგორ ორგანიზებულად ჩაივლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი ერთდროულად ორ ქვეყანაში — ბელგიასა და ჰოლანდიაში.

### პირველად გაიმარჯვეს

ნორვეგიაში რუსმა ბიატლონისტმა ქალებმა ისტორიაში პირველად მოიპოვეს უმაღლესი ჯილდო საესტაფეტო რბოლაში 4X7,5 კმ. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ სვეტლანა ჩერნოუსოვა, ალბინა ახატოვა, ოლგა პილევა და გალინა კუკლევა.

**სპორტის რედაქცია.**

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

### ასე იწყებენ ჭაბუკები

დღევანდელი მეცადინეობა განკუთვნილია დამწყები ათლეტებისთვის. კომპლექსი მოიცავს მკერდის, მხრების, ხელების, ზურგისა და მუცლის კუნთების ვარჯიშებს.

1. **შტანგის აჭიმვა დახრილი სკამიდან (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 6-8 გამეორებით. ვარჯიშდება მკერდის, მხრისა და ხელის კუნთები.

2. **აჭიმვა ვერტიკალური მდგომარეობიდან (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 8-10 გამეორებით ტრენაჟორით ან შტანგით. ვარჯიშდება კუნთების იგივე ჯგუფი, რაც წინა შემთხვევაში.

3. **ბლოკის სახელურების მოზიდვა ერთმანეთთან შეხებამდე (სურ. 3).** სრულდება 4-6 მისვლა 10-12 გამეორებით. ვარჯიშდება მკერდის, მხრების, ზურგის, ხელისა და მუცლის კუნთები.

4. **ბლოკის სახელურის მიზიდვა მუცელთან (სურ. 4).** სრულდება 4 მისვლა 10-12 გამეორებით. ძირითადი დატვირთვა მოდის ზურგის უგანიერეს კუნთებზე, მასთან ერთად ვარჯიშდება ხელის, მკერდის, მხრის, მუცლის, და, ნაწილობრივ, ფეხის კუნთები.

5. **ბლოკის სახელურის ჩამოქაჩვა (სურ. 5, 6).** სრულდება 4 მისვლა 10-12 გამეორებით. ძირითადად ვარჯიშდება მუცლისა და ზურგის, ნაწილობრივ ხელისა და ფეხის კუნთები.

ვარჯიშებს ასრულებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ათლეტიზმის სექციის წევრები **გურამ გურასპაშვილი** (სურ. 1, 2, 4, 5, 6) და **ჯონი მელიქიძე** (სურ. 3). ისინი ვარჯიშის წინ კუნთებს ახურებენ მალამო „ვიტარაგით".

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**ნაზი ზოზიშვილის ფოტო.**













## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



დღეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა აკადემიკოს სერგი დურმიშიძეს. ეს ფოტოსურათი გადაღებულია 1967 წლის 10 მარტს, საჩხერეში. ამ დღეს საჩხერელი ამომრჩევლები შეხვდნენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, აკადემიკოს სერგი დურმიშიძეს. ბატონი სერგი დგას პირველ რიგში, მარცხნიდან მესამე.

სურათი მოგვაწოდა ნუგზარ მჭედლიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.

ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, რომელთა მოწოდებული ფოტოები დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

## ღიმილის დოზა



რეკავს ტელეფონი:
– ვინ გნებავთ?
– ტანია მინდა...
– ვინ ლაპარაკობს?
– ყველა ლაპარაკობს.

* * *

ცოლი პოლიციაში რეკავს – ქმარი სამი დღეა სახლიდან წავიდა და არ ჩანსო.
– რამე განსაკუთრებული ნიშნები აქვს?
– იპოვით, ექნება.

* * *

ეკონომიკის სიახლენი.

სპეციალისტების პროგნოზებით, 2000 წლისათვის რუსეთი შეასრულებს გიგანტურ ეკონომიკურ ნახტომს, შემდეგ ეკონომიკურ აღმატრიალს პირუეტით, ეკონომიკურ ხიდზე დადგება, შემდეგ ეკონომიკური ფეხმლით ჩაჯდება.

და მსოფლიო თანამეგობრობის აპლოდისმენტების თანხლებით დატოვებს არენას.

* * *

მყიდველი ჯიხურის გამყიდველს ეკითხება:
– „ტიკ-ტაკი" გაქვთ?
– მაქვს. ორის ნახევარია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი შპს „პრესა-98"-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.**

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში – წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე, უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი - შპს „საქპრესის" საგაზეთო ჯიხურებში.

## ყველა ქართველი პოეტია

### ჯერ კიდევ დროა...

ხედავ, რამდენი წელი გასულა?!
ცხოვრება მიდის, მიედინება
და შემოდგომის სიცივის სუსხი,
კარს — მომდგარ ზამთარს ეარშიყება!

ცივი ზამთარიც სულ მალე მოვა,
ულმობელი და ოხერტიალი,
მომენატრება ლურჯი აპრილი
და ბილიკებით კვლავ სეტიალი.

სადა ხარ, ჩემო ანცო ბავშვობავ?!
გეძებ და ვერსად, ვერსად გიპოვნე.
სევდა მომაწვა, ცრემლები მაღრჩობს,
ვგრძნობ სანუგეშოს არას მიტოვებ!

თუმცა, თმებზედაც დაუთოვია,
ჯერ სიბერემდე ჯვარი გვწერია,
სულში თუ მუდამ გაზაფხულია,
გულს დაბერება არ უწერია!

ჰოდა, არ მკითხოთ რამდენი წლის ვარ,
(გულით არ მინდა არც მე ვიცოდე),
გადუკრეფია ზეცას ღრუბლები,
მინდა ამ მზის ქვეშ ლაღად ვიწვოდე.

მინდა ლამაზი ცხოვრებით დავტკბე,
მინდა სიცოცხლის ლამპარი ვანთო,
ჯერ კიდევ დროა, მღერის მეურმე...
— ბებერი ხარის რქაცა ხნავს თურმე!

აბა, გაფრინდი, შენ, ჩემო ბედო,
გადაიარე ოცნების მთები
და თუ გზას მაინც გადაგვიღობავს
მარადისობის სავალი გზები,
ამ სავალ გზაზე მეგლს დაგვიდგამენ
ჩვენი შვილნი და შვილიშვილები!

**ივეტა კუპრაძე.**
ქ. ბორჯომი.

## ტელევიზია — კვირა, 27 თებერვალი

**1** 10.00 დილის პაემანი 11.30 „ნამდვილი ამბები" 11.40 „საკვირაო გამოფენა" 11.50 „პეპი გრძელწინდას პერსონაჟების თავგადასავალი" 14.00 სასწავლო სატელევიზიო სტუდია - „იქ, სადაც ჩვენ ვართ" 14.20 ლიტერატურული გადაცემა - გურამ კალანდია 14.40 „ბარიერი" 15.00 ვესტნიკი 15.15 მულტსერიალი 15.40 „მსოფლიოს ახალი ამბები" 15.50 „ბავშვები, უპირველეს ყოვლისა" 16.00 „ახალი ქართული პროექტი" 16.20 „მსოფლიოს ველური ბუნება" 17.00 „ენერგია" 17.15 „რეგიონი" 17.35 „სპა" 18.00, 00.00 მოამბე 18.15 კონცერტი 19.05 „ტოტო-ლოტო" 19.10 „დიასპორა" 19.25 „ჩვენი მისამართია" 20.00 „ტაიმ-აუტი" 20.51 „აზრი" 21.00 „ფორტუნა" 21.45 „რეიტინგი" 22.00 „არტ-ექსპრესი" 22.20 „მეგობრობის ქალაქი ცისარტყელა" 22.30 „დიდების ზღაპარი" 22.55 „XX საუკუნე, დრო და ადამიანები" - ვ. ჭაბუკიანი 23.10 „არა მხოლოდ შოუ ბიზნესი" 23.30 „ოდეონი" 00.15 „ჯემი" 00.50 „გლენ მილერი".

**2** 19.00 კვირადღის გახსნა მულტფილმი, სუპერ-მატჩი, ბომონდი, შვიდეული, კინოსეანსი თქვენი თხოვნით, ღამის ქალაქი, კინორეიტინგი, ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 „ალფი" 12.10 „სიმფსონები" 12.30 „სიყვარულის ერთგულება" 13.15 მხ. ფ. 15.15 დოკ. ფ. 18.00, 00.20 კურიერი 18.15 აკუნა მატატა 19.10 „ალფი" 19.40 სპორტული პროგრამა 20.05 „სიყვარულის ერთგულება" 21.00 60 წუთი 22.05 „გზა ჰელვილისაკენ". 00.10 „სიმფსონები" 00.30 კლასიკა.

**იბერია** 09.00, 19.00, 22.00, 00.25 ახალი ამბები 09.10, 21.50 „ალსავალი" 09.20 „ოვაცია" 09.25, 12.45, 18.00 ნახ. ფ. 09.30, 10.45, 13.20, 14.25, 18.15, 19.20 მუსიკალური ტალღა 09.35, 18.20 „ცხოველთა სამყარო" 10.05 „ფარული კამერა" 10.15 დოკ. ფ. 10.50 „სიცილიური კლანი" 13.25 დოკ. ფ. 20.15 მხ. ფ. 22.30 „იპ-5" 00.35 „ნოსტალგია" 00.40 „კვალის წამშლელი", დასასრულს „ოვაცია".

**ევრიკა** 11.00 ცისკრის ზარები. 11.03 ქართული მულტფილმები 11.30 „თეთრი ქალიშვილი" 11.55 კინოკონცერტი 12.00 ლოცვა 12.03 „თეატრალური შეხვედრები" 13.35 „დღე უკანასკნელი, დღე პირველი" 15.00 ლოცვა 15.03 ქართული საგალობლები 15.45 „თვალი პატიოსანი" 17.00 მღერის გული ჩოხელი 18.00 ლოცვა 18.03 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 18.15 საეკლესიო კალენდარი 18.30 საუბრები ბიბლიაზე 20.00 საბავშვო გადაცემა 20.30 იქ, სადაც სიყვარულია 21.00 „უნამუსო", „ქვევრი". 21.30 იუმორისტული გადაცემა 22.15 თბილისური ოჯახები 23.00 „მერცხლები და ბეღურები".

**1ST** 08.00, 17.40 „ტონიკი" 08.15 „მილერის გზაჯვარედინი" 10.35 მულტფილმი 12.10 „ფარა" 13.40 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმები 19.00 „რაშმორის აკადემია" 20.50 „კანონზე მაღლა" 22.50 „სამყაროს დასასრული". 01.10 მხ. ფ. 03.05 ნონ-სტოპი.

**9** 08.55, 12.55 ბირჟა 09.00 საინფორმაციო პროგრამა „დილით" 09.15, 10.00, 21.30 მუსიკა 09.25, 18.15 მულტფილმი 10.10 „ავტოპორტრეტი" 11.10 გადაცემა „ბელისიმო" 11.20 „ანგელოზების ქალაქი" 18.00 საინფორმაციო პროგრამა 18.50 „დისქავერი" 20.30 საინფორმაციო პროგრამა 21.00 „ლენინის ქურდები" 21.40 გადაცემა „ქართული მთასვლელობის ქრონიკები" I ნაწ. - გ. ნიკოლაძე 22.10 „რომანტიკული ინგლისელი ქალი" 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.15 „უკანასკნელი იმპერატორი".

## წუთისოფელი

# პარლამენტსგარეშე შეკითხვებს უპასუხებს ვალერი კვარაცხელია

*— ბატონო ვალერი, თქვენის ნებართვით, მკითხველს თავიდანვე ვაცნობოთ, რომ თქვენ მხოლოდ მოსახელე და მოგვარე ბრძანდებით ცნობილი „მეამბოხე" ჟურნალისტისა. შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ იგი პარლამენტარი არ არის...*

ახლა კი დავიწყოთ:

*— ბავშვობაში ვინ გინდოდათ, რომ გამოსულიყავით?*

— ექიმების ოჯახში დავიბადე, 4 დის შემდეგ ნაბოლარა გახლდით და მანებივრებდნენ იმდენად, რომ ქირურგიულ ოპერაციებსაც მაყურებინებდნენ; ასე რომ, ექიმობა და ქირურგობა იმთავითვე ოცნებად მქონდა. ავიხდინე კიდეც, მერე უმაღლესი ეკონომიკური განათლებაც მივიღე...

*— პოლიტიკისკენ როდისღა გადაიხარეთ?*

— რუსეთში ქირურგად მუშაობის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა ჩემი სპეციალობით ადგილი უცბად ვერ დავიკავე. სქურის მთავარი ექიმობა შემომთავაზეს. გულით მინდოდა იქაურობა, ჩემი მშობლიური წალენჯიხა აყვავებულიყო, მაგრამ დაიწყო თქვენთვის ცნობილი ნგრევის ხანა, გაპარტახდა სქური, დავრჩი უმუშევარი. ასეთ დროს კონცერნ „საქკურორტში" გვერდით ამომიყენა საქართველოს კურორტთა სასიკეთოდ დამაშვრალმა მოღვაწემ და შესანიშნავმა პიროვნებამ ზეზვა ლულუნიშვილმა. იქ მუშაობისას ვხვდებოდი საინტერესო ადამიანებს, მათ შორის პოლიტიკოსებსაც. ფრიად საგულისხმო ინფორმაციას გავეცანი და თანდათან, როგორც თქვენ ბრძანეთ, პოლიტიკისაკენ გადავიხარე.

*— საკუთარი თავის ობიექტურად მაცქერალი, რომელ ღირსებას გამოყოფდით თქვენსას?*

— ძნელია შენს თავზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვიტყვი, — საქმისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას.

*— ისევ ობიექტურობის კვალდაკვალ, — ნაკლს რომელს აღნიშნავდით?*

— ჯანსაღი ამბიციის უქონლობას!

*— თქვენს ცხოვრებაში ყველაზე გამოსარჩევ ბედის გაღიმებად რას დაასახელებდით?*

— ძალიან კარგი შვილები მყავს. გოგონა მეხუთეკლასელია, ფრიადოსანი, მუსიკალური მონაცემები აქვს, ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობს. ბიჭი 4 წლისაა და ახლავე ექიმობას გაიძახის...

*— ყველაზე დასამახსოვრებელ იმედგაცრუებად?*

— ვერ ვგრძნობ, რომ ჩემს ადგილზე ვარ... ისევ ქირურგობაზე ვფიქრობ, კარგი ქირურგი მინდა დავდგე. ჩემი ადგილი საოპერაციოშია.

*— პარლამენტის შენობა სავსეა სიგარეტის ბოლით. ბევრს ეწევიან, მათ შორის ქალებიც. თქვენც ბლომად „ექაჩებით". ამაზე რას იტყვით...*

— სიგარეტის წევა ჩვენი პროფესიის განუყრელი თანამგზავრია, — სამწუხაროდ, ქირურგს ვერ ნახავთ, რომ არ ეწეოდეს. ერთადერთი არამწეველი სახელგანთქმული კიეველი დასტაქარი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ამოსოვი იყო და ისიც კონიაკით იხსნიდა „საქირურგო" სტრესს... ქალებს რაც შეეხება, ამდენი მწეველი ქალი, ჩვენში რომაა, რუსეთშიც არ მინახავს. მინდა ქალების გასაგონად განვაცხადო, რომ მშვენიერთა სქესისათვის სიგარეტი მოდაში ევროპაშიც აღარ არის. ეცადონ, ხელი აიღონ..

*— რელიგიური ხართ?*

— ძალიან არა, ზომიერად. ეკლესიაში დღესასწაულებზე დავდივარ, პირჯვარს ვიწერ, სანთლებს ვანთებ. ჩემი რელიგიური აღზრდა სხვაგვარი იყო, ჩემი შვილებისა — სხვანაირია. ჩემი გოგონა მარხვასაც კი ინახავს.



**— მხატვრული ლიტერატურის კითხვას თუ ახერხებთ?**

— რაც პოლიტიკას მოვკიდე ხელი, პუბლიცისტიკამ გამიტაცა და ბევრსაც ვკითხულობ ამ ჟანრში, განსაკუთრებით გამორჩენილი პოლიტიკოსების ცხოვრება მაინტერესებს. ამ ბოლო დროს შევარდნაძისა და პრიმაკოვის მემუარები წავიკითხე. მხატვრულს რაც შეეხება, „დათა თუთაშხია" ჩემი სამაგიდო წიგნია, მსგავსი ნაკლებად მეგულება, ასეთი ცხოვრებისეული სიბრძნით, ცხოვრებისეული „ფორმულებით" სავსე.

**— თქვენი პოზიცია სადეპუტატო იმუნიტეტის მიმართ?**

— 42 წლისა ვარ და იმუნიტეტი არასოდეს დამჭირვებია. არც ვაპირებ მოვიმარჯვო, პარლამენტში ამისთვის არ შემოვსულვარ. ისე, რაღაც ფარგლებში, დეპუტატს იმუნიტეტი უნდა ჰქონდეს, რომ კეთილსინდისიერად აკეთოს თავისი საქმე. ეს არ ნიშნავს, რომ თუ დარღვევებს დაუშვებს, დანაშაულს ჩაიდენს, იმუნიტეტს ამოეფაროს. პასუხი ყველას თანაბრად უნდა მოეთხოვოს.

*— „საქართველოს რესპუბლიკას" თუ კითხულობთ?*

— ყოველდღე ვერა, მაგრამ ძალიან ხშირად.

*— სად იძენთ ხოლმე?*

— წერეთლის პროსპექტზე, ერთი ჯიხურია ჩვენი სახლის ახლოს. გამყიდველი ქალბატონი ამ გაზეთს სპეციალურად მინახავს.

ჩაიწერა
**თამაზ ეგანოიძე.**

სს „ფოთიავტოსერვისის" კრედიტორთა საყურადღებოდ!

1999 წლის 17 აგვისტოს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებით დაიწყო სს „ფოთიავტოსერვისის" სალიკვიდაციო პროცესი. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, ტაბიძის ქ. №7 სს „ფოთიავტოსერვისი" ტელ.: (293) 2-15-71; 2-11-83.

## გახსენება



### ნუგზარ ქანთარია

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ზეცად აღვიდა **ნუგზარ შოთას ძე ქანთარიას** სული, სული ვაჟკაცისა, ვინც ამ ქვეყნად ლამაზი, წმინდა სიცოცხლით იცხოვრა.

ზუგდიდელები ნუგზარ ქანთარიას იცნობდნენ, როგორც ნათელ პიროვნებას, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ძვირფასი ოჯახის პატრონს, საყვარელ მეზობელს, მაშვრალსა და მეგობრისთვის თავდადებულ ადამიანს.

50 წლისა წავიდა ამ წუთისოფლიდან და უსაზღვრო ტკივილი გააგრძნობინა ყველა ახლობელს, მათ შორის მეც.

ცხარე ცრემლებით დასტირიან ძვირფას ნუგზარს უსათნოესი მეუღლე შორენა, შვილები თამაზ და ეკა, დები მადონა და ნინო, გულდამწვარი და გულდაწყვეტილი უახლოესი ნათესავები – მათი ჩამოთვლაც კი ძალზე ძნელია.

მინდა უგულწრფელესი მადლობა მოვახსენო ყველა ზუგდიდელს, ყველა ჩვენიანს, ყველა მოკეთეს, ვინც უბედურების ჟამს თანაუგრძნო ნუგზარ ქანთარიას კეთილ ოჯახს.

უფალმა მარადი ნათელი დაადგას ჩემი უძვირფასესი ნუგზარ ქანთარიას სულს!

**ხუტა ბერულავა.**

## ხსოვნა

### არჩილ დავითაშვილი



ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **არჩილ მალხაზის ძე დავითაშვილი,** რომელმაც თავისი ცხოვრების დიდ გზაზე წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც მოქალაქემ და სახელმწიფო მოღვაწემ.

დაიბადა 1911 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, გლეხის ოჯახში. 1926-30 წლებში მუშაობდა სიღნაღის რაიაღმასკომის სტამბაში ასოთამწყობად, 1934 წლიდან რემედასის რაიკომის პირველ მდივნად, შემდგომში – კომკავშირის რაიკომის აგიტმასობრივი განყოფილების გამგედ.

1937 წლიდან 1940 წლამდე კომკავშირის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანია, ხოლო 1940 წლის მარტიდან არჩეულია საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მესამე მდივნად, შემდგომში მეორე, ხოლო 1945 წლის იანვრიდან 1949 წლამდე კაჭრეთის რაიკომის პირველ მდივნად. საგარეჯოს რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1952 წლის ივნისში აირჩიეს საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველ მდივნად.

1961 წლის მარტიდან ბატონი არჩილი გადაჰყავთ დამზადების სამინისტროში – მინისტრის მოადგილედ.

1963 წელს აირჩიეს საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 1973 წლამდე პენსიაზე გასვლამდე. შემდეგ, კვლავ, განაგრძობდა მუშაობას გურჯაანის რაიონის მეცხოველობის სამეურნეობათშორისო სამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარედ, ომისა და შრომის ვეტერანთა ვეჯინის პანსიონატის დირექტორად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის გურჯაანის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორად. იგი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატად, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ყრილობათა დელეგატად, ხოლო 1959 წელს სკკპ XXI რიგგარეშე ყრილობის დელეგატად.

ყველგან და ყოველთვის ბატონი არჩილი გამოირჩეოდა დიდი ორგანიზატორული უნარით, გულისხმიერებით, უზომოდ უყვარდა საქართველო და თავისი ხალხი, დღე და ღამ თავდაუზოგავად შრომობდა და, რაც მთავარია, ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მედლებით.

ბატონი არჩილი ბოლო პერიოდშიც ფხიზლად ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, სწამდა და სჯეროდა, რომ საქართველო მსოფლიოს სივრცეში ჯეროვან ადგილს დაიკავებს.

**გურჯაანის რაიონის გამგეობა,**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია;**
**ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო;**
**გურჯაანის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველო.**

### პლატონ გაგნიძე



2000 წლის 22 თებერვალს გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის ყოფილი გამგე, პროფესორი, ომის ვეტერანი **პლატონ იოსების ძე გაგნიძე.** იგი დაიბადა 1918 წელს ქ. ხაშურში. 1936 წელს შევიდა საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1941 წელს. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში და არმიიდან დემობილიზებული იქნა 1946 წელს.

1946 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდა.

1954 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. წლების განმავლობაში პლატონ გაგნიძე მუშაობდა ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე დეკანის მოადგილედ. 1963 წლიდან 1977 წლამდე იგი იყო ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე. იყო მრავალრიცხოვანი სტატიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. მისი ლექციების ბაზაზე გაიზარდა მრავალრიცხოვანი საინჟინრო კადრი. მიღებული აქვს მთავრობის სხვადასხვა ჯილდოები.

პლატონ გაგნიძე დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა შორის. იგი იყო გულისხმიერი, კეთილსინდისიერი პიროვნება. ჰქონდა თბილი დამოკიდებულება თანამშრომლებთან და სტუდენტებთან.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომელთა და მრავალრიცხოვან მოწაფეთა გულში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი, ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრა, ვეტერანთა საბჭო.**

ახალციხის რაიონული სააღმსრულებლო ბიუროს ბორჯომის სასამართლო აღმასრულებელი ირაკლი ამანათაშვილი დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონის წესით ყიდის ბორჯომის რაიონის სოფ. ყვიბისში მცხოვრებ გიორგი გრიგოლის ძე ციცქიშვილის კუთვნილ საცხოვრებელ ორსართულიან სახლს ფართით 72 მ2 ბინა კეთილმოწყობილია, აქვს მიწის ნაკვეთი 0,38 ჰა. პირველი სართული შედგება ორი ოთახისაგან, მეორე – სამი. საწყისი ფასია 10 000 ლარი ფოთის წისქვილქარხნის სასარგებლოდ.

მსურველებს ვთხოვთ მიმართონ ბორჯომის რაიონის სასამართლოს 9 მარტის დღის 12 საათზე. ქონების ღირებულების 10 პროცენტის გარანტიით.

## კროსვორდი



თარაზულად: 1. ფრანგი კომპოზიტორი, „ინტერნაციონალის" ავტორი. 5. გარკვეულ საზოგადოებრივ წრეებში მოკლე ხნით გაბატონებული გემოვნება ჩაცმა-დახურვისა და ყოფა-ცხოვრების სხვა გარეგნული ფორმებისა. 6. მხარე ისტორიულ სამხ. დასავლეთ საქართველოში. 8. თმის ერთგვარი საღებავი. 10. მატერიალური კულტურის ყოველი საგანი. 11. ფასიანი ქაღალდების, ქაღალდის ფულის გამოშვება. 13. ინდოელი კინო-რეჟისორი. 16. ზოგიერთი განგსტერული ორგანიზაციის სახელწოდება აშშ-ში. 20. ფრჩხილი „კაპი", რომელიც აერთებს რამდენიმე ხუთხაზიან სანოტო სისტემას (საფორტეპიანო, კამერულ ნაწარმოებებში, პარტიტურებში და სხვა). 21. სანთლის ჩასადგმელი, – სასანთლე. 22. პატარა სასიმღერო ლირიკული ლექსი. 24. ფრანგი კინო-მსახიობი ქალი. 26. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება. 29. ცეცხლის ანაღები. 32. შტატი აშშ-ში. 34. ტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებული დიდი ზომის ქვეწარმავალი. 35. სახოტბო ლექსი. 36. ბგერის არეკლა რაიმე საგნებზე, გამოძახილი. 38. რისამე დედა აზრი – რაობა. 40. ქართველი მწერალი, ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

შვეულად: 1. ხანა, ეპოქა, დროება (კაცობრიობის, საზოგადოების... ცხოვრებაში). 2. კანაფის ან ფოლადის ბაგირი. 3. ბუნებრივი წყალსატევი, რომელიც არ უკავშირდება ზღვას ან ოკეანეს. 4. მცირე ზომის პოეტური ნაწარმოები, რომელშიც ასახულია სოფლის მცხოვრებთა (მწყემსთა, მიწათმოქმედთა და მისთ.) უშფოთველი ცხოვრება ბუნების წიაღში. 5. აფრიკის სახელმწიფო. 6. რომის პაპის გვირგვინი. 7. სოფელი ბორჯომის რაიონში. 9. საჰაერო ბრძოლის ოსტატი. 12. წერილობითი თხოვნა, საჩივარი (ძველად). 14. სახე, ხატი, წესი, გამოსახვა, ასახვა. 15. ადამის და ევას უფროსი ძე ბიბლიის მიხედვით, საკუთარი ძმის აბელის მკვლელი. 16. ჯადოქრობა, მისნობა. 17. რისამე მარაგი. 18. იგივეა, რაც არშიყი (ძველად). 19. სიმებიანი სამუსიკო საკრავი. 20. სხეულის მთავარი არტერია. 23. უფროსი პლეადა ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში. 25. ლიტერატურული მუსიკალური ნაწარმოების ან მისი ნაწილის წინასწარი რედაქცია. 27. კინო-სურათის „ერთხელ ამერიკაში" დამდგმელი კინორეჟისორი. 28. ბარათების დასტა, რომლებზედაც გამოხატულია სხვადასხვა ფიგურები ან ნიშნები, იყენებენ სათამაშოდ. 30. თამაში-გამოცანა. 31. ზღაპრული, ლეგენდარული ან ისტორიული შინაარსის მცირე ზომის სტროფული ლექსი. 33. ერთ-ერთი ხელოვნური ენა, ესპერანტოს ვარიანტი. 37. მაგარი ქანი მთლიანი ან ნატეხის სახით. 39. ლობიოს მსგავსი ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

### 20-21 თებერვალს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კავალკადა. 4. მალამო. 5. ტირადა. 7. ტანგო. 9. ფონი. 10. ნოტა. 12. ოპერატორი. 13. ლიბია. 15. პრიმიტივი. 18. ლოჯია. 20. ტიგრი. 21. პარკი. 23. საბზა. 25. რაბლე. 26. არსი. 27. ხემი. 28. „რეალი". 30. აპლო. 31. იმედი. 32. ქანჩი. 33. ისანი. 36. ანტრესოლი. 39. იმიჯი. 42. მემორიალი. 45. ელდა. 46. სეტი. 47. იამბი. 48. ასკერი. 49. დეკორი. 50. აპარატურა.

შვეულად: 1. კოლიო. 2. ლანცა. 3. ატენი. 4. მასარი. 6. აფექტი. 7. ტვენი. 8. ოზონი. 9. ფოლი. 11. არტო. 13. ლივერპული. 14. ანტრეკოტი. 15. პრიმადონა. 16. იარა. 17. ინსტინქტი. 18. ლაბირინთი. 19. აირწინაღი. 20. ტაბლა. 21. პოსტი. 22. ილეთი. 24. ადანი. 29. შეთე. 34. სონატა. 35. ნიკე. 37. ტემპი. 38. ოკაპი. 40. მალი. 41. ჯირითი. 42. მანია. 43. რამპა. 44. ისიდა.

**გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"**

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი – რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოჭიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.